

କବିତା ନାଟକରେ
ହରିହର ପରିଵାରରେ



ପାଠିଲ୍ଲି
ଶାହମହାନୀ -
ଏକବୋଧକ



ଓଡ଼ିଆ ଲାଙ୍ଘଣିକ ପ୍ରକାଶନ
ପବ୍ଲିଷିଶନ୍ସନ୍ 2000

რ. ასათიანი, დ. იოსელიანი. ეკონომიკა – კეთილი ჯადოქარი. სახელმძღვანელო საშუალო სკოლების VI კლასისათვის. თბილისი, საგამომცემლო ფირმა „სიახლე“, 2000. – 112 გვ.

სახელმძღვანელოში ზღაპრის ფორმით, ეკონომიკის უმარტივესი ცნებებისა და ტერმინების გამოყენებით ახსნილია ეკონომიკური მოვლენები, პროცესები და მათ შორის ურთიერთებები. ამ მიზანს ემსახურება თემების ბოლოს დართული ამოცანები, თამაშები და კრისკორდები.

წიგნი განკუთვნილია საშუალო სკოლის VI კლასის მოსწავლეებისათვის. იგი ყველა მოზარდს დაეხმარება ეკონომიკის შესწავლაში.

მეცნიერ-რედაქტორი:

ლეონ ჩიქაგა — ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

რეცენზენტები:

გლიადიშვილ პაპავა — ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

მახეილ ჭაბუტი — ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ISBN 99928-811-3-5

პ 060100000
607(06)-2000

© საგამომცემლო ფირმა „სიახლე“, 2000.

³ 0 6 ას 0 ტ ყ ვ ა მ ბ ა

ბვირფასო ბავშვები! თქვენ იწყებთ ეკონომიკის შესწავლას. ამ წიგნით პირველად შეაღებთ კარს უცნობ სამყაროში. ეკონომიკა ძალზე საინტერესო და მიმზიდველი მეცნიერებაა. ვიმედოვნებ, ამაში მალე დარწმუნდებით. ეკონომიკის მიმზიდველობა მის სიმარტივეშია, თუმცა, როგორც ერთი დიდი ეკონომისტი ამბობს, იგი ბევრისთვის გაუგებარია. ეკონომიკა მეტად დამაფიქრებელი და ღრმად გასააზრებელი საგანია. რაოდენ გასაკვირადაც უნდა მოგეჩვენოთ, ეკონომიკა ჩვენი ყოველდღიური ცხოვრებაცაა. რაც უნდა ვეცადოთ, ვერაფრით გავექცევით მას. იგი ყველას გვეხმარება, მის გარეშე შეუძლებელია ჩვენი ცხოვრების პირობების გაუმჯობესება. დღეს ეკონომიკა ყველა სფეროში წარმატების მიღწევის საფუძველია.

დარწმუნებული ვარ, თქვენთვის დაუკიტყარი იქნება პირველი შეხვედრა ეკონომიკასთან, ამ მართლაც კეთილ ჯადოქართან. საქართველოში თქვენ გხვდათ ეს ბედნიერება – ასე ადრეულ ასაკში დაგეწყოთ მისი შესწავლა. დიახ, ეკონომიკის სამყაროში შესვლა დიდი ბედნიერებაა. ჩემთვის ძალზე სასიამოვნოა, რომ თქვენი ამ ბედნიერების თანამოაწილე ვარ ჩემს მეგობართან ერთად.

რომი ერთ დღეს არ აშენებულა. ეკონომიკის შესწავლა მოითხოვს ხანგრძლივ და მუყაით შრომას. თქვენი მხრიდან ეს დიდი გამბედაობაცაა. მაგრამ ქუხილის ხმაზე თავშესაფარში ნუ გაიქცევით, ზოგჯერ ის უფრო სასიამოვნოა, როცა წვიმა სახეში გცემთ. თქვენი ასეთი სიმამაცე გზას გაგიხსნით ცხოვრებაში და დაგეხმარებათ ყველა მიზნის მიღწევაში.

გისურვებთ წარმატებებს! მიგულეთ მუდამ თქვენს გვერდით.

*

* * *

პატივცემულო პედაგოგებო! ალბათ ზედმეტია იმის მტკიცება, რომ დღეს საშუალო სკოლების კურსდამთავრებულები უნდა ერკვეოდნენ ელემენტარულ ეკონომიკაში — ეკონომიკის საფუძვლებში, მის ძირითად ტერმინებსა და ცნებებში. ამიტომაც არის, რომ მოსწავლეთა ეკონომიკური განათლების სისტემატიზების იდეას სულ უფრო მეტი მხარდაჭჭერი ჰყავს. მართალია, საქართველოში ზოგიერთი საშუალო სკოლის უფროს კლასებში დაიწყო ეკონომიკის სწავლება, მაგრამ ამას მხოლოდ ექსპერიმენტის სახე და ფრაგმენტული ხასიათი აქვს. მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ეკონომიკის, როგორც ცალკე საგნის სწავლება დაიწყოს მეექვსე კლასიდან და გაგრძელდეს მეთერთმეტე კლასის ჩათვლით.

სკოლაში მიღებული ეკონომიკური განათლება კურსდამთავრებულებს დაეხმარება სწორ პროფესიულ ორიენტაციასა და ცხოვრების გზის გაკვლევაში, ეკონომიკური აზროვნების განვითარებასა და საბაზო ქცევის ჩვევების გამომუშავებაში. ადრეულ ასაკში ეკონომიკური ცოდნის საფუძვლების ფორმირება უფროს კლასებში ეკონომიკის შემდგომი, უფრო ღრმა შესწავლის საწინდარია.

სახელმძღვანელოსათვის ზღაპრის ფორმა შემთხვევით არ აგვირჩევია. ვფიქრობ, სწავლების ამ უმარტივესი მეთოდის გამოყენებით მივაღწევთ მიზანს: მოზარდებში აღვმრავთ ინტერესს ეკონომიკის შესწავლისადმი, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია მათი ეკონომიკური აზროვნების ჩამოყალიბებისათვის. მიზანი მეტად საგულისხმოა, შედეგი კი უნდა იყოს წარმატებული სვლა დამოუკიდებელი და აყვავებული საქართველოს მშენებლობისაგენ.

როგორ ასათიანი

ეკონომიკურ მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი

I თემა

მოთხოვნილებები და შესაძლებლობები (I-II გაკვეთილი)

ეკონომიკა კეთილი ჯადოქარია, მაგრამ სად ვიპოვოთ იგი? მოდი,
ერთად ვეძებოთ! ეგებ, ზღაპარში მივაკვლიოთ. აბა, მოვემზადოთ!

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ხელმწიფე. მას სახელად
ეკონომ ბირგენი ერქვა. ჰყავდა ცოლი და ორი შვილი: მშვენიერი
ქალიშვილი და თქვენი თანატოლი გაუ. ჰქონდა ერთი ჯადოსნუ-
რი ჯოხი, რომელიც მის ყველა სურვილს ასრულებდა. უფლის-
წულს ნანატრი სათამაშოები ყოველთვის ჰქონდა. ქალიშვილს
ახალ-ახალი მოდური ტანსაცმელი უყვარდა და, როგორც კი ახალ
კაბას მოისურვებდა, ჯადოსნური ჯოხი მაშინვე წინ გაუფენდა.
დედოფალი ყოველდღე მდიდრულ წვეულებებს მართავდა. ასეთი
ზღაპრული ცხოვრება კიდევ დიდხანს გაგრძელდებოდა, რომ არა
ეს ამბავი:

მშვენიერი დილა იდგა. ცხრათვალა მზე ამოსულიყო და სხი-
ვებით სასახლეს ეალერსებოდა. ხელმწიფემ ცუდ გუნებაზე გაიღ-
ვიძა და ყვირილი მორთო:

— ყველაფერი მომბეზრდა! არაფრის გაკეთება არ მინდა!

ხელმწიფე საწოლზე წამოჯდა, ბევრი იფიქრა, იფიქრა, ბო-
ლოს ადგა და სასეირნოდ წავიდა.

ბაღში სულ ია და ვარდი გაშლილიყო.

დიდხანს ტკბებოდა ია-ვარდების სურნელებითა და უმშვენიე-
რესი ყვავილების სილამაზით, ბოლოს დაიღალა, თანაც მოშივდა.

როგორ ფიქრობთ, დაბრუნდებოდა თუ არა ხელმწიფე სასახ-
ლეში? რა თქმა უნდა, არა. არც თქვენ დაბრუნდებოდით, ჯადოს-
ნური ჯოხი თან რომ გქონდათ.

ჰოდა, აიქნია ხელმწიფემ ჯადოსნური ჯოხი და ისეთი სუფრა

გაიშალა, ჩიტის რძეც არ აკლდა.

სად იყო და სად არა, სუფრასთან ერთი ბერიკაცი გაჩნდა:

- ჩემო ხელმწიფევ, მშიერი ვარ და იქნებ დამაპურო.

- გასწი აქედან, ხელს ნუ მიშლა! ჩემი სამყოფი საჭმელიც

არა მაქვს, შენ რით დაგაპურო? - შეუყვირა ხელმწიფევი.

ბერიკაცმა თავი გადააქნა და გაუჩინარდა.

პოი საოცრებავ! ბერიკაცთან ერთად ხელმწიფის სუფრაც გაქრა.

გაუკვირდა ხელმწიფევს, ისევ აიქნია ჯადოსნური ჯოხი, ბევრი აქნია, აქნია, მაგრამ ამაოდ. მერე ხელი დაეღალა და გაჩერდა.

შეწუხდა ხელმწიფევ, მშიერი და უგუნებო სასახლეში დაბრუნდა.

- ჩემო ხელმწიფევ, ხვალ სასახლეში დიდი წვეულება გვექნება, შენი საყვარელი დეიდაც გვესტუმრება, ხომ არ დაგავიწყდა? - სიხარულით შეეგება დედოფალი.

- რა დროს წვეულება! რა დროს გართობა! დავიღუპეთ! ახლა როგორდა ვიცხოვროთ! - გაჯავრდა ხელმწიფევ.

გაოცებული დედოფალი სავარძელში ჩაეშვა.

- რა ხდება, ჩემო ხელმწიფევ ასეთ ცუდ ხასიათზე რატომ ხარ? - შეეკითხა დედოფალი. როცა ყველაფერი შეიტყო, ატირდა:

- რა გვეშველება, შიმშილით დავიხოცებით, ვერავის დავპატიჟებთ, მეზობელი სამეფოებიც დაგვცინებენ. ცოტა ხნის შემდეგ უცბად სახე გაუნათდა და ხელმწიფევს მიმართა:

- იქნებ ვეზირები გაგზავნო და ნაცარქექია აქ მოაყვანინო.

- ნაცარქექია ვინდაა? - იკითხა ხელმწიფევი.

- როგორ, ნუთუ არაფერი გაგიგია? ნაცარქექია ერთი საშინელი ზარმაცი ვინმე ყოფილა, მაგრამ ჭკუა ათი ხელმწიფისა ჰქონია. თურმე სულ ბუხართან იჯდა და ჩხირით ნაცარს ქექავდა. რძალს სახლიდან გაუგდია, იმუშავე და ოჯახში რამე შემოიტანე, თორემ მე შენი რჩენის თავი არა მაქვსო. ნაცარქექიას დევები ისე მოუტყუებია და შეუშინებია, რომ ისინი სახლიდან გაქცეულან, სარჩო და სიძიდერე, რაც რამ ჰქონიათ, სულ მას დარჩენია. რძალს გაჰკვირვებია, როგორ მოახერხეო. ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსაო, - უთქვაშს ნაცარქექიას. სთხოვე, იქნებ ისე-თი რამ მოიფიქროს, რომ ჯადოქარმა ჯოხს ძალა დაუბრუნოს, - ურჩია დედოფალმა.

ხელმწიფევ ვეზირები დაიბარა და ნაცარქექიას სასახლეში მოყვანა უბრძანა.

ვეზირებმა ბრძანება შეასრულეს და ნაცარქექიას ხელმწიფის დანაბარები გადასცეს. ჩაფიქრდა ნაცარქექია. კარგად იცოდა, რომ გინდა მეფის გვერდით ყოფილზარ და გინდა ზამთარში ბუხართან მჯდარსარ: თუ ახლოს ზიხარ, მხურვალება დაგწვავს, თუ შორს - სიცივისგან გაითოშები. მეფის გული უნდა მოეგო და სათქმელი ისე ეთქვა, რომ მბრძანებელი არ გამწყრალიყო. ერთი თვალი ასზე მჭრელი უნდა ჰქონოდა, მეორე კი დაებრმავებინა, ცალი ყურით ესმინა და მეორე დაეყრუებინა; რასაც მოისმენდა, კარგად დაემახსოვრებინა და რაც ჭკუასთან უფრო ახლოს იქნებოდა, ეთქვა, გაგონილი სისულელე არ წამოეროშა. ისეთი ენა უნდა ჰქონოდა, რომ სულ თაფლი და შაქარი გადმოსდენოდა.

დევებისა არ შემშინებია და მეფებ რა უნდა დამაკლოსო, - გაიფირა ნაცარქექიამ და ვეზირებს გაჰყვა.

ხელმწიფებ ყველაფერი უამბო.

- ჩემო ხელმწიფებ! ერთ ამბავს მოგიყებით და, თუ მახვილგონიერებას გამოიჩენთ, ყველაფერს მიხვდებით, - უთხრა ნაცარქექიამ და დაიწყო:

იყო ერთი ქვის მთლელი. ყოველდღე თითო ასპანურს - იქაურ ფულს აძლევდნენ გასამრჯელოდ. ამით საჭმელ-სასმელს ყიდულობდა, თვითონაც ჭამდა და მთელი ქალაქის გლახაკებსაც აჭმევდა. მეორე დღისთვის არაფერს ინახავდა. მოვიდა ერთი ღვთისნიერი კაცი. მისი ცხოვრება და მუშაობა რომ ნახა, ღმერთს შეევედრა: ღმერთო ერთი ეს კაციც გაამდიდრეო!

ანგელოზმა მას უთხრა:

- ჩვენ მაგისი ბუნება ვიცით. სიმდიდრე თუ მივეცით, სულ შეიცვლებაო.

- თავდებად მე დაგუდგებიო - მიუგო ამ კაცმა.

ერთ დღეს ქვის მთლელმა კლდე გამოკვეთა და მოულოდნელად ხვრელს მიადგა, ხვრელმა გამოქვაბულამდე მიიყვანა. იქ აურაცხელი განძი და ოქრო აღმოჩნდა. ქვის მთლელმა განძი გამოზიდა და სხვა ქვეყნაში გადაიხვეწა. იქ დიდი კაცი გახდა. მეფებ ვეზირობა უბოძა, მაგრამ ამის შემდეგ არც გლახაკები და არც ღმერთი აღარ გახსენებია. ანგელოზმა ქვის მთლელის სიხარბე შეიტყო და მასთან მისი თავდები კაცი გაგზავნა, მაგრამ იგი ასეთ დიდ კაცთან ახლოსაც არ მიუშვეს და გულნატკენი უკან დაბრუნდა.

ანგელოზმა პკითხა: რას იტყვი შენი თავდებობისასო?

- რა ვქნა, ჩემი ბრალია, რაც გენებოთ, ის მიყავითო!

ანგელოზმა უთხრა: თუ შენ არ გეწყინება, ისევ თავის წე-
რაქვს ვაძებნიებ, თუ კაცი სიმდიდრეს და პატივს ვერ დააფასებს,
ისევ სიგლახაკე უჯობსო.

ქვის მთლელი ვეზირობას არ დასჯერებია და მეფის მოკვლა
განუზრახავს. მეფეს ეს გაუგია და ქვეყნიდან გაუძევებია. ახლა
დადის ეს ქვის მთლელი და თავის წერაქვს ეძებს.

ნაცარქექიამ თვალები ეშმაკურად მოჭუტა და შიშისგან გა-
იტრუნა.

ხელმწიფე საზრიანი კაცი იყო და მიხვდა, რომ ქვის მთლელი
სიძუნწისა და სიხარბისათვის მკაცრად დაისაჯა.

- ვატყობ, შენ ბევრი სიკეთის მოტანა შეგიძლია, დარჩი ჩემ-
თან, მიამხანაგე, კარგად შეგმოსავ და ვეზირობასაც გიბოძებ. ის
ჯადოქარი სადმე უნდა ვიპოვო და პატიება ვთხოვო, მაგრამ სად
ვეძებო? სახელი მაინც ვიცოდე.

ხელმწიფეს სიტყვა პირზე შეაშრა, - თვალწინ ისევ ის ჯადო-
ქარი დაუდგა:

- დიდი ხანია გაკვირდები. ბოლო ხანს ძალიან გაზარმაცდი,
სიძუნწემაც შეგიპყრო, შენი საქციელი არ მომწონს, ამიტომაც
დაგსაჯე.

- გვაპატიეთ! - შეწუხდნენ ხელმწიფე და დედოფალი, - მეტს
აღარ ვიზამთ! დაგვიბრუნეთ ჩვენი ჯადოსნური ჯოხი, აბა, როგორ
ვიცხოვოთ?

- კმარა, დამშვიდდით, მიაპიებია, მაგრამ იცოდეთ, ჯოხს
აღარ დაგიბრუნებთ, ჯოხს ეკონომიკა გასწავლოთ, - უთხრა ჯადო-
ქარმა.

- ეს ალბათ ახალი ჯადოქრობაა, - გაიხარა დედოფალმა.

- ეკონომიკა - ეს არის მეცნიერება საოცრებების შესახებ.
თუ მას შეისწავლით, საოცრებებს თქვენც მოახდენთ, თანახმა
ხართ? - შეეკითხა ჯადოქარი.

- თანახმა ვართ, - ერთხმად უპასუხა ცოლ-ქმარმა.

- უპირველეს ყოვლისა, უნდა გახსოვდეთ, რომ ჯადოსნური
ჯოხი აღარ გაქვთ. ახლა თქვენი მოთხოვნილებებისა და სურვილე-
ბის დაკმაყოფილება ჯადოსნური ჯოხის გარეშე მოგიწევთ. თანაც
იცოდეთ, ყველა სურვილს ვერ შეისრულებთ, ეს შეუძლებელია.

- რას ნიშნავს **მოთხოვნილება?** რატომ არ შეგვიძლია ყველა სურვილის შესრულება? - იკითხა დედოფალმა.

- მე ვფიქრობ, მოთხოვნილება სამეცო სიტყვაა. როდესაც ვამბობ, რომ ვითხოვ, ეს ნიშნავს, რომ ყველაფერი დაუყოვნებლივ უნდა შესრულდეს. შესაძლებლობა ქვეშევრდომთა სიტყვაა, ისინი ყოველთვის მე მეკითხებიან, რა შეიძლება და რა არა, - მედიდურად განაცხადა ხელმწიფებელი.

- მართალია, ადრე ასე იყო, მაგრამ ხომ არ გავიწყდებათ, რომ ჯადოსნური ჯოზი აღარ გაქვთ? - შეახსენა ჯადოქარმა, - ასე რომ, ყველაფერს, რასაც მოისურვებთ, ვერ შეისრულებთ.

- მე მეფე ვარ, - აღმტოთდა ხელმწიფებელი, - ჩემი სიტყვა კანონია და რასაც მოვისურვებ, ყველაფერი უნდა შემისრულდეს! ახლავე სუფრა გაშალეთ!

- ნუ ყვირი! ჭირვეულობას თავი დაანებე! - მკაცრად უბრძანა ჯადოქარმა. - დამნაშავე ხარ! პატარა ბავშვივით იქცევი, შენმა სიძუნწებ და სიხარბებ დაგდუა.

ხელმწიფებელ ნაცარქექიას გადახედა და ჰკითხა:

- შენ რას იტყვი?

ნაცარქექიამ კეფა მოიქექა, თვალები მოჭუტა და ახალი ზღაპრის მოყოლა დაიწეო:

- იყო ერთი მეფე, ცხრა მმა ჰყავდა. ერთ შეუვალ ციხე-სიმაგრეში ცხოვრობდა. ღვთის გარდა არავის ეპუებოდა. რვა მმა მორჩილი და კეთილი იყო, ერთი კი - ურჩი და ავყია. ბევრს აფრთხილებდა ვეზირი, ამ ურჩსა და ღრმოს ნუ ენდობიო, მაგრამ მეფებ არ შეისმინა. იმ წყეულმა ხელმწიფეს ცოლი, ასული და რვა მმა დაუხოცა, ფულით სხვებიც მოისყიდა და მეფეც გააძევა.

- ჩემო ხელმწიფეებ! ღმერთი მეფეთაგან სიმშვიდეს, სიმდაბლე-სა და სულგრძელობას მოითხოვს. გვმოძლვრავს: თუ ყმები შენზე ჭკვიანები არიან, ისინი ამეფე და შენ მათ დაემორჩილეო. ეს კეთილი ჯადოქარი ბევრ კარგ საქმეს გასწავლით, თქვენ კი უყვირით და ყურსაც არ უგდებთ. სთხოვეთ, გაკვეთილი გააგრძელოს, - დაასრულა ნაცარქექიამ.

ხელმწიფეს შერცხვა და ჯადოქარს გაკვეთილის გაგრძელება სთხოვა.

- როცა რამე გვჭირდება და გვინდა გვქონდეს, ამას ეკონომიკაში

մոտեռաշնորհեա ձյգօա, - ցանացրմո չաճռյարմա. Ելմի՛ոյզ շսաւթմուծ դարիա, Շմի՛մուծ Շեպ՛յեա, մաս քամու մոտեռաշնորհեա ցայինդա. Ծակմելո, ցարտոնա, Քանսապմելո, Տաբեռաշնորհելո, մող նայրոնա — հայեն մոտեռաշնորհեա. Հայեն մոտեռաշնորհեա ճակմապոյլութեա Տեպաճասեպա Տամալութեա Շեփլութեա. Հայեն ճամռյուլութեա ցարտ հայեն Շեսամլութելութե, Մես-հայելութեթե, Հայեն ցըմունեան ճա մախե, ու ռաս անոյեթ շնորհալութեան մուռտմեց, Նոցն կո ծրոնչութեա յայու պայարս. ուստուալութեա արհեցան ցրտմանետուսացան ցանսեպաշնորհեա, մոտեռաշնորհեա կո պայլաս ցրտու այցն - ճակմապոյլութեա Շմի՛մուծ ցրմենա.

- մարտալուս, - ճայտանեմա ճաճռյալու, - հայեն Ելմի՛ոյզ շսաւթմուծ ար Տայրութեա, մե կո կոմմուս մուրածա մոյզարս. - Ես օգո ուս, ռապ ցանճա ցայունութեա, ան ուս, ռապ ցանճա հայետոն, հայեն մոտեռաշնորհեա?

- ռալապ կարցած ցեր ցազօցի! Վայելութեա հայեն մոտեռաշնորհեա և ռալոմ սենդա հայտալութ? Վայելութեա ցարյալու մշակուած ցավմլութ, - Վայութելունա մշուրմա Ելմի՛ոյզ, - ան, Տեպես Շեպելութ, Տիյմրես մեռլուծ ճաճութ ճաճութ Տայոյյեթ, ճաճռյալութ կո անու Վայելութեա կարուածու ցրտելու մարտաց. Վայոյիրութ, մոտեռաշնորհեա Տել Տեպա ռամա. մագալութ, անլա մե մշուս, սենդա ցուսայթմու, տորութ մուցելու ամբույզնութեա ճա Վամլութ մոտեռաշնորհեա ցամինճութ. Իմու անրութ, մոտեռաշնորհեա արուս ուս այցութեա, ռոմլութ ցարյալու պեռաշնորհեա Շյումլութելութ.

- ու ար ցութեա, մոտեռաշնորհեա արուս ուս, ռապ հայետութ այցութեալուս, - հայրութ ճաճռյալու. - մագալութ, Տելապ ար մոնդա Տիյազլա, մագրամ ուս եռմ այցութելուս ճա վայութմութ. Սայլութ Վայութ Վայութեա ար սպայարս, մագրամ, ու ազած ցանճա, Վամալութ սենդա ճաճութուս, օմութութ ռութ այցութելուս. Ռաջանապ Վամալու, Տակմելութ ճա Տիյազլա այցութելուս, ուս օգո ուս հայեն մոտեռաշնորհեա, ցուլանդութ ցաթպութ, մալուս մոյզարս Տիյմրեթ, մուլուրութ կածեն, անլութ ցարյանութ, մագրամ ուս եռմ համու Տյուրալութեա?

- ռորութ ցութեա - ու այցա չաճռյարմա, - պայլայուրու, ռապ համութ, մոտեռաշնորհեա մոյեպուտանեա, մագրամ Տեպա անամուս Տեպաճասեպա մոտեռաշնորհեա այցն. ուս, ռապ ցրտուստութ այցութ.

ბელია, მეორეს შეიძლება არც დასჭირდეს. მეტიც, ის, რაც დღეს გვჭირდება, ხვალ შეიძლება აღარც დაგვჭირდეს. მაგალითად, ვინც ვიოლინოს უკრავს, მას ეს საკრავი სჭირდება, ხოლო ვინც ვიოლინოს არ უკრავს, მას იგი არ სჭირდება. ან ავიღოთ ასეთი მაგალითი: თუ წვიმს, ქოლგა გჭირდებათ, თუ არა, ხელს გიშლით. ზამთარში ქურქი გჭირდებათ, ზაფხულში კი – სარაფნები.

– ოო, რა მნელია! ვერაფერი გავიგე! მაინც რაზეა დამოკიდებული ჩვენი მოთხოვნილებები? – ერთხმად იკითხა მეფე-დედოფალმა.

– რაკი ასეა, მოდი, ერთად ვიმსჯელოთ და კითხვებზე პასუხი გამეცით, – შესთავაზა ჯადოქარმა.

– აბა, მითხარით, ვის სჭირდება ჩხარუნა სათამაშოები?

– ვის სჭირდება თოვებინები?

– ვის სჭირდება მოტოციკლები?

– ვის სჭირდება მძივები?

– ვის სჭირდება ელექტროსაპარსები?

– ვის სჭირდება ფეხბურთის ბუცები? – რა თქმა უნდა, სხვა-დასხვა ასაკის ბავშვებსა და მოზრდილებს. ესე იგი ჩვენი სურვილები ჩვენს ასაკზეა დამოკიდებული.

– ვის სჭირდება თბილი ტანსაცმელი?

– ვის სჭირდება სარაფნები?

– ვის სჭირდება თხილამურები?

– ვის სჭირდება იახტები? – ჩვენი მოთხოვნილებები ჩვენს საცხოვრებელ ადგილზე და კლიმატურ პირობებზეც ყოფილა დამოკიდებული.

– ზოგი ბევრს კითხულობს, – განაგრძო ჯადოქარმა, – ზოგი სიმფონიური მუსიკის კონცერტებს ესწრება, ზოგი ხატავს. ესე იგი, ჩვენი მოთხოვნილებები ჩვენს ინტერესებსა და გატაცებებზეც არის დამოკიდებული.

ვთქვათ, საკუთარ სახლში ცხოვრობთ, ამ შემთხვევაში ხომ სისულელეა საერთო საცხოვრებელზე იოცნებოთ? ან, ვთქვათ, კარგად ისადილეთ და დესერტიც დააყოლეთ, პურს მაინც ინატრებდით?

ასე რომ, გუშინ სხვა მოთხოვნილება გვქონდა, დღეს – სულ სხვა, ხვალ კი სრულიად განსხვავებული მოთხოვნილება გვექნება,

- განმარტა ჯადოქარმა.

- ვის უყვარს ტკბილეული თქვენს სასახლეში?

- ვის უყვარს ხილი?

- ვის უყვარს ხორცი?

- ვის უყვარს კარტოფილი?

მოთხოვნილებები დამოკიდებული ყოფილა გემოვნებაზე, ჩვევებსა და კიდევ იმაზე, თუ რას ვანიჭებთ უპირატესობას, - დაასკვნა ჯადოქარმა.

- გავიგე! ის, რაც გვსურს და რაც გვჭირდება, ჩვენი მოთხოვნილებაა. მაგრამ ეკონომიკის გარეშეც კარგად ვიცი, რა მჭირდება და რა არა, - თქვა ხელმწიფებელი.

- როცა ჯადოსნური ჯოხი გქონდათ, ყველა სურვილს ადვილად იკმაყოფილებდით. ახლა ჯადოსნური ჯოხი აღარ გაქვთ. გაქვთ კი იმდენი **შესაძლებლობა**, რომ ყველა სურვილი დაიკმაყოფილოთ? ეკონომიკა იმისთვის არსებობს, რომ თქვენი შესაძლებლობების გამოყენებაში დაგეხმაროთ. მოთხოვნილებების დაქმაყოფილება სწორედ ეკონომიკაზეა დამოკიდებული, - თქვა ჯადოქარმა.

- კეთილო ჯადოქარო, გავიგე, რომ ჯადოსნური ჯოხი აღარ მაქვს, მე კი ძალიან მშია. რა გავაკეთო იმისათვის, რომ ვისაუზმო? - აწუწუნდა ხელმწიფებელი.

- შესაძლებლობა ბევრი გაქვთ. გნებავთ, კაფეში წადით და გამზადებული საუზმე მიირთვით, გნებავთ, თვითონ მოამზადეთ, - აუხსნა ჯადოქარმა.

- რას ამბობთ! ვერსადაც ვერ წავალ, არც ენერგია მაქვს და არც სურვილი, ვერც ვერაფერს მოვამზადებ, რამე მიშველეთ, თორებ შიმშილით მოვკვდი, - შეევედრა ხელმწიფებელი. მერე ისევ ნაცარქექიას გადახედა და პკითხა: - აბა, ახლა რას მირჩევო?

- კარგად მომისმინთ, - უთხრა ნაცარქექიამ და დაიწყო:

იყო ერთი ბიჭი. პყავდა დედა და ერთი ხარი. ხვნის ან ლეწვის დროს ხართან უღელში ხან შვილი, ხან დედა შეებმებოდნენ ხოლმე. ერთხელ ხართან უღელში დედა იყო შებმული, შვილი კევრზე იდგა და ასე ლეწავდნენ ძნას. ამ დროს ხელმწიფებელი გამოიარა.

- ბიჭო, რას შვრები მაგას, რა გიქნია საცოდავი დედაკაცისთვისო? - პკითხა ხელმწიფებელი.

-რა გქნა, შენი ჭირიმე, ერთი ხარის მეტი არა გვავს, ასე ვშველით ხარს უდღის გაწევაშიო! – მიუგო ბიჭმა.

- მაშ, თუ ეგრეა, წამოდი ჩემთან და მე მოგცემ ერთ ხარსო, – უთხრა ხელმწიფემ.

ბიჭს გაუხარდა და გაჰყვა.

თურმე ხელმწიფეს ერთი ისეთი გიუ ხარი ჰყავდა, რომ ახლოს არავის იკარებდა. დაასია ხელმწიფემ ამ ხარს თავისი ჯარი და რის ვაი-ვაგდახით შეაგდეს სადგომში.

ბიჭმა უთხრა: რამდენიმე დღეს ნურაფერს აჭმევთო.

გავიდა ხანი. ერთ დღეს ბიჭმა ხარს მიაკითხა და ცოტა თივა დაუყარა, მერე ხარი დაიჭირა, თივა იღლიაში ამოიდო და ხარს წინ გამოუძღვა. მოიყვანა შინ, შეაგდო ბოსელში და ოთხი დღე არაფერი აჭამა. მესუთე დღეს გამოიყვანა, შეაბა კევრში თავის ხართან, დედა კევრზე დასვა, თვითონ თივა აიკიდა და გაუძღვა წინ. გაჰყვა მშიერი ხარი უქან. ბოლოს ისე მოარჯულა ეს ხარი, რომ ყველა გააკვირვა.

ერთხელ ბიჭი ხარებს კალოზე დააქროლებდა, თვითონ კევრზე იღგა და ოროველას დასძახოდა. ამ დროს ხელმწიფემ გამოიარა და ბიჭს ჰკითხა:

– ვისია ეგ ხარი?

– ჩემია, შენი ჭირიმე, თქვენ რომ მაჩუქეთ, ის ხარიაო, – მიუგო ბიჭმა.

მეფეს გაუკვირდა და ბიჭს უთხრა:

– წამოდი ჩემთან, ერთი ქალი მყავს და შენ უნდა მოგათხოვოო.

– რას ბრძანებ, შენი ჭირიმე, მე რა თქვენი ქალის ლირსი ვარო,

– გაუკვირდა ბიჭს.

თურმე ამ ხელმწიფეს ერთი ისეთი ზარმაცი ქალი ჰყავდა, რომ დაბადებიდან ლოგინიდან არ ამდგარა, იქვე ჭამდა და სვამდა. მივიდნენ სასახლეში. ეს ბიჭი კიდევ შეეხვეწა:

– გამათავისუფლე, შენი ჭირიმე, რა ჩემი საქმეა ეს ქალიო! ხელმწიფემ თავისი არ დაიშალა. ბიჭმა ქალი სახლში წამოიყვანა. გაუშალეს ლოგინი, ჩაწვა შიგ ქალი, არც იქით იძვრის და არც აქეთ.

მეორე დღეს დედა და შვილი სამუშაოდ წავიდნენ კალოზე.

მთელი დღე იმუშავეს, გალეწეს, გაანიავეს და საღამოს შინ დაბრუნდნენ. დედამ დაუძახა შვილს:

- შვილ!
- რა გინდა, დედი?
- საქმე ვინ გააკეთა?
- მე და შენა! – მიუგო შვილმა.
- პური ვინა ჭამოს?
- მე და შენა!

ჭამა დედა-შვილმა პური, ქალი კი მშიერი უყურებდა. დაწვნენ და დაიძინეს. მეორე დღეს ისევ სამუშაოდ წავიდნენ. ასე გაატარეს ოთხი დღე. ქალს მეხუთე დღეს ისე მოშივდა, რომ სულ კუჭი ეწვოდა შიმშილით. თუ არა გავაკეთე რა, ეს ხალხი მშიერს მომკლავსო, – თქვა მან, მისწვდა საწოლიდან ცოცხს და გარშემო შემოიგავა. დედა და შვილი საღამოს დაბრუნდნენ.

- შვილ!
- რა გინდა, დედი?
- საქმე ვინ გააკეთა?
- მე და შენა! – უთხრა შვილმა.
- პური ვინა ჭამოს?
- მე და შენა!

დასხდნენ დედა-შვილი და ჭამეს პური.

დედამ შვილს უთხრა:

– ცოტა პური ამასაც მოვუტეხოთ, თავის გარშემო შემოუგვიაო.

მოუტეხეს ერთი ხელისგულისოდენა პური. ცოტა პურმა ქალს მადა უფრო გაუღვიძა. მეორე დილით, დედა და შვილი სამუშაოდ რომ წავიდნენ, შიმშილმა ისე შეაწუხა ეს ქალი, რომ ადგა, აიღო ცოცხი და ნახევარი კერა დაგავა, მერე მივიდა და ისევ ლოგინში ჩაწვა. მოვიდნენ დედა-შვილი, ჭამეს და ნახევარი პური ქალსაც მოუტეხეს კერის დაგვისათვის.

დილით ისევ სამუშაოდ წავიდნენ. ქალი ადგა, მთელი სახლი დაგავა, ლოგინი დაბერტყა, დააგო და ისევ შიგ ჩაწვა. საღამოს დედამ და შვილმა ივახშმეს და ქალსაც ერთი მთელი პური მიუტანეს.

დილით ჩვეულებრივ დედა-შვილი სამუშაოზე წავიდნენ. ქალმა იფიქრა: ეს კარგი, ერთი პური დღეს და ხვალ მეყოს, მერე?

თუ არა გავაკეთე რა, ეს ხალხი შიმშილით მომკლავსო. ადგა, აალაგა ლოგინი, დაიბანა პირი, დაგავა, დაასუფთავა სახლი, ჯამ-ჭურჭელი დარეცხა, დააკრიალა, კერიაზე შეჭამადი შემოდგა, მოირთო და ისე დახვდა დედამთილსა და ქმარს. დედა-შვილს გაუხარდათ, გადაეხვივნენ და გადაკოცნეს. ამის შემდეგ ისე მორ-ჯულდა ეს ქალი, რომ ბადალი არ ჰყავდა.

ერთხელ ხელმწიფებ თქვა: მოდი, წავალ, გავიგებ, როგორ არის ჩემი ქალი, ცოცხალია თუ მკვდარი!

დედამთილი და ქმარი სამუშაოდ იყვნენ წასული, ქალი დერე-ფანში იჯდა და ლობიოს არჩევდა. დაინახა მამა, გაექანა და გადაეხვია. მეფეს ძალიან გაუხარდა, რომ თავისი ქალი ასე ნახა. ქალმა უთხრა მამას:

- ჩემი ქმარი, ვინც საქმეს არ გააკეთებს, პურს არ აჭმევს, აბრძანდით ვეზირებთან ერთად და ბანი დატკეპნეთო!

ამ ქალის ქმარს ის-ის იყო ახალი ქვიტკირის სახლი აეგო და ბანზე მიწა იყო დაყრილი. გახარებული მეფე ვეზირებთან ერთად ავიდა ბანზე და კარგად დატკეპნა. ამ ღროს დედა-შვილიც მოვიდნენ, გამართეს ლხინი. მეფემ დაასაჩუქრა თავისი სიძე და ქალი და დაიწყეს ტკბილი ცხოვრება.

- ვინც საქმე გააკეთა, პურიც იმან ჭამოსო, - გაიმეორა დედოფალ-მა და ხელმწიფეს გადახედა, - არავინ დაგვეხმარება, თუ თავს თვითონ არ ვუშველეთ. საჭმლის მომზადება მეც შემიძლია, მშობ-ლების ოჯახში ვისწავლე, ჩემო ძვირფასო, შენც მომეხმარე! სამე-ფო საწყობში ჩადი და პროდუქტები ამოიტანე. მე ყველაფერს მოგიმზადებ. რძე და კარაქი მერძევეს გამოართვი!

- ახლავე! - გაუხარდა ხელმწიფეს და სარდაფისაკენ გაიქცა.
- მაშ, ასე, ვინც მრომობს, პურსაც ის ჭამს, მე კი მესამე გაკვეთილს ერთი კვირის შემდეგ ჩაგიტარებთ, - დაემშვიდობა ხელმწიფესა და დედოფალს ჯადოქარი.

პითხვები გამეორებისათვის

1. რა არის ეკონომიკა?
2. რა არის მოთხოვნილება?
3. რატომ არ შეიძლება ყველა სურვილის შესრულება?
4. რაზეა დამოკიდებული ჩვენი მოთხოვნილებები?
5. რაზეა დამოკიდებული ჩვენი მოთხოვნილებების დაქმა-
ყოფილება?
6. რა არის შესაძლებლობა?
7. რაზეა დამოკიდებული ჩვენი შესაძლებლობები?
8. მოთხოვნილებები უსწრებს შესაძლებლობებს თუ პი-
რიქით - შესაძლებლობები მოთხოვნილებებს?



იქნებ დახატოთ ხელმწიფე, დედოფალი, ნაცარქექია, პე-
თილი კადოქარი და ჩამოწეროთ ოქვენი ძოთხოვნილებები.

II 0 9 8 1

შეზღუდულობა და არჩევანი (III-IV გაკვეთითი)

გავიხსენოთ ხელმწიფე და მისი ჯადოსნური ჯოხი. გავიხსენოთ ჯადოქარი, რომელმაც სიხარბისა და სიძუნწისათვის ხელმწიფე დასაჯა, ჯადოსნური ჯოხი წაართვა და თავსატეხი გაუჩინა.

- ვის ახსოვს ხელმწიფის გასაჭირი?

- იცოდა თუ არა მეფემ, როგორ მოქცეულიყო?

- ვინ აღუთქვა დახმარება მეფეს და როგორ?

(რგოლური ციტაცია)

რაზრდებ ისტორიუმის რა რეზისურ რიცხვების რაოდორი?

- რაზე საუბრობდნენ მეფე, დედოფალი და ჯადოქარი?

(ციტაცია არაუგრძელებელი)

- რა არის მოთხოვნილება?

- კიდევ რაზე საუბრობდნენ მეფე, დედოფალი და ჯადოქარი?

(ციტაცია არაუგრძელებელი)

- რა არის შესაძლებლობა?

- რაზე დამოკიდებული მოთხოვნილებები?

(ციტაცია არაუგრძელებელი)
რაზე მოთხოვნილების მოთხოვნილებები?

- კიდევ რაზე შეიძლება იყოს დამოკიდებული მოთხოვნილებები?
აბა, იფიქრეთ!

ერთმა კვირამ გაიარა. მეფესა და დედოფალს უამრავი საზრუნავი დაუგროვდათ.

- ასე როგორ უნდა ვიცხოვროთ! – ჩიოდა დედოფალი, – უამრავი რამ მინდა ვიყიდო, მაგრამ ფული ცოტა გვაქვს.

- როგორ თუ ცოტა? - გაუკვირდა ხელმწიფეს. - საოცარია! ამ სახელმწიფოში მე ყველაზე მეტი ფული მაქვს.

- მაინც ცოტა! რა საშინელებაა! ფული არასოდეს მყოფნის - ჯიუტობდა დედოფალი.

- რა უნდა ვქნათ? - ამოიოხრა მეფემ, - ძროხაც იმდენი არა გვყავს, რომ კარაქი გამოულევლად გვქონდეს.

- მარტო ჭამაზე ხომ არ უნდა ვიფიქროთ, კაბებიც მჭირდება, პრინცესაც ჩაუცმელია. ერთი ახალი საკაბე მქონდა, ვიფიქრე, ორივეს გვეყოფა-მეთქი, მაგრამ საკმარისი არ არის, - წუწუნებდა დედოფალი.

- შეიძლება იყო მეფე და კარაქი არ გქონდეს? - ოხრავდა ხელმწიფე.

- დილიდან საღამომდე ჩიკორივით ვბზრიალებ, საქმე მაინც არ თავდება. საქმე არც შენ გაკლია, ჩემი ხელმწიფევ. ზამთარი კარს მოგვადგა, ამისთვისაც ხომ უნდა იზრუნო.

- რა ვქნა, დრო არც მე მყოფნის. ყველაფერს მე ხომ არ გავაკეთებ. აი, ხვალ კიდევ უკარაქოდ უნდა ვისაუზმო.

- ღმერთო ჩემო! - იყვირა დედოფალმა, - რა დაიჩემე ეს კარაქი. შვილების ამბავი საერთოდ არ გაინტერესებს. უფლისწულმა მათე-მატიკაში ორიანიც კი მიიღო.

- საწყალი ბიჭი, ეს ხომ შთამომავლობითია, მათემატიკა არც მე მეხერხებოდა, სამაგიეროდ სეფე-სიტყვების წარმოთქმაში პირველი ვიყავი. არაჩეულებრივი მეხსიერება მქონდა და იცი, რატომ? საუზმეზე ყოველ დილით კარაქიან პურს ვჭამდი.

- მალე გრძნობას დავკარგავ! - ეს რა უბედურებაა! - მოთქვამდა დედოფალი.

დაწყნარდით! ნუ ნერვიულობთ! ნუ ჩხუბობთ! - გაისმა ჯადოქრის ხმა, - გავაგრძელოთ ჩვენი გაგვეთილი. ახლა აგიხსნით, რომ თქვენს ამ გასაჭირს ეკონომიკის ენაზე **შეზღუდულობა** ჰქვია.

- ვინ ლაპარაკობს! ეს ვისი ხმაა? - შეეშინდა დედოფალს - ბოროტო ფერია, შენა ხარ?

- ბოროტი ფერიები მხოლოდ ზღაპრებში არიან, ცხადში ისინი არ არსებობენ, - ღიმილით მიუგო კეთილმა ჯადოქარმა და განაგრძო: ვხედავ, ყველაფერი დაგვიწყებიათ. ხომ აგიხსენით, როცა მოთხ-

ოვნილებები იზრდება, პრობლემებიც მატულობს. ყველა მოთხოვნილების დაკმაყოფილება შეუძლებელია, თქვენ ამდენი შესაძლებლობა არა გაქვთ, არც ფული გეყოფათ, რომ ყველაფერი იყიდოთ, არც ნედლეული და სხვა მასალაა იმდენი, რომ საჭირო ნივთები დაამზადოთ, ყველაფრისათვის არც ცოლნა გეყოფათ, არც უნარი, არც ფული. ის, რაც გუშინ გქონდათ, დღეს აღარ გინდათ, ზვალ კიდევ ახალი სურვილი გაგიჩნდებათ და ასე უსასრულოდ. რაც უფრო მდიდარი ხართ, მით უფრო მეტი გინდათ. ვის არ უნდა ახალი ტანსაცმელი? რა თქმა უნდა, ახალი ტანსაცმელი ყველას უნდა. ძველი გბეზრდებათ, ან შეიძლება სულაც არ მოგეზრებიათ, მაგრამ ახლის შეძენა მაინც გსურთ.

ბავშვებო! თქვენც ხომ მოგწონთ ახალ-ახალი ტანსაცმელი და ნივთები. თქვენ შეგიძლიათ მშობლებს სთხოვოთ, ვიყიდონ ყველაფერი, მაგრამ მათ ვის უნდა სთხოვონ? ხშირად ვერც მშობლები ახერხებენ საჭირო ნივთების შეძენას.

აბა, გაიხსენეთ, რამდენჯერ ყოფილა შემთხვევა, როცა ვაკეთილები გაქვთ მოსამზადებელი ან საოჯახო საქმეში გთხოვეს დახმარება, ან ძალიან საინტერესო წიგნი სულ ცოტა ხნით გათხოვეს და წაკითხვა უნდა მოასწროთ, თქვენ კი ამ დროს ეზოში თამაში გინდათ.

დრო, მგონი, არც თქვენ გყოფნით. დღე მალე იწურება, ყველაფრის გაკეთებას ვერ ასწრებთ და ძილის დროც მოდის.

საქმე ისაა, რომ სურვილი უფრო მეტი გაქვთ, ვიდრე მათი შესრულების შესაძლებლობები, მაგრამ მარტო თქვენ კი არა, დრო დიდებსაც არ ჰყოფნით. დროს ვერ შეაჩერებთ, ვერც საათების რაოდენობას გაზრდით.

ახლა თქვენ იკითხავთ, ზოგიერთი ხომ ყველაფერს ასწრებს, ასეთი ადამიანები უფრო მოწესრიგებულები და უფრო მოხერხებულებიც არიან. სწორედ ასეთმა ადამიანებმა მოიგონეს დღის წესრიგი, განრიგი, რეჟიმი და კიდევ ბევრი რამ. ისინი დროს უქმად არ აცდენენ, ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ დრო ეკონომიკურად დახარჯონ, იგონებენ ათასნაირ ინსტრუმენტს, მექანიზმსა და მოწყობას.

- როგორ ანაწილებთ დროს?

- რა ხერხებს მიმართავთ იმისათვის, რომ დრო ცოტა დახარჯოთ, საქმე კი ბევრი გააკეთოთ?

- ვის უნდა რომ ფრიადოსანი იყოს?
- ვის უნდა, რომ გამოჩენილი სპორტსმენი იყოს?
- ვის უყვარს მუსიკა?
- ვის უნდა მსახიობობა?
- ვის უნდა, რომ მხატვარი იყოს?

ამბობენ, ადამიანების უმეტესობა დაბადებით ნიჭიერია, მაგრამ ბევრი მათგანი თავის ნიჭს ვერ ამჟღავნებსო და იცით, რატომ? იმიტომ რომ უძრავლესობას თამაში და გართობა ურჩევნია, სწავლისათვის კი დრო ცოტა რჩება. ვისაც ყველაფერი ადვილად გამოსდის, მასზე ამბობენ, ნიჭიერიაო. ყველამ კარგად იცის, რომ ერთ დღეში კარგ შედეგებს ვერ მიაღწევს. ამისათვის მხოლოდ მონდომება და სურვილი საკმარისი არ არის, საჭიროა ნიჭი, ცოდნა, ცოდნა კი სწავლის შედეგია.

გარდა ამისა, ჩვენ ძალიან შეზღუდულები ვართ, ესე ივი ჩვენი მოთხოვნილებების დასაქმაყოფილებლად ჩვენი შესაძლებლობები არ კმარა. როგორ მოვიქცეთ? რა გზას დავადგეთ? როგორი უნდა იყოს ჩვენი **არჩევანი?**

არჩევანის გაკეთება არც ისე იოლი საქმეა, ჯერ კარგად უნდა დაფიქრდე, რა ჯობია:

ვთქვათ, დედამ მოგცათ 1 ლარი. ეს ფული თქვენ გეპუთვნით და როგორც გინდათ, ისე დახარჯავთ. რას იყიდით ამ ფულით?

იყიდით 10 ჩუპა-ჩუპსს, „ტომი და ჯერის“ 20 მისაწებელელ ეტიკეტს თუ ორ ნაყისს? ან იქნებ შოკოლადის კვერცხი გირჩევნიათ? კარგი იქნება, ყველაფერი ერთად იყიდოთ, მაგრამ ეს შეუძლებელია, ამისთვის 1 ლარი საკმარისი არ არის.

მოვიყვანოთ მაგალითი: ირაკლი ამ ფულით მხოლოდ შოკოლადის კვერცხს იყიდდა და იცით, რატომ? იმიტომ, რომ შოკოლადს შეჭამდა და სათამაშოც დარჩებოდა. ნაყისზე უარს იტყოდა, ყელი მეტკინებაო, ჩუპა-ჩუპსზე კი - ენას შემიღებავსო.

მაგრამ წარმოვიდგინოთ, რომ ირაკლიმ იყიდა 10 ჩუპა-ჩუპსი, შეადგინა აღბომი და ჯილდოდ უცხოეთში მოგზაურობაც ერგო. რა სკობს - შოკოლადის კვერცხი თუ კონკურსში გამარჯვება? თქვენ რას აირჩევდით?

დააკვირდით, ყველას სხვადასხვა სურვილი გაქვთ, ერთმანეთისაგან განსხვავებული. ასევე განსხვავებულია თქვენი არჩევანიც.

ახლა ჩვენ გმეცადინეობთ და ეკონომიკას ვსწავლობთ, ზოგიერთი თქვენი ამხანაგი ბაღში სეირნობს, ზოგი სამუსიკო სკოლაში დაღის, ზოგს სპორტული სკოლა ურჩევნია, ზოგი დედას ეხმარება, ზოგი კი ეზოში მარტო თამაშობს. თქვენ კარგად უნდა გესმოდეთ, რომ არჩევანის დროს ან იძნოთ, ან კარგავთ. ჩვენ ყველაფერი გვინდა, არაფრის დაკარგვა არ გვსურს, მაგრამ გვავიწყდება, რომ ფულითაც და დროითაც შეზღუდულები ვართ. არჩევანი აუცილებელია, ეკონომიკას ცოდნა კი სწორ არჩევანში დაგვეხმარება.

გთავაზობთ ერთ თამაშს:

მოამზადეთ ორმხრივ დასურათებული ფურცლები. მაგალითად, ფურცლის ერთ მხარეზე ვაშლი იყოს, მეორეზე კი – ბანანი. ამოჭერით ფურცელი და არჩევანი თქვენი სურვილის მიხედვით გააკეთოთ. გაითვალისწინეთ თუ ვაშლს ამოჭრით, ბანანი გაფუჭდება, თუ ბანანს ამოჭრით, – ვაშლი. არჩევანი თქვენზეა.

რომელს მიანიჭეთ უპირატესობა და რატომ?

პითხვები გამოორებისათვის

1. რა არის შეზღუდულობა?
2. რა კაგშირია მოთხოვნილებებსა და შეზღუდულობას შორის?
3. რა არის არჩევანი?
4. რატომ უნდა გავაკეთოთ სწორი არჩევანი?
5. რა კაგშირია შეზღუდულობასა და არჩევანს შორის?



გააკეთეთ ჩანახატი, დახატეთ თქვენი ოცნების საგანი. რა არის საჭირო იმისთვის, რომ თქვენი ოცნებები და სურვილები შესრულდეს და რა გიშლით ხელს ამაში, რით ხართ შეზღუდულები?

III თ ე მ ა

საქონელი და მომსახურება (V-VI გაკვეთილი)

ჩვენ უკვე ვიცით, რას ნიშნავს მოთხოვნილება. ისიც ვიცით, რაზეა დამოკიდებული ჩვენი მოთხოვნილებები, და ისიც, რომ მათი სრულად დაკმაყოფილება შეუძლებელია. გავიხსენოთ ზღაპარი:

- რატომ აეშალა ნერვები დედოფალს?

- რატომ იყო შეზღუდული მეფე?

- რატომ ვერ აგვარებდნენ პრობლემებს?

მათ ვერ შეძლეს თავიანთი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, იმიტომ რომ მოთხოვნილებები მეტი პქნინდათ, ვიდრე შესაძლებლობები.

ყველაფერს ვერ ვიყიდით, ფული არ გვყოფა; ვერც ყველაფრის გაკეთებას ვასწრებთ, დრო არ გვყოფნის. უცბად დიდი მუსიკოსები, დიდი სპორტსმენები ან დიდი მეცნიერები ვერ გავხდებით. საჭიროა შრომა და სწავლა.

როგორ მოვიქცეთ ასეთ შემთხვევაში?

უპირველეს ყოვლისა, ვისწავლოთ ჩვენი მოთხოვნილებებისა და შესაძლებლობების შედარება, სწორი არჩევანის გაკეთება, იმ არჩევანისა, რომელიც მეტ სარგებლობასა და კმაყოფილებას მოგვიტანს. ახლა კვლავ ზღაპარს დაგუბრუნდეთ.

ის იყო, ქეთილი ჯადოქარი მორიგი გაკვეთილის დაწყებას აპირებდა, რომ კართან პრინცესა გამოჩნდა.

- ცუდი ამბავი გავიგე: როგორ ველოდებოდი, რომ პრინცი ჩამოვიდოდა, მაგრამ ბებია ავად გახდომია და თურმე მისი მარტო დატოვება არ შეუძლია.

- ასე ნუ ნერვიულობ, იქნებ რამე მოვიფიქროთ, - სცადა მისი დამშვიდება ხელმწიფებ.

- კეთილო ჯადოქარო, თქვენი იმედი გვაქვს! იქნებ დაგვეხმაროთ! – სთხოვა დედოფალმა.

- მიშველეთ, დამეხმარეთ, პრინცი მომწონს და მინდა ცოლად გავყვა, – შეევედრა პრინცესა.

- ეჰ, ჩემო კარგო! ჯადოქარი კი ვარ, მაგრამ მარტო ეკონომიკაში თუ დაგეხმარები, სიყვარული, მეგობრობა და ადამიანთა ურთიერთობები ჩემი სფერო არ არის.

- როგორ, განა სიყვარული ჩვენი მოთხოვნილება არ არის? – გაუკვირდა დედოფალს.

- არა, ეს ისეთი მოთხოვნილებაა, რომელიც ეკონომიკას არ ეხება.

- იქნებ ნაცარქექიას ვთხოვოთ და მირჩიოს რამე, – თქვა პრინცესამ.

- უარს არ გვეტყის, – უპასუხა ხელმწიფებ და ნაცარქექია იხმო.

- ერთ სოფელში ცოლ-ქმარი ცხოვრობდა, – დაიწყო ნაცარქექიამ, – ერთი ვაჟი ჰყავდათ. როცა ვაჟს ქორწინების დრო დაუდგა, მშობლებმა სთხოვეს, წადი, საღმე კარგი ქალიშვილი შეარჩიე და რძლად მოგვიყვანეო. გაუხარდა ვაჟს, ქალაქის გზას დაადგა და ერთ თერმოან მივიდა. ის თერმი მათი ოჯახის მეგობარი იყო. ვაჟმა მას დახმარება სთხოვა.

- გამიგია, ერთ სოფელში ძალიან კარგი ქალიშვილი ცხოვრობს. უბედურება ის არის, დედა გარდასცვლია. მამამისს ეს ერთა-დერთი ასული დარჩენია და მისი გათხოვების გაგონებაც არ უნდა, – უთხრა თერმმა ვაჟს.

- არა უშავს, მთავარია ქალი მომეწონოს და მამამისთან საქ-მის მოგვარება ჩემზე იყოსო, – უპასუხა ვაჟმა.

მეორე დღეს ქალის მამა ბაზარში საყიდლებზე ყოფილა და თერმთანაც შეიარა. ვაჟმა მოხუცი კარგად შეათვალიერა და კმაყოფილი დარჩა. მოხუცს თეთრი, ქათქათა, გულმოდგინედ დაკერებული პერანგი ეცვა.

საღამოს, ბაზრობა რომ დამთავრდა, მოხუცი სოფლელებთან ერთად გზას დაადგა. ვაჟიც მას გაჰყვა.

გზა მაღლა მთებში მიდიოდა. ვიწრო ბილიკზე ქვები ეყარა და მოხუცს სიარული უჭირდა. ბიჭმა რამდენჯერმე ზელი შეაშველა და მერე ხუმრობით უთხრა: ძიაკაცო, ერთი ასპანური (იმ ქვეწის ფული) როგორ ვერ გაიმეტე, რომ ცხენი გეყიდაო?

— რას ამბობ, ერთ ასპანურად ცხენს ვინ მომცემსო, — უპასუხა მოხუცმა.

სოფელში რომ შევიდნენ, ბიჭმა საშემოდგომო ნათესები დაინახა და იკითხა, — ეს ნათესები გათიბულია თუ არაო? მოხუცს გაუკვირდა, — ასე ადრე ნათესებს ვინ გათიბავდაო?

საუბარში ვაჟმა მოხუცი სახლამდე მიაცილა. ამასობაში ბინდიც ჩამოწვა, მოხუცს ვაჟი შეეცოდა, სახლში შეიპატიქა. სტუმარი ლამაზ გაწკრიალებულ ოთახში შეიყვანა.

— ქალი კარგი დიასახლისი უნდა იყოსო, — გაიფიქრა ვაჟმა, ჩუმად ფანჯარასთან მივიდა და ქალი შეათვალიერა. იგი მაღალი და მალიან ლამაზი ჩანდა, თუმცა ეტყობოდა, ფეხი ახალი ნაღრმობი ჰქონდა და კოჭლობდა.

— თუ ჭკვიანიც აღმოჩნდა, ნამდვილად ცოლად მოვიყვანო, — გადაწყვიტა ვაჟმა და მოხუცს პკითხა:

— ძიაკაცო, სახლი სასახლეს გიგავს, ხელმწიფეც კი არ იტყვის უარს აქ ცხოვრებაზე, მაგრამ ეს საკვამური მოღრეცილი რად არის?

— ქალი კარებთან იდგა, ვაჟის ნათქვამი გაიგონა და უპასუხა:

ეგ არაფერი, თუ მოღრეცილია, მთავარია, ალი სწორად ავიდესო.

ვაჟმა გაიფიქრა, ქალი ჭკვიანი ყოფილაო. მოხუცმა ქალიშვილს პურის გამოცხობა და ვახშმის მომზადება დაავალა, თანაც უსაყველურა: ამ სულელს რატომ გამოელაპარაკე, გზაში მკითხა, ერთ ასპანურად ცხენი რატომ არ იყიდე და საშემოდგომო ნათესები ვინ გათიბაო.

— არა, ეს ვაჟი სულელი არ არის, — მიუგო ქალიშვილმა, — ერთ ასპანურად ცხენი რატომ არ იყიდეო რომ გითხრა, ჯოხს გულისხმობდა და არა ცხენს, ჯოხით ხომ უფრო ადვილად აივლიდი აღმართსაო. ნათესებზე კი ნაკვალევი შეუმჩნევია. აბა, ვის გაუგია საშემოდგომო ნათესების გაზაფხულზე თიბვა. საკვამური მოღრეცილი გაქვსო, რომ გითხრა, ჩემზე იხუმრა, მე ხომ ფეხი მტკივა

და ვპოჭლობო.

— ვაუმა მათს საუბარს ყური მოჰკრა და ამ ქალზე დაქორწინება გადაწყვიტა. — დაასრულა თავისი ნაამბობი ნაცარქექიამ და პრინცესას ურჩია:

— ჩემო პრინცესა, წადი, პრინცს ესტუმრე, ჭკუითა და ოჯახში საქმიანობით თავი გამოიჩინე, პრინცი შეგიყვარებს და ცოლადაც შეგირთავს.

ნაცარქექიას რჩევა დიდად მოეწონათ. ხელმწიფე და დედოფალი პრინცესას გამგზავრებაზე დათანხმდნენ, თან ექიმის წაყვანაც შესთავაზეს, ბებიას მოარჩენსო. არც ექიმს უთქვამს უარი.

მალე პრინცესა და ექიმი სტუმრად გაემგზავრნენ.

ჯადოქარმა გაკვეთილი გააგრძელა:

— დღეს ჩვენ **მომხმარებლებზე** უნდა ვისაუბროთ.

— მე მეფე ვარ და არავითარ შემთხვევაში სხვა ადამიანად არ ვიქცევი, — ამაყალ განაცხადა ხელმწიფემ.

— ხელმწიფობას არავინ გართმევთ, მაგრამ, ვინც უნდა იყოთ — ხელმწიფე, ფერმერი, მეწარმე, მქსოველი, ასაკოვანი თუ მცირეწლოვანი, მსუქანი თუ გამხდარი, როცა მოთხოვნილებებს იქმაყოფილებთ, მომხმარებელი ხდებით.

მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის მრავალი გზა და ხერხი არსებობს. მაგალითად, გინდათ სოკო?

— რას აკეთებთ იმისათვის, რომ სოკო მიირთვათ?

— თქვენ ან ტყეში მიდიხართ სოკოს მოსაკრეფად, ან მაღაზიაში ყიდულობთ, ხომ ასეა?

აი, როცა მაღაზიაში ყიდულობთ, იძენთ საქონელს, ამასთან, მომსახურებით სარგებლობთ.

— საქონელი რა არის? — იკითხა ხელმწიფემ.

— როგორ გავიგოთ, რას ნიშნავს მომსახურება? — არ ჩამორჩა დედოფალი.

საქონელი არის ნივთი, რომელსაც ვყიდულობთ. შეგვიძლია იგი მოვიხმაროთ, ხელით შევეხოთ, გადავიტანოთ ერთი ადგილიდან მეორეზე, დავმალოთ ან გავტეხოთ და ასე შემდეგ.

— გავიგე! — წამოიძახა მეფემ, — მაგიდა, სკამი, პური, კარაქი, პალტო, კბილის ჯაგრისი — ყველაფერი ეს საქონელია.

დედოფალი ჩაფიქრდა და თქვა: მე მგონი, ეს ხელთათმანებიც, ჩემთვის რომ ვქსოვ, საქონელია.

-არა, - მიუგო ჯადოქარმა. ყველა ნივთი საქონელი როდია.
საქონელი ის ნივთია, რომელიც დამზადებულია გასაყიდად.

- საქონელი გავიგეთ, მაგრამ რა არის მომსახურება? - იკითხა ხელმწიფება.

მომსახურება საქმიანობის განსაკუთრებული სახეობაა. მაგალითად, თუ კბილი გტკივათ, ექიმი მოგემსახურებათ, თუ თმას იჭრით - პარიკმახერი. მომსახურება შეუძლიათ იურისტებს, გამყიდველებს, დამლაგებლებს, მებაღეებს, მასწავლებლებს.

საქონელი ნივთია, მომსახურება კი ისეთი საქმიანობაა, რომელსაც ვერც ხელით შეეხებით, ვერც დამალავთ, ვერც გატეხთ და ასე შემდეგ.

მე ეკონომიკას გასწავლით, ესე იგი მომსახურებას გიწევთ, - დაასკვნა ჯადოქარმა.

- ძალიან საინტერესოა! მე რომ ქვეყანას ვმართავ, ესეც მომსახურებაა? - იკითხა ხელმწიფებელი.

- რა თქმა უნდა. თუ ისეთ საქმეს აკეთებთ, რომლის შედეგადაც ნივთი არ იქმნება, ის მომსახურებად ითვლება, - დაეთანხმა ჯადოქარი.

ბავშვებო, თქვენ რა საქმე გეხერხებათ?

ახლა კარგად მისმინეთ: თქვენ იცით, რა არის საქონელი, რა არის მომსახურება და ისიც უნდა იცოდეთ, რომ მომხმარებლები ხართ. როგორც კი დაიბადეთ და პირველი საფეხნები შევიძინეს, მომხმარებლები გახდით. თქვენ მთელი ცხოვრება მომხმარებლები უნდა იყოთ. საქმე ისაა, როგორი მომხმარებლები გაიზრდებით - ჭკვიანი, ყაირათიანი, მოხერხებული თუ არა.

მოდი, ვითამაშოთ, „ვინ უფრო სწრაფად!“

- დავიყოთ გუნდებად, ისე, რომ თითოეული გუნდი 4 წევრისა-გან შედგებოდეს. თქვენ სხვადასხვა ფერის ბარათები გაქვთ. წითელი ფერის ბარათები საქონელს ნიშნავს, მწვანე ფერისა - მომსახურებას. გამარჯვებული იქნება ის გუნდი, რომელიც ყველაზე ძეგლათს დააგროვებს.

ყოველი კითხვის შემდეგ ერთმანეთს შესაბამისი ბარათი უჩვენეთ. თუ გუნდის რომელიმე წევრი შეცდომას დაუშვებს, გუნდი

ჯარიმდება, ეს ნიშნავს, რომ მას ჩამოერთმევა ბარათი და გადაეცემა
მეორე გუნდს.

ამრიგად, იმარჯვებს ის, ვინც ნაკლებად ჯარიმდება.

გავერკვეთ საქმიანობის სახეობაში:

1. სანამ გზას დაადგებოდა, პრინცესას პარიკმახერი უნდა
დაებარებინა და თბა ლამაზად დაევარცხნა.

(რდაპრტოცენტი ასტრალიური რეიტინგი უნდა იყოს)

2. ექიმი მედიკამენტებისათვის აფთიაქში შევიდა.

(რეტრენტი უსაფარი რეაქტიული უნდა იყოს)

3. მეფემ პრინცს წერილი გაუგზავნა.

(რდაპრტოცენტი ასტრალიური რეიტინგი უნდა იყოს)

4. პრინცესა საჩუქრების საყიდლად სავაჭრო ჯიხურებთან
შეჩერდა.

(რეტრენტი უსაფარი რეაქტიული უნდა იყოს)

5. დღე იწურებოდა, დამდებოდა. დასასვენებლად სახტუმროს-
თან შეჩერდნენ.

(რდაპრტოცენტი ასტრალიური რეიტინგი უნდა იყოს)

6. დილით ისაუზმეს, თაფლი და პური იქვე იყიდეს.

(რეტრენტი უსაფარი რეაქტიული უნდა იყოს)

მოიყვანეთ მსგავსი მაგალითები.

პითევები გამორჩებისათვის

1. როგორ მიხვდა ხელმწიფე, რომ ის მომხმარებელია?
2. რას ნიშნავს მომხმარებელი?
3. რა გზები არსებობს მოთხოვნილებების დასაქმაყოფი-
ლებლად?
4. რა არის საქონელი? მოიყვანეთ მაგალითები.
5. რა არის მომხახურება? მოიყვანეთ მაგალითები.



დახატეთ ის საქონელი, რომელიც ბოლო ხანს შეი-
ძინეთ. დახატეთ ადამიანი, რომლის საქმიანობაც მომსა-
ხურებაა.

I V 0 0 0

**საოჯახო საქმე და მისი სარგებლიანობა
(VII გაკვეთილი)**

წინა გაკვეთილზე ჩვენ ვისაუბრეთ საქონელსა და მომსახურებაზე, გავიგეთ, რას ნიშნავს ეს სიტყვები. ისიც ვიცით, რომ ჩვენი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება საქონლისა და მომსახურების წარმოებას უკავშირდება. ჩვენ საქონლისა და მომსახურების მომხმარებლები ვართ. გავიხსენოთ ზღაპარი:

რატომ ვერ დაეხმარა ჯადოქარი პრინცესას?

(ემაზეზე ემაზე ემაზე ემაზე ემაზე ემაზე ემაზე ემაზე)

ნა ერთ დავიკმაყოფილოთ მოთხოვნილებები
რატომ ვერ დაეხმარა ჯადოქარი პრინცესას?

(ემაზეზე ემაზე ემაზე ემაზე ემაზე ემაზე ემაზე ემაზე)
როგორ დავიკმაყოფილოთ მოთხოვნილებები?
რატომ ვერ დაეხმარა ჯადოქარი პრინცესას?

(ემაზეზე ემაზე ემაზე ემაზე ემაზე ემაზე ემაზე ემაზე)
რა არის საქონელი?

(ემაზეზე ემაზე ემაზე ემაზე ემაზე ემაზე ემაზე ემაზე)

რა არის მომსახურება?
რატომ ვერ დაეხმარა ჯადოქარი პრინცესას?

(ემაზეზე ემაზე ემაზე ემაზე ემაზე ემაზე ემაზე ემაზე)
რა არის მომსახურება?
რატომ ვერ დაეხმარა ჯადოქარი პრინცესას?

როგორც იქნა, პრინცესამ და ექიმმა სასახლეს მიაღწიეს.
სასახლე მშვენიერ მდელოზე იდგა. იქვე ტბაში გედები ცუ-
რავდნენ.

– რა შესანიშნავი ადგილია! – წამოიძახა პრინცესამ, – რა სუფ-
თა ჰაერია! – აქ სიამოვნებით ვიცხოვრებდი.

პრინცესამ კარებთან მიირბინა და დააკაკუნა.

– მობრძანდით! კარი ღია! – გაისმა სუსტი ხმა. ეს პრინცის ბებია
იყო.

პრინცესამ კარი შეაღო. ოთახში ისეთი არეულობა დახვდა,
რომ გაოგნდა, ყველაფერი აქეთ-იქით ეყარა, ავეჯზე მტვრის სქე-
ლი ფენა იდო, სამზარეულოში გაურეცხავი თეფშების მთა აღმარ-
თულიო.

– გამარჯობა, ჩემო პრინცესა! – ბებიამ საწოლიდან წამოიწია.
მოდი, ჩემო კარგო! რა ვქნა, ავად ვარ. სახლი დაულაგებელია, ჩემს
შვილიშვილს კი საოჯახო საქმე სულ არ ეხერხება. დაბრძანდით,
პრინცი ახლავე მოვა, პროდუქტები შემოგვაკლდა და ქალაქში
წავიდა.

– საცოდავი ბებია! როგორ შეიძლება ასეთ პირობებში ცხოვ-
რება! ავადმყოფს სისუფთავე, მოვლა და კარგი კვება სჭირდება.
ახლავე ყველაფერს მივალაგებ, ჩვენი ექიმი კი ოქვენს ჯანმრთე-
ლობაზე იზრუნებს.

მალე სახლს ვერ იცნობდით. პრინცესამ იქაურობა დააკრიალა,
მტვერი გადაწმინდა, ჭურჭელიც გარეცხა.

საღამოს პრინციც დაბრუნდა და სტუმრების დანახვა ძალიან
გაუხარდა.

– კარგი დიასახლისი ყოფილხართ! – შეაქო მან პრინცესა, –
გმადლობთ! თქვენზეა ნათქვამი, მეგობარი გაჭირვებაში იცნობაო.
უწესრიგო არ გეგონოთ, მაგრამ რა ვქნა, ოჯახური საქმიანობა არ
მეხერხება, ფაფა ყოველთვის მეწვება, რძე ქვაბიდან გადმოდის.

– ნუ ნერვიულობთ, – დაამშვიდა პრინცესამ, – მე ყველაფერს
გასწავლით. აი მაგალითად, ტანსაცმელი და თეთრეული რატომ
გადაყარეთ?

– რა უნდა მექნა? ერთს ღილი ჰქონდა მოწყვეტილი, მეორე
დახეული იყო, მესამეს სახელო ჰქონდა ამოსვრილი, მეც ავდექი
და ახლები ვიყიდე, ხილის ყიდვასაც ვაპირებდი, მაგრამ ფული
აღარ დამრჩა.

აბა, დაფიქრდით, სწორად მოიქცა თუ არა პრინცი?

შეიძლებოდა თუ არა ღილის დაკერება, დახული ტანსაც-
მლის დაკემსვა ან თეთრეულის გარეცხვა? იქნებ მართლა ჯობდა,
რომ ახალი უყიდა? რატომ ვერ უყიდა ხილი ბებიას?

თითოეული ადამიანი ასრულებს სამუშაოს, რისთვისაც გასამ-
რჯელოს იღებს. მაგრამ ოჯახში საქმიანობისთვის მას ფულს არა-
ვინ უხდის. გემრიელი საღილი, სისუფთავე ოჯახში ყველა ადამი-
ანის მოთხოვნილებაა. თუ ოჯახში ყველა საქმეს ჩვენ თვითონ
გავაკეთებთ და სხვას არ დავიქირავებთ, ამით ფულსაც დავზოგავთ.

- მუშაობა კი მსურს, მაგრამ რომ არაფერი გამომდის? -
დაიჩივლა პრინცმა.

- მარტო სურვილი არაფერს ნიშნავს, ამისათვის ცოდნაც არის
საჭირო. თანაც მუშაობას ბავშვობიდანვე უნდა შეეჩვიოთ.

- ძვირფასო პრინცესა, თქვენ მალიან ლამაზი ბრძანდებით,
მაგრამ ვერც წარმოვიდგენდი, თუ ასეთი კეთილი და ჭიკვიანიც
იყავით. თქვენი მეუღლე მალიან ბედნიერი კაცი იქნება. თქვენისთა-
ნა მეუღლეზე მე ალბათ ვერც ვიოცნებებ.

პრინცესას მალიან გაუხარდა და ნაცარქექიას დარიგებაც
გაახსენდა.

პითევები გამეორებისათვის

1. როგორ სახლში ცხოვრობდა პრინცი?
2. მოგწონთ თუ არა პრინცის ქცევა თჯახში?
3. მოგწონთ თუ არა პრინცესას საქციელი?
4. თქვენ რა საქმიანობას ეწევთ თჯახში?
5. რისი გაქეთება შეგიძლიათ?
6. რა სარგებლობა მოაქვს თჯახის წევრების შრომას?



შეეცადეთ დახატოთ: როგორ წარმოვიდგენიათ
ძყუდრო, მოხერხებული სახლი ან ბინა?

V 0 0 0

შრომის დანაწილება და დროის ეპონომია (VIII-IX გაკვეთილი)

ოჯახში სისუფთავე და წესრიგი აუცილებელია. ყველაფერს თავისი ადგილი უნდა ჰქონდეს მიჩენილი, ოჯახის წევრები ერთმანეთზე უნდა ფიქრობდნენ და ზრუნავდნენ. სახლს კარგი დიასახლისი უნდა უძღვებოდეს.

გაიხსენეთ ზღაპრები სხვა პრინცეპსა და პრინცესებზე.

ყველა ზღაპარს კეთილი დასასრული აქვს. ყველა ზღაპარში პრინცი და პრინცესა ქორწინდებიან და ტებილ ცხოვრებას იწყებენ. ჩვენი ზღაპარი კი გრძელდება.

პრინცესამ რამდენიმე წანს ბებიასთან დარჩენა გადაწყვიტა და ამის შესახებ ოჯახს შეატყობინა. მშობლები დათანხმდნენ. ექიმი ბებიას უვლიდა, ოჯახში ყველა თავის საქმეს აკეთებდა. დღისით საოჯახო საქმეებით იყვნენ დაგავებულნი, საღამოს ტბის გარშემო სეირნობდნენ. სეირნობის შემდეგ ბებიასთან საუბრობდნენ. ერთხელ ბებიამ მათ ჰქითხა:

– როგორ ფიქრობთ, რა არის ოჯახი? რატომ ქმნიან ოჯახებს?

– როგორ თუ რატომ? – გაუკვირდათ ახალგაზრდებს, – როცა ერთმანეთი უყვართ და ერთად ცხოვრება სურთ, ადამიანები ქორწინდებიან და ოჯახებს ქმნიან.

– სიყვარული შესანიშნავი, წმინდა გრძნობაა, მაგრამ მარტო სიყვარულზე ოჯახი არ აიგება, მარტო ხელა ადამიანს კი ცხოვრება ძალიან უჭირს, – თქვა ბებიამ.

– მარტო ხელასათვის ყველაფერი ადვილია, – თქვა პრინცმა, – არავინ გაწუხებს, საქმეს თვითონ აგვარებ. არა, ვერ ვიტყვი, ოჯახზე უკეთესია მეთქი, – მაგრამ მაინც დამოუკიდებლად ცხოვრება ჯობს.

- მე კი მგონია, რომ მარტოხელა ადამიანისათვის ცხოვრება უფრო ძნელია. ძნელია, როცა არავის იმედი არა გაქვს, არ იცი, რა გააკეთო, როგორ იცხოვრო. მარტოხელა ავად რომ გახდეს, ვინ დაეხმარება? ვინ მოუტანს წამალს ან წყალს ვინ მიაწოდებს? ვის შეეცოდება იგი? აი, ოჯახი კი სულ სხვაა, ოჯახის წევრები ერთმანეთს ეხმარებან, ყველა აკეთებს იმას, რისი გაკეთებაც შეუძლია, - თქვა პრინცესამ.

ოჯახზე ყველას სხვადასხვა აზრი აქვს. ზოგს მარტო ურჩევნია ცხოვრება, ზოგს კი - ოჯახში. რა თქმა უნდა, ოჯახში უამრავი პრობლემაა, მაგრამ შრომაც დანაწილებულია. ოჯახის ზოგიერთი წევრი თავისი პროფესიის მიხედვით შრომობს და გასამრკელოსაც იღებს, სხვები საოჯახო საქმით არიან დაკავებულნი. მამაკაცების უმრავლესობა ფიზიკურად შრომობს, ქალები პატარებსა და მოხუცებს უვლიან, - თქვა ბებიამ და განაგრძო:

- ახლა ერთ ამბავსაც მოგიყვებით.

იყო ერთი ცოლ-ქმარი. მთელ დღეებს შრომაში ატარებდნენ. ქმარი მინდორში მიღიოდა, ცოლი სახლში ფუსფუსებდა. ერთხელ ქმარი უგუნებოდ დაბრუნდა და ცოლს უსაყველურა:

- მთელ დღეს მინდორში ვატარებ, დილიდან საღამომდე მოცლა არა მაქვს, შენ კი სახლში რჩები და არაფერს აკეთებო.

- როგორ თუ არაფერს ვაკეთებ! საქმე არ თავდება, ერთ წამსაც კი ვერ ვისვენებ. რაკი ასე ფიქრობ, ხვალ მინდორში მე წავალ, შენ კი სახლში დარჩიო, - გაბრაზდა ცოლი.

- ძალიან კარგი, სახლშიც დავრჩები, ყველაფერს მშვენივრად მოვასწრებ და დავისვენებ კიდევაცო, - უპასუხა ქმარმა.

დილით ცოლი მინდორში წასასვლელად მოემზადა და ქმარს დაუბარა:

- ყურადღებით იყავი, ცომი ძალიან არ აფუვდეს, თორემ ვარცლიდან გადმოვა; თეთრეულს გარეცხავ და გაფენ, ბავშვის საფენები მშრალია, ჩამოხსნი და, როცა გაიღვიძებს, გამოუცვლი. კარაქი კარგად ადღვიძე, რძე თაროზეა და ბავშვს დაალევინე. ძალი საქათმეში არ შეძვრეს, თორემ კრუხს დააფრთხობს.

ცოლი მინდორში წავიდა, ქმარი კი სახლში დარჩა.

კაცმა ბუხარი დაანთო. უცბად ბუხრიდან ისეთი ალი გამოვარდა, რომ კაცს თვალებიდან ცრემლები წამოსცვივდა. როცა დამ-

შვილდა, ცომი გაახსენდა, ვარცლთან მიირბინა და რას ხედავს, ცომი აფუებულა, ვარცლიდან გადმოსულა და იატაკზე მიედინება. სასწრაფოდ ჩვარი მოძებნა და ის იყო, იატაკი უნდა მოეწმინდა, რომ ბავშვის ტირილი მოესმა. ტირილის ხმაზე ბავშვისაგენ გაიქცა, ჩვილი ცომიანი ხელებით აიყვანა, მოტრიალება დააპირა და ბავშვიანად იატაკზე გაიშხლართა. ბავშვმა კივილი მორთო. ამასობაში ძაღლი საქათმეში შესულიყო და კრუხს უყევდა. შეშინებული კრუხი საბუდარს იცავდა და განწირული ხმით კრიახობდა. კაცმა სატაცი აიღო, საქათმესთან სწრაფად მიირბინა, სატაცური ძაღლს ესროლა, მაგრამ ასცდა და საბუდარს მოხვდა. გამოსაჩეკად გამზადებული კვერცხები ერთიანად დაიმტკრა. ქვემოთ ჩასველებული ბავშვი ტირილს აგრძელებდა, ცომი ისევ გადმოიდიოდა. გამწარებული კაცი აქეთ-იქით დარბოდა.

დაბინდდა, ცოლი სახლში დაბრუნდა და ქმარს ჰქითხა:

- ჩემო ძვირფასო, ხომ ყველაფერი მოასწარი და დაისვენე კილევაც?

ქმარს შერცხვა. ამის შემდეგ ცოლისთვის საყვედური აღარ უთქვაშს.

დავანაწილოთ საოჯახო საქმეები. მაღაზიაში წასასვლელად 1 საათი გამოვყოთ, გახშმის მოსამზადებლად – ასევე 1 საათი. სარეცხისათვის – 30 წუთი და ელექტროტექნიკის შესაკეთებლად – 30 წუთი.

რამდენი საათი დასჭირდება ოჯახის თითოეულ წევრს ამ საქმეებისათვის და რამდენი ყველას ერთად, თუ ოჯახი სამი სულისაგან შედგება (დედა, მამა და ვაჟიშვილი)?

ერთ ადამიანს თუ ამ სამუშაოებისათვის 3 საათი სჭირდება, მაშინ ოჯახის თითოეულ წევრს თითო საათი დასჭირდება. ვაჟი მაღაზიაში წავა, დედა ვახშამს მოამზადებს, მამა ელექტროტექნიკას შეაკეთებს. შრომის ასეთი დანაწილებით ოჯახი 2 საათს დაზოგავს. ამას დროის ექიმი ეწოდება.

შრომის დანაწილება სხვაგვარადაც შეიძლება: მამა მაღაზიაში წავა, დედა ვახშამს მოამზადებს, ვაჟი ელექტროტექნიკას შეაკეთებს.

საოჯახო საქმის დანაწილებისას უნდა გავითვალისწინოთ ოჯახის თითოეული წევრის შესაძლებლობები, ვის რა სამუშაო მოსწონს ან ვის რა უფრო ეხერხება.

შეიძლება თქვენთვის უფრო მოსახერხებელი იყოს უძცროსი ძმის სკოლიდან გამოყვანა, ხოლო დედისთვის – მაღაზიაში გამოვლა ან, პირიქით.

სამუშაო სხვადასხვაგვარია. ზოგი ერთი სახის სამუშაოს სიყვარულით ასრულებს, ზოგს კი იგი არ მოსწონს. ზოგი ადამიანი მხოლოდ იძიტომ მუშაობს, რომ მისი არსებობისთვის შრომა აუცილებელია.

შრომის დანაწილებას ბევრი სარგებლობაც მოაქვს. როცა ერთი სახის სამუშაოს ხშირად ასრულებს, ადამიანი მას ისე კარგად ეუფლება, რომ ეს საქმე კიდეც ეადვილება, ამით კი უფრო მეტს ქმნის.

როგორც წესი, სადილს დედები ამზადებენ. მაგრამ, ვთქვათ, დედა ავად განდა და სადილი მამამ მოამზადა. მართალია, ზოგიერთ მამაკაცს სამზარეულოში ტრიალი უყვარს კიდეც, მაგრამ ეს საქმე ქალს უფრო ემარჯვება. სამაგიეროდ ქალებს ლურსმნის მიჭედება ან ონკანის შეკეთება ნაკლებად ეხერხებათ, ამას მამაკაცები უფრო კარგად აკეთებენ.

ახლა თქვენ გვეტყით, რომ სადილის მომზადება ან სხვა საოჯახო საქმეები არ ეგხერხებათ, მაგრამ ხომ უნდა ისწავლოთ. თუ არ ისწავლით, თქვენც პრინცის დღეში აღმოჩნდებით. წარმოიდგინეთ ისეთი ოჯახი, სადაც ბავშვები არაფერს აკეთებენ. მშობლები სამუშაოდან დაღლილ-დაქანცულები ბრუნდებიან, სახლში კი აურზაურია, ვახშამი არავის მოუმზადებია, არც პური მოუტანიათ, ლოგინებიც არავის აულაგებია ან, პირიქით, ყველაფერი დალაგებულია, ყველგან სისუფთავეა, ვახშამიც მზად არის.

ამიტომაც ამბობენ: მშვიდობა, თანხმობა და სიამტკბილობა ოჯახში უდიდესი განხია.

მშობლების სიმშვიდე და სიხარული მარტო ფულით არ განისაზღვრება, მათი ბედნიერება და მხიარული განწყობილება თქვენზეა დამოკიდებული.

საღამომ თუ კარგად ჩაიარა, დილაც კარგი გათენდება. რაც უფრო ხალისიანად იწყებთ შრომას, მით უფრო მეტ სამუშაოს

ასრულებთ, ფულსაც მეტს შოულობთ, ნივთებსაც ყიდულობთ და მოთხოვნილებებსაც უფრო მეტად იკმაყოფილებთ.

პითხვები გამეორებისათვის

1. რატომ გაუჭირდა საოჯახო საქმის კეთება შაშაკაცს?
2. როგორ იყო დანაწილებული შრომა თჯახში?
3. როგორ დაიკმაყოფილებდნენ ისინი მოთხოვნილებებს ცალ-ცალკე ცხოვრების დროს?
4. როგორ არის დანაწილებული საოჯახო საქმეები თქვენს თჯახში?
5. გისთვის არის ხელსაყრელი ასეთი დანაწილება? რა სარგებლობა მოაქვს მას?
6. რა არის შრომის დანაწილება?
7. რა არის დროის ეკონომია?



დახატეთ სხვადასხვა პროფესიის ადამიანები. ეცა-დეთ, გადმოგვცეთ როგორ არის დანაწილებული მათ შორის შრომა.

VI მ ე მ ა

საოჯახო მეურნეობა და მოხმარება (X გაკვეთილი)

შემე დიდი დრო გავიდა მას შეძლებ, რაც სასახლეში არ მივსულვართ. რა ხდება ეკონომიკის გაკვეთილებზე?

— დღევანდელ გაკვეთილზე საოჯახო მეურნეობის ეკონომიკას შევისწავლით. თქვენო უდიდებულესობავ! გნებავთ, კარგი მეურნე იყოთ? — ჰქონდა ჯადოქარმა.

— კიდევ რა გინდათ! — აღშფოთდა ხელმწიფე, — მე ხელმწიფე ვარ, ასეთი უბრალო საქმეებისთვის სად მცალია, სახელმწიფო ვმართო თუ საოჯახო საქმეები ვაკეთო?! საოჯახო საქმე დედოფლისთვის მიმინდვია.

— ეს აზრი მამაკაცებში ძალიან გავრცელებულია, — თქვა კეთილმა ჯადოქარმა და თავი გადააქნია, — ეს სხვა არაფერია, თუ არა ეკონომიკური გაუნათლებლობა. **საოჯახო მეურნეობის ეკონომიკა** ქვეყნის ეკონომიკის საფუძველია. თუ ცუდი მეოჯახე ხარ, კარგი მმართველი ვერასოდეს გახდები.

მველ საბერძნეთში სიტყვა ეკონომიკა საოჯახო მეურნეობის მართვას ნიშნავდა. ეს იმას ნიშნავს, რომ ოჯახის კეთილდღეობისათვის თქვენი ცოდნა და გამოცდილება მაქსიმალურად უნდა გამოიყენოთ. ამ ცოდნის გარეშე სახელმწიფოს მართვა შეუძლებელია.

— ნუ მაცინებთ, რა უნდა გვასწავლოთ, ყველა ოჯახი ერთმანეთისაგან განსხვავდება, — არ ცხრებოდა ხელმწიფე.

— არა, ასე არ არის, — მიუგო ჯადოქარმა, — ოჯახები, რა თქმა უნდა, ერთმანეთისაგან განსხვავდება, განსხვავებულია მათი შემად-

გენლობაც, საცხოვრებელი ადგილი, ასაკი, შემოსავალი, მაგრამ პრობლემები ყველა ოჯახშია.

რა არის აუცილებელი ჩვენი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად? – ჰკითხა ხელმწიფებ.

ჩვენი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად ბევრი სხვადასხვა საქონელი და ძოშია საჭირო, მიუგო ჯადოქარმა. ეკონომიკის ენაზე ეს მოხმარება: მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად სხვადასხვა საქონლისა და ძოშია საჭიროების გამოყენებას **მოხმარება** ეწოდება.

მოხმარება ყველა ოჯახის საერთო პრობლემაა. ახლა გავიხსე-ნოთ, რომ ჩვენი მოთხოვნილებები ამოუწურავია, მათი დაკმაყოფილების შესაძლებლობები კი – შეზღუდულია. სამეფო ოჯახის შესაძლებლობებიც შეზღუდულია, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ მას ჩვენზე მეტი შესაძლებლობები აქვს. ყველა ოჯახის საერთო პრობლემაა სწორი არჩევანის გაკეთება და მოთხოვნილებების დაკმაყოფილება.

საგარენჯიშო

ამოცანა

ოჯახი სამი სულისაგან შედგება – დედა, მამა და 12 წლის ქალიშვილი.

1. ძალაზიაში წასვლასა და სანოვაგის მოტანას სჭირდება 1 საათი;
 2. ვახშის მომზადებას – 1 საათი და 30 წუთი;
 3. უთოობას – 1 საათი;
 4. ძაღლის გასეირნებას – 30 წუთი;
- სულ 4 საათია საჭირო.

როგორ დაანაწილებდით საოჯახო საქმეებს?

· ყდიანგებრავ იღოსტა 0E რა რერენგ / ურეარე რასტა

· ყდიანგებრავ ეროვანი ურეარე / უასტერარე

· რამა 0E რა რერენგ /) ურეარე რერე / რერე

· ასახავ ეროვანი ურეარე რერე : ასახავ ეროვანი ცერე

პითევები გამორჩისათვის

1. რა არის საოჯახო მეურნეობა?
2. საოჯახო მეურნეობასა და ჩვენს მოთხოვნილებებს შორის რა ურთიერთკავშირი არსებობს?
3. რა არის მოხმარება?
4. რა კავშირია მოხმარებასა და მოთხოვნილებების დაკმა-ყოფილებას შორის?
5. რა გაფლენას ახდენს სწორი არჩევანი მოხმარებაზე?



დახატეთ სურათი, რომელზეც აისახება კავშირი მოხმარებასა და მოთხოვნილების დაკმაყოფილებას შორის.

VII თ მ გ ა

ნატურალური მეცნიერება, გაცვლა, საქონლური მეცნიერება და საეციალიზაცია

მოგზაურობა ნატურალური მეურნეობის ქვეყანაში
(XI-XII-XIII-XIV გაკვეთილი)

ეკონომიკის გაკვეთილები შედეგიანი აღმოჩნდა. ინტერესი ეკონომიკის შესწავლისადმი სულ უფრო იზრდებოდა.

— ხელმწიფეო, მითხარით, ვინ უკეთესი მეურნეა, — ის, ვინც თვითონ ამზადებს იმას რაც სჭირდება, თუ ის, ვინც სხვის გაკეთებულს ყიდულობს? — ჰკიოთხა ერთხელ ჯადოქარმა.

— ყიდვა თუ არ შეგიძლია, თვითონ უნდა გააკეთო. მაგალითად მე ყიდვა მირჩევინა, — უპასუხა ხელმწიფეო.

— კარგი მეურნე ყველაფერს თვითონ აკეთებს, — დედოფალმა მეფეს მრავალმნიშვნელოვნად გადახედა. — თქვენ როგორ ფიქრობთ? ჰკიოთხა შემდეგ ჯადოქარმას.

— ჯობს სამოგზაუროდ გაგიშვათ და თქვენი დავა იქ გადაჭრათ,
— უთხრა ჯადოქარმა.

— ნაცარქექიაც უნდა წავიყვანოთ, თორემ ვინ იცის, მარტონი რა ხიფათს გადავეცრებით! — თქვა ხელმწიფეო.

ჯადოქარმა ჯოხი აიქნია. ხელმწიფე, დედოფალი და ნაცარქექია ერთ ულრან ტყეში აღმოჩნდნენ. მიიხედ-მოიხედეს, ირგვლივ სულიერი არავინ ჭაჭანებდა.

— აი, გაკვეთილიც ამას ჰქვია, — თქვა დედოფალმა, — ასეთ გაკვეთილებს რომ ატარებდნენ, ოროსანი არავინ იქნებოდა. ახლა სად წავიდეთ?

— გაკვეთილიც იქ ბილიკი მოჩანს, იმ გზას დავადგეთ და ვნახოთ, სად მიგვიყვანს, ღამეს ტყეში ხომ არ გავათენებთ? — თქვა ნაცარქექიამ.

ბილიქს დაადგნენ და რაღაც ნაგებობასთან მივიღნენ, რომელიც არც სახლს ჰქავდა, არც მიწურს.

- შეუძლებელია, აქ ვინმე ცხოვრობდეს, - თქვა შეშინებულმა დედოფალმა.

- არ ვიცი, მაგრამ კარი რატომ აქვს? მოდი, დავაკაკუნოთ. ნაცარქექიამ კარზე დააკაკუნა.

- ვინ არის? - მოისმა უქმაყოფილო ხმა.

- ჩვენ ვართ, - იყო პასუხი. - ხელმწიფე ვარ, დავიკარგეთ და დამის გასათევს ვეძებთ.

კარი ჭრიალით გაიღო. ზღურბლზე მამაკაცი გამოჩნდა. მას გრძელი წვერი და გაბურმენილი თმა ჰქონდა, ასი წლის მოხუცივით მოკუნტულიყო, ტანთ მოქსოვილი პერანგი და შარვალი ეცვა, ფეხთ კი - ქალამნები.

- რა გინდათ? - იკითხა მასპინძელმა.

მის ხმაში უქმაყოფილება იგრძნობოდა.

- მე ამ ქვეყნის ხელმწიფე ვარ, ეს ჩემი მეუღლეა, ეს კი ნაცარქექია. თუ დამეს გაგვათევინებთ, კარგად გადაგიხდით, - უთხრა ხელმწიფემ.

- მე თქვენი ფული არ მჭირდება, - ბუზღუნებდა მასპინძელი. არაფერს არ ვყიდულობთ, რაც საჭიროა, ყველაფერს ჩვენი ხელით ვაკეთებთ, მაგრამ საჭმელი არ გვყოფნის, მხოლოდ რძე და ორცხობილა გვაქს. თუ გნებავთ, იატაკზე მოისვენეთ. დაუჩქარეთ, ხვალ ადრე უნდა ავდგე, უამრავი საქმე მაქს.

- კი მაგრამ, თუ ამდენს მუშაობთ, ასე ღარიბულად რატომ ცხოვრობთ? - იკითხა ნაცარქექიამ. - ალბათ თქვენ ცუდი მეურნე ხართ, თქვენი ცოლი კი - ცუდი დიასახლისი.

- რატომ გგონიათ, რომ ცუდები ვართ? - აღშფოთდა კაცი, რასაც აქ ხედავთ, ყველაფერი ჩვენი ნახელავია. მასალა ტყიდან ჩამოვზიდეთ და ავეჯი თვითონვე გავაკეთეთ. თიხა ბევრი გვაქს, ეს ჭურჭელიც ჩვენი გაკეთებულია. ღვთის წყალობით მოსაგალიც მოგვყავს და თავიც გაგვაქს. მაგრამ, თქვენ მართალი ხართ, როგორც უნდა მოვინდომოთ და რაც უნდა ბევრი ვიშრომოთ, მაინც ღატაკებად ვრჩებით. ადრე მარტო ვშრომობდი, მერე ცოლი შევირთე, თითქოს ორჯერ მეტს ვაკეთებთ, მაგრამ მაინც არაფერი გვეტყობა. უთენია ვდგებით, მთელი დღე ვშრომობთ, სამუშაო მაინც არ თავდე-

ბა, მოიხედავ და შეშა ისევ დასაჭრელია, სათიბიც ბევრია, ბოსტანი მოსავლელია, წყალი მოსატანია, თიხა მოსაზელია, ტანსაცმელი მოსაქსოვია, ყველაფერს ხომ ვერ ჩამოვთვლი.

— მართლაც ღატაკები ხართ! — შეეცოდა დედოფალს, — როგორ დაგეხმაროთ?

— როცა არაფრის გაკეთება შეგიძლია, რა თქმა უნდა, ცუდია, მაგრამ არც ის ყოფილა კარგი, ყველაფრის კეთება რომ იცი. ამბობთ, მთელ დღეებს შრომაში ვატარებოთ და მაინც ასეთ სიღატაკეში ცხოვრობთ. ტანსაცმელი დაკეშილი გაცვიათ, ჭურჭელი სულ დაბრეცილია, სახურავი თავზე გექცევათ, — ჩაერია ნაცარქექია.

— თქვენ რა გვინიათ, ჭურჭლის გაკეთება, ტანსაცმლის კერვა ან სახლის აშენება ადვილი საქმეა? აბა, თვითონ სცადეთ! — ეწყინა მასპინძელს. — ჯერ მარტო ერთი პერანგი რომ შეგვერო, იცით რამდენი რამ უნდა გავაკეთო? ჩამოგთივლით: სელი უნდა დავთესო, მოვიყვანო, მოვჭრა, გავახმო, ძაფი დავჭიმო, მოვქსოვო, გამოვჭრა, შევგერო. გარდა ამისა, იარაღებიც ხომ საჭიროა? სართავი, საქსოვი დაზგა, ნეშვები. ამ იარაღების დასამზადებლად სხვა იარაღებიც უნდა გავაკეთო. თანაც უამრავი საზრუნავი გვაქვს: რა ვჭამოთ? როგორ ვიცხოვროთ? დრო არაფრისათვის გვყოფნის, ყველაფერს ვაკეთებთ, რომ სიცივისა და შიმშილისაგან არ დავიხოცოთ.

ზოგჯერ ხდება, რომ საქმე არ გამოგვდის. ერთი მეზობელი მყავს, ჩემს მარჯვნივ ცხოვრობს, ისეთ ჭურჭელს აკეთებს, ავ თვალს არ დაენახვება, თიხა ხელებში უდნება. იქით, მარცხენა მხარეს, მეორე მეზობელი ცხოვრობს, ნამდვილი ხელოვანია, ასეთი მქსოველი მთელს სამეფოში არ არის. ჭურჭლის კეთებასა და ქსოვაში მე იმათ ვერ შევეძრები, სამაგიეროდ მე ისეთ ნალებს ვაკეთებ, ყველას შურს.

— შენ რომ გიყურებ, ერთი მჭედელი კაცის ამბავი მახსენდება — უთხრა ნაცარქექიამ.

— გვიამბეთ, თუ შეიძლება, — სთხოვა დედოფალმა.

— იყო ერთი ხელმწიფე, — დაიწყო ნაცარქექიამ, — ჰყავდა ერთი შვილი. ხელმწიფე დაბერდა და შვილის დაქორწინება მოინდომა. ხელმწიფის შვილმა უთხრა მამას:

- სოფლები მომატარეთ და ვინც მომეწონება, იმას შევირთავო.
წაიყვანეს, მოატარეს, მაგრამ არავინ მოეწონა.

ბოლოს ერთი საწყალი კაცის ქოხის წინ ერთი ქალი ნახა.
ხელმწიფის შვილს ის ქალი ძალიან მოეწონა და უთხრა:

- უნდა ცოლად გამომყვეო!

- მამაჩემი და დედაჩემი აქ არ არიან, საღამოს მოვლენ და
თვითონ იციანო, - უთხრა ქალმა.

მოუცადა ხელმწიფის შვილმა. მოვიდნენ გლეხი და იმისი ცოლი.

- თქვენი ქალი უნდა მომათხოვოთო, - უთხრა ხელმწიფის ვაჟმა.

- აბა, ჩვენ რა შენი საკადრისები ვართ, თუ გნებავთ, მოსამსა-
ხურედ გამოგყვებათო.

- ხელობა იცი რამეო? - ჰკითხა ქალმა ხელმწიფის შვილს.

- განა ხელმწიფობა ხელობა არ არისო? - შეეკითხა ვაჟი.

- დღეს შეიძლება ხელმწიფე იყო, ხვალ არა, მერმე რით
გნებავს იცხოვრო? წადი, ერთი რამე ხელობა ისწავლე და მერე
გამოგყვებიო!

დაღონდა ხელმწიფის შვილი, ასე უცებ ხელობა როგორ ვის-
წავლოო.

წავიდა მამასთან:

- ასე და ასეა ჩემი საქმე და როგორ მოვიქცეო?

დაიბარა ხელმწიფემ ყველა ხელოსანი.

ღურგალს ჰკითხა:

- რამდენ წელიწადში ასწავლი შენს ხელობასო?

- ხუთშიო.

- უჰ, ხუთ წელიწადში ის ქალი კიდევაც გათხოვდება და
მერე შენი ხელობა რაღად მინდაო, - თქვა ვაჟმა.

ზოგმა ოთხი წელი უთხრა, ზოგმა სამი, ზოგმა ორი, ზოგმა
ხუთხე მეტი. ბოლოს ერთი მენაბდე წამოდგა:

- მეც ხელოსნებში ვიზენიები, მომაბარეთ, ხელობას ერთ
დღესა და დამეში ვასწავლიო.

მართლაც გაპყვა ხელმწიფის შვილი და ისწავლა ნაბდების
თელვა. შეირთო ის ქალი და დაიწყეს ტკბილი ცხოვრება. ხელ-
მწიფე რომ მოკვდა, ის დაჯდა ტახტზე.

ერთხელ თქვა: მოდი, წავალ, დავივლი ჩემს ქვეყანას, იქნებ
რა უჭირს ხალხს, ან რა ულხინს, რას ამბობენ ჩემზეო.

ჩაიცვა უბრალოდ და წავიდა. ერთ ქალაქში ჩამოიარა: ისეთი საჭმლის სუნი მოუვიდა, რომ მეტი აღარ შეიძლებოდა. თქვა: მე ამდენს ვხარჯავ მზარეულებზე, ასეთ საჭმელს ვერ მიმზადებენ, აბა, ჩავალ, ვნახავ, როგორ აკეთებენო.

ჩავიდა ერთ სარდაფში, კაცის ხორცს ამუშუშებდნენ. ხელ-მწიფებ უთხრა:

- მოიტათ, ერთი კერძი დამისხითო.

ჭამა რომ დაამთავრა, ამ ურჯულოებს ჰყითხა:

- ამ სარდაფში რა არისო?

ახადეს და ჩააგდეს შიგ. სარდაფში სამი სხვა კაცი იყო დამ-წყვდეული.

- მე ხვალ დამკლავენო! – უთხრა ერთმა.

- მე ზეგაო! – თქვა მეორემ.

- მე მაზეგო! – თქვა მესამემ, – შენ, რაკი მსუქანი ხარ, კვირას დაგკლავენო.

შეწუხდა ძალიან ხელმწიფის შვილი. როცა ისინი დაკლეს და ჯერი იმაზე მიდგა, ხელმწიფის შვილმა უთხრა:

- მე ისეთ ნაბადს მოვთელავ, რომ ხუთას ასპანურად გაყიდით. იმის ყიდვას ვერავინ შეძლებს, თუ არა ამა და ამ ხელმწიფის ცოლიო.

მოუტანეს მატყლი. ისეთი მშენიერი, აყვავებული ქეჩა მოთელა, რომ თვალს მოსტაცებდა კაცს. ყვავილსა და ყვავილს შუა დააწერა: ამა და ამ ქალაქში, ამა და ამ ქუჩაზე ვარ ასეთ გაჭირვებაში, ამ ორ დღეში თუ არ მიშველეთ, მერე გვიანდა იქნებაო. დაიდო ეს ქეჩა კაციჭამიამ თავზე და მიიტანა ხელმწიფის ცოლთან. ხელმწიფის ცოლმა გამოართვა ქეჩა, წაიკითხა ზედ, რომ ამისთანა და ამისთანა გაჭირვებაში ვარ და, თუ ორ დღეში არ მომეშველეთ, მომკლავენო, მისცა ორასი თუმანი და ურჯულო წავიდა.

ის რომ წავიდა, ხელმწიფის ცოლმა დაუძახა ჯარისკაცებს და შორიახლოს გაჰყვა. შემოარტყა ჯარი დუქანს და ჯარისკაცები დაარიგა:

- მე შიგ ჩავალ და ჯამს გავტეხ. როცა ხმა გაიგონოთ, მაშინვე შემოდითო!

ჩავიდა ხელმწიფის ცოლი, დაასხმევინა ერთი კერძი, დაახეთ-ქა ძირს ჯამი, გატეხა. მაშინვე ჩაცვივდნენ სარდაფში ჯარისკაცები, დაიჭირეს ურჯულოები და სულ დახოცეს. ხელმწიფე გაათა-

ვისუფლეს და წამოიყვანეს.

ცოლმა უთხრა:

– აბა, ახლა შენ რომ ხელობა არ გცოდნოდა, ხელმწიფობა რას გიშველიდა, დაგკლავდნენ და შეგჭამდნენ!

წამოვიდნენ და ცხოვრობდნენ ბედნიერად.

ამის შემდეგ ხელოსნობა ძალიან გავრცელდა. ყველა მიზვდა, რომ ხელობის ცოდნა, როგორც სხვას, ისე მასაც გამოადგებოდა.

– ჩემო მასპინძელო! ასეთი კარგი მჭედელი ხარ, რატომ არ მოელაპარაკები მეზობლებს, რომ შენი გაკეთებული ნალები ჭურჭელსა და ტანსაცმელში გაგიცვალონ? – უთხრა ნაცარქექიამ.

– ეს რა კარგი აზრი მითხარით, ამაზე არასოდეს დავფიქრებულვარ, თუმცა იმდენი დრო სად არის, რომ იფიქრო კიდევაც. ახლავე მეზობლებთან წავალ და ყველაფერზე მოველაპარაკები, – თქვა მასპინძელმა და მაშინვე მეზობლებთან გაიქცა.

– ახლა რა ვქნათ? – შეწუხდა მეფე-დედოფალი, მაგრამ ჯადოქარმა ისინი მაშინვე უკან, სასახლეში, ეკონომიკის გაკვეთილზე დააბრუნა.

– აბა, მითხარით, როგორ მოგეწონათ **ნატურალური მეურნეობის** ქვეყანაში მოგზაურობა? – ღიმილით ჰგითხა ჯადოქარმა.

– სად ვიყავით? – ერთხმად იკითხა ცოლ-ქმარმა.

– თქვენ იმ ქვეყანაში იყავით, სადაც მოსახლეობა ყველაფერს თვითონ აკეთებს – მოჰყავს პური, ქსოვს, ნადირობს, სახლებს აშენებს და თვითონვე მოიხმარს. ასეთ მეურნეობას ნატურალური ეწოდება. ძალიან ბევრს შრომობენ, მაგრამ ცხოვრება მაინც უჭირთ. სელი თვითონ უნდა დათესონ, მერე მოიყვანონ, მაფი ამოიღონ, მოქსოვონ, ნემსები გააკეთონ. თან ჭამაზეც ხომ უნდა იფიქრონ, ყველაფერი თვითონ უნდა მოაგვარონ. დრო არ ჰყოფნით, სამუშაო იარაღებიც არ უვარებათ. გარდა ამისა, ყველას ერთნაირი ნიჭი როდი აქვს, ამიტომ მათი ნახელავი ერთმანეთისაგან განსხვავდება – ზოგი კარგია, ზოგი კი ცუდი. ყველაფერს ხელით აკეთებენ და მუშაობას დიდ დროს ანდომებენ. აკეთებენ ძალიან ცოტას, იმდენს, რამდენიც სჭირდებათ, რომ შიმშილითა და სიცივით არ დაიხოცონ.

– რა საშინელებაა! – წამოიძახა დედოფალმა. – ნუთუ ვერაფრით დავეხმარებით?

- თქვენ მათ უკვე დაეხმარეთ, როცა თავიანთი ნახელავის ერთმანეთში გაცვლა შესთავაზეთ. **გაცვლა** ბევრი პრობლემის გადაჭრაში მოეხმარებათ. თავიანთი ნაწარმის ურთიერთგაცვლით მდგომარეობა შეიმსუბუქეს. ყველამ იმ სამუშაოს მოჰკიდა ხელი, რაც უფრო ეხერხება. მეთევზე მეტ თევზს იჭერს, ვიღრე საკვებად სჭირდება და მას სხვა საქონელზე ცვლის. ასევე ამზადებენ ჭარბ ქსოვილს და მერე საჭირო საქონელზე ცვლიან. ზოგს ექიმობა შეუძლია, ავადმყოფებს მკურნალობს, ზოგს მასწავლებლობა მოსწონს და ბოლოს ყველა კმაყოფილია. გაცვლის დროს ხალხი ენერგიასა და დროს ზოგავს, საქონლისა და მომსახურების ხარისხი უმჯობესდება.

- ეს აზრი ჩვენ მივაწოდეთ. ამ აღმოჩენისათვის კაცობრიობაში მადლობა უნდა გადაგვიხადოს! - ამაყად განაცხადა ხელმწიფებ.

- თავის ქება არ არის ლამაზი, კარგია, რომ თქვენ თვითონ მიხვდით, მაგრამ გაცვლა უფრო აღრე დაიწყო, ვიღრე ჩვენი ზღაპარი დაიწყებოდა, - სიტყვა გააწყვეტინა ჯადოქარმა.

ბავშვებო, ცვლით თუ არა ნივთებს ერთმანეთში? რატომ ცვლით? არის თუ არა გაცვლა ხელსაყრელი?

გაცვლასთან ერთად ნატურალური მეურნეობა გაქრა და მის ადგილას **საქონლური მეურნეობა** აღმოცენდა. ჩვენს ნაცნობ ბერიყაცს საქმეები გამოუსწორდა, მჭედლობაში დიდი ნიჭი გამოიჩინა და ყველა კუთხიდან უამრავი ხალხი მოაწყდა. ზოგი ქსოვილს სთავაზობდა, ზოგი კვერცხს, ზოგი ფქვილს და ზოგი კიდევ რას. საოჯახო საქმეებისთვის დრო არ რჩებოდა, ან რაღად უნდოდა, ყველა საჭირო პროდუქტს თავის ნახელავში ცვლიდა.

იფიქრა, იფიქრა მჭედელმა და ცოლს ჰქითხა, ჩემი სამჭედლო ხომ არ გავადიდოო.

- კარგი აზრია, სამჭედლო გაადიდე, ბიჭიც იქ ამუშავე. მთელ დღეებს მაინც შენს გვერდით ატარებს, მე საოჯახო საქმეებს მივხედავო, - ურჩია ცოლმა.

ასეც მოიქცა ბერიკაცი, სამჭედლო გაადიდა, დილიდან საღამომდე თავის ვაჟთან ერთად მუშაობდა და, რაც უფრო მეტს მუშაობდა, ნახელავიც უკეთესი გამოსდიოდა. ბერიკაცმა და მისმა ვაჟმა ახალი იარაღები გამოიგონეს. ამ იარაღებით მუშაობა გაუ-

ადვილდათ და საქმეს უფრო სწრაფადაც აკეთებდნენ. მთელ არე-
მარეში სახელი გაითქვეს და მათს ოჯახს მჭედლიძეების ოჯახს
ეძახდნენ.

თუ გახსოვთ, მჭედლიძეების გვერდით მეჭურჭლეები ცხოვ-
რობდნენ. მეზობლებს არც ისინი ჩამორჩნენ, ახალი სახელსნო
გახსნეს, მოიწვიეს დამსმარე მუშები, ზოგიც თიხას ზელდა, ზოგს
ჭურჭელი გამოჰყავდა, ზოგიც ამ ჭურჭელს ღუმელში დგამდა
გამოსაწვავად. ხალხმა მათ მეთუნეები შეარქვა. აი, ასე დანაწილდა
საქმე. ყველა კარგად მიხვდა, რომ ერთი საქმის კეთება უფრო
მოგებიანია, ჯობს ის აკეთო, რაც კარგად გამოგდის, ვიდრე ყველა-
ფერი აკეთო და უხარისხოდ.

წარმოების ისეთ გაერთიანებას, სადაც მხოლოდ ერთი სახე-
ობის საქონელს მასობრივად ამზადებენ **სპეციალიზაცია** ჰქვია, –
განაგრძობდა ჯადოქარი.

როგორ ფიქრობთ, გაუადვილდათ თუ არა მჭედელსა და მის
მეზობელ მეთუნეს ცხოვრება?

– ვფიქრობ, რომ გაუადვილდებოდათ, – უპასუხა ხელმწიფებ.
თუ ერთ საქმეს აკეთებ, ამ საქმის ოსტატი, ესე იგი სპეციალის-
ტი ხდები. სპეციალისტი უფრო სწრაფად, ადვილად და ხარისხი-
ანად მუშაობს, ვიდრე ის, ვინც საქმეს იშვიათად, შემთხვევიდან
შემთხვევამდე აკეთებს. სპეციალისტები შესაფერის მოწყობილო-
ბებსაც ხმარობენ. მაგალითად, მე ჩემი საქმის დიდი ოსტატი ვარ,
ტახტიც შესაფერისი მაქვს, გვირგვინიც ძვირფასი თვლებით არის
მოჭედილი.

– რომელი საქმის ოსტატი? – იკითხა დედოფალმა.
– როგორ თუ რომელი საქმის, დაგავიწყდა, მეფე რომ ვარ და
ჩემი პროფესია მეფობაა, შენი კი დედოფლობა?

– მეფე რომ გახდე, ბევრი უნდა ისწავლო და თანაც ბავშვობი-
დანვე, – თქვა ჯადოქარმა.

– სამეფო საქმის გაკვეთილებში ხუთიანებს ვიღებდი, მაგრამ
ეტიკეტში სულ სამიანებს მიწერდნენ. სამეფო ეტიკეტი ძალზე
რთულია, თუ რამე შეგეშალა, შეიძლება დიდი უსიამოვნებაც შეგ-
ხვდეს. ერთხელ ოკეანისგაღმელ ხელმწიფეს ვხვდებოდი. მისალმების
დროს ისინი სამჯერ უსტვენენ, მე ეს დამავიწყდა და ჩემებურად
მივესალმე, ხელმწიფეს კი ეგონა, რომ ომს ვუცხადებდი. სახელ-

მბლვანელოები უნდა შევაგროვო და ყველაფერი თავიდან გავიმეორო, რაც უნდა ვთქვათ, მეფემ მეფობა უნდა იცოდეს.

- სრული ჭეშმარიტებაა, - თქვა ჯადოქარმა. - თუ არ ისწავლე, კარგი სპეციალისტი ვერასოდეს გახდები. სპეციალიზაციაშ სხვა-დასხვა პროფესიის წარმოშობასთან მიგვიყვანა. ახლა მათი რიცხვი იმდენია, რომ ჩამოთვლაც ჭირს. ზოგ საქმეს დიდი ენერგია არ სჭირდება, ზოგი კი ისე როგორია, რომ მის შესასწავლად ხანგრძლივი მომზადება და მაღალი კვალიფიკაციაა საჭირო. მაგალითად, ავიდოთ ქირურგის პროფესია. როგორ შეიძლება გააპეთო ოპერაცია და ეს საქმე შესწავლილი არ გქონდეს? ხომ შეიძლება გამოუსწორებელი შეცდომა დაუშვა და ავადმყოფი დაგელუპოს?

გაკვეთილი ჯერ არ დამთავრებულიყო, რომ უფლისწული ტირილით შემოვარდა.

- რა მოხდა? - შეწუხდა ხელმწიფე, - ჩემს მემკვიდრეს ვინ აწყენინა, ასეთი რამ ვინ გაბედა?

- ფეხბურთს ვთამაშობდი, - ასლუკუნდა უფლისწული.

- ბურთი შემთხვევით თავში ხომ არ მოგხვდა? - ჰქითხა ხელმწიფე.

- არა, კარს ვუმიზნებდი...

- ააცდინე? - იკითხა დედოფალმა.

- არა! - აღშფოთდა უფლისწული და ტირილი შეწყვიტა. - რატომ მაწყვეტინებთ! გოლი გავიტანე, მაგრამ ფანქრები დამემტვრა, - უფლისწული კვლავ ატირდა.

- ვინმეს შეუძლია ამიხსნას, ფანქრები რა შუაშია? შენ ხატავდი თუ ფეხბურთის თამაშობდი? - იკითხა ხელმწიფემ.

- ფეხბურთს ვთამაშობდი, მაგრამ ჩანთაში ფანქრები მეწყო და ყველა დაიმტვრა. უფლისწული უფრო ხმამაღლა ატირდა.

- ესე იგი ის ლამაზი ფანქრები, კეთილმა ჯადოქარმა დაბადების დღეზე რომ გაჩუქა, დაამტვრიე, ფეხბურთის ჩანთით თამაშობდი, არა? - მიუხვდა დედოფალი - ძალიან კარგი! ჩვენგან რაღას მოითხოვ?

- როგორ? ახალი ფანქრები არ უნდა მიყიდოთ? - განაცხადა ტახტის მემკვიდრემ.

- როგორ არ გრცხვენია, ახალ ფანქრებს ითხოვ? - აღშფოთდა ხელმწიფე.

- თქვენ თუ არ მიყიდით, ნაცარქექიას ვთხოვ, - უფლისწულმა ნაცარქექიას გადახედა.

- რა ზარმაცი ხარ, სწავლა რატომ არ გიყვარს? ფანქრები იმისთვის მოგცეს, რომ ხატვა გესწავლა, შენ კი ფეხბურთს თამაშობდი. სხვის შრომას დაფასება უნდა. შენ იმ ბიჭს მაგონებ, რომელიც ოჯახში არაფრის გამკეთებელი არ იყო და არც სხვის შრომას აფასებდა. მამამისი, ვიდრე ძალა შესწევდა, არჩენდა, მაგრამ მოხუცდა, ლოგინად ჩავარდა და ოჯახის შენახვა ვეღარ შეძლო. ერთ დღეს მან ცოლს დაუძახა და უთხრა:

- ჩემი ქონება სხვას უნდა გადავცე, რადგან ჩემი შვილი უქნარაა, ერთი ასპანურის შოვნაც არ შეუძლიაო.

ცოლი ძლიერ შეწუხდა:

- როგორ არ შეეძლება ერთი ასპანურის შოვნაო?

ქმარმაც თავისი დაიჩემა:

- აბა თუ შეუძლია, წავიდეს, იშოვოს, მომიტანოს და დავუტოვებ ჩემს ქონებასო!

- კარგი, ვეტყვით! - უთხრა ცოლმა.

მივიღა შვილთან, მისცა ერთი ასპანური და დაარიგა:

- წადი, შვილო, სადმე, საღამომდე შინ ნუ გამოჩნდები, საღამოს მოუტანე ეს ერთი ასპანური მამაშენს, მე ვიშოვე-თქო!

ბიჭი ასეც მოიქცა, დაბრუნდა საღამოს, მოუტანა ეს ფული მამას და უთხრა:

- გადავყევი ამ ერთი ასპანურის შოვნასო!

მამამ დაჭნოსა ფულს, გადააბრუნ-გადმოაბრუნა, აიღო და შეაგდო ბუხარში: ეს არ არის შენი ნაშოვნიო!

ბიჭმა გაიცინა და დედასთან წავიდა. დედას ეს ამბავი ძალიან ეწყინა. მეორე დღეს კიდევ მისცა ერთი ასპანური და დაარიგა:

- წადი, საღამომდე სადმე გაერთე, საღამოს ერთი-ორი ვერსი გაირბინე, გაოფლიანდი და მამაშენს უთხარი, ოფლით ვიშოვე ეს ფული-თქო!

ბიჭი ასეც მოიქცა. საღამოს გაოფლიანებული შევარდა მამის ოთახში და უთხრა:

- ხომ ხედავ, მამაჩემო, ოფლი მასკდება, ძლივს ვიშოვე ეს ერთი ასპანურიო!

მამამ ახლაც დაყნოსა ფულს, გადააბრუნ-გადმოაბრუნა, აიღო
და კიდევ ბუხარში შეაგდო.

- მატყუებ, შვილო, ეს ფული შენი ნაშოვნი არ არისო.

შვილს გაეცინა და ესეც არაფრად ჩააგდო. დედას გული
მოუკვდა, მიხვდა, რომ საქმე წახდა და ბიჭს უთხრა:

- შვილო, ხომ ხედავ, მამაშენს ვეღარ მოვატყუებთ. წადი
სადმე, თუნდაც ერთი კვირა დაგჭირდეს, იმუშავე, ერთ ასპანურს
მოუყარე თავი და შენი ოფლით ნაშოვნი ფული მოუტანე მამაშენ-
სო!

ბიჭმა დაუჯერა დედას, წავიდა და მართლაც მთელი კვირა
მოუნდა ერთი ასპანურის შოვნას. ზოგს რა გადაუზიდა, ზოგს რა
გაუჰქოთა და ზოგს რა, მოაგროვა გაჭირვებით ერთი ასპანური და
მიუტანა მამას. მამამ დაყნოსა ამ ფულს, გადააბრუნ-გადმოაბრუნა
და კიდევ ბუხარში შეყარა:

- არა, შვილო, ეს შენი ნაშოვნი არააო!

ბიჭმა ახლა კი ვეღარ მოითმინა, ორივე ხელით გამოხვეტა
ბუხარში შეყრილი ფული და ყვირილი დაიწყო:

- მამაჩემო, რას შვრები, მე ამ ფულის შოვნას ერთ კვირას
მოვუნდი, შენ კი ცეცხლში მიწვავო!

- ახლა კი მჯერა, შვილო, გული ისე დაგეწვა მაგ ფულზე,
რომ ნამდვილად შენი ნაშოვნია! ასე ძნელია ფულის შოვნა, იმუშა-
ვე და გექნება, არ იმუშავებ და შიმშილით მოკვდებიო!

მამამ შვილს დაუტოვა თავისი ქონება და თვითონ გაემგზავრა
იქ, საიდანაც უკან აღარ ბრუნდებიან...

- მარტო საკუთარს კი არა, სხვის შრომასაც უნდა აფასებდე.
როგორი სიყვარულით აკეთებდნენ შენს ფანქრებს, შენ კი დაამ-
ტვრიე, - უთხრა ნაცარქექიამ ბოლოს.

- ბოლიშს მოგუხდი ყველას, ვინც ეს ფანქრები გააპეთა, მაგრამ
მითხარი, ვისთან წავიდე? - ჰკითხა უფლისწულმა.

- კარგი, გეტყვი. ჯერ მეტყევესთან წახვალ, მან ის ხე გაახა-
რა, რომლისგანაც შენი ფანქრები გააკეთეს. მერე ტყისმჭრელებ-
თან მიხვალ. არა, ჯერ მჭედელს უნდა მიაკითხო, რომელმაც
ტყისმჭრელებს ხერხი გაუკეთა, ბოლიში იმ ხალხსაც უნდა მოუხა-
დო, ვინც რკინის საბადოდან ხერხის მასალა გამოიტანა. შემდეგ
მძღოლებს მიაკითხავ, რომლებმაც ხე ტყიდან გამოიტანეს. გზად

გრაფიტის მომპოვებელსაც შეხვდები, ქიმიკოსებიც არ დაგავიწყდეს, ფერადი ფანქრების დამზადების ტექნოლოგია მათ შეიმუშავეს, შემდეგ მშენებლებს ნახავ, რომლებმაც ფანქრების ქარხანა ააშენეს, შემდეგ…

- ასე მთელი ცხოვრება არ მეყოფა, ყველას ბოდიში როგორ მოვუხადო? – შეშფოთდა უფლისწული.

- ვერაფერს გავაწყობთ, - ხელები გაშალა ჯადოქარმა, – ნების-მიერი ნივთის დამზადებაში, თუნდაც ისეთი უბრალო საგნისა, როგორიც ფანქარია, უამრავი ადამიანი მონაწილეობს. თითოეული მათგანი სამუშაოს მხოლოდ ერთ ნაწილს ასრულებს, ყველა ერთად კი საერთო საქმეს ემსახურება. ასე რომ, საქონელი იქნება თუ მომსახურება, რამდენიმე ადამიანის ერთობლივი შრომის ნაყოფია. თითოეულის შრომა საერთო საქმეში დიდად ფასობს. ეს სხვადასხვა პროფესიის ადამიანები შეიძლება ერთმანეთს არც იცნობდნენ, მაგრამ არავის ესიამოგნება, თუ შრომას არ დაუფასებენ. მათი თანხმობის გარეშე, ახალ ფანქრებს ვერ მოგცემთ.

- რაღაც უნდა მოვიფიქროთ! – თქვა უფლისწულმა, – მე თვითონ გავაკეთებ!

- როგორ? – გაუკვირდა ხელმწიფეს.

- ძალიან ადვილად, – თქვა პრინცმა. – აბა, დედას შეხედეთ, ხელთათმანებს თვითონ ქსოვს, ხალათებსაც თვითონ კერავს და საჭმელსაც თვითონ ამზადებს. ფანქრების გაკეთებაც შეიძლება!

- როგორ? – კვლავ შეეკითხა ხელმწიფე.

- არა... არ ვიცი, – დაიბნა უფლისწული.

საქონლისა და მომსახურების წარმოება მხოლოდ ერთ ადამიანზე არ არის დამოკიდებული. ცხოვრებამ დაამტკიცა, რომ თითოეული საგნის დამზადებას ან მომსახურების გარკვეული ნაწილის შესრულებას კვალიფიციური სპეციალისტი სჭირდება. ხშირად, როდესაც რაიმეს ვაკეთებთ, სხვის მიერ დამზადებულ ხელსაწყოებსა და მასალას ვიყენებთ. ქსოვისას ძაფებსა და ჩხირებს ვხმარობთ, კერვისას – საკერავ მანქანებსა და მაკრატლებს, საჭმლის მომზადებისას – ჭურჭელსა და ქურას. ამიტომ დაიმახსოვრეთ, საგნებს ფრთხილად უნდა მოეპყროთ, სხვის შრომას პატივი უნდა სცეთ – დასძინა ჯადოქარმა.

გთავაზობთ თამაშს:

დაიყავით გუნდებად. ერთი გუნდი ჩაიფიქრებს, მეორე გამოიცნობს. ჩანაფიქრი პანტომიმის საშუალებით გამოხატეთ. მეორე გუნდმა უნდა გამოიცნოს, რომელი პროფესიის ადამიანს ახასიათებს ასეთი მოძრაობები.

გარდა ამისა, ერთმა გუნდმა მეორე გუნდს რაიმე ნივთი უნდა აჩვენოს, მეორე გუნდის წევრებმა ჩამოთვალონ, რომელი პროფესიის ადამიანები მონაწილეობენ ამ ნივთის დამზადებაში.

პითევები გამორჩებისათვის

1. რა არის ნატურალური მეურნეობა?
2. რა არის გაცვლა?
3. რა არის საქონლური მეურნეობა?
4. რა არის სპეციალიზაცია?
5. რა პროფესიას აირჩიეთ მომავალში?



ეცადეთ, ნახაგზე ასახოთ საქონლის გაცვლის პროცესი.

განვლილი მასალის გამეორება
(XV გაბგეთილი)

1. რა არის მოთხოვნილება?
2. რაზეა დამოკიდებული ჩვენი მოთხოვნილებების დაკმა-
ყოფილება?
3. რა არის შესაძლებლობა?
4. რაზეა დამოკიდებული ჩვენი შესაძლებლობები?
5. რას ნიშნავს ჩვენი შესაძლებლობების შეზღუდულობა?
6. რა არის არჩევანი?
7. რა არის საქონელი?
8. რა არის მოშსახურება?
9. რა არის სარგებლიანობა?
10. რა არის შრომის დანაწილება?
11. რა არის დროის ექთნომია?
12. რა არის საოჯახო მეურნეობა?
13. რა არის მოხმარება?
14. რა კაგშირია მოხმარებასა და მოთხოვნილებების
დაგმაყოფილებას შორის?
15. რა არის ნატურალური მეურნეობა?
16. რა არის გაცვლა?
17. რას ნიშნავს საქონლური მეურნეობა?
18. რა მოგვიტანა გაცვლაში?
19. რა არის სპეციალიზაცია?
20. რა პროფესიას აირჩივთ მოშაგალში?

კარგად დაუფიქრდით!

თქვენს მიერ შესწავლილი ცნებებისა და ტერმინების გამო-
ყენებით ეცადეთ დაწეროთ რამე ზღაპარი ან პატარა მოთხრო-
ბა ეკონომიკაზე.

VIII თ ე მ ა

გაცვლის განვითარება და ფულის ჭარმოზობა

მოგზაურობა კუნძულ ბარტერზე

(XVI-XVII გავეთიდა)

გავიხსენოთ, რა ხერხები და შესაძლებლობები არსებობს იმისათვის, რომ მოთხოვნილებები დავიკმაყოფილოთ.

გავიხსენოთ ჩვენი შესაძლებლობების შეზღუდულობა და როგორ შეიცვალა ნატურალური მუსიკის საქონლური მუსიკის მიმდევა.

რა მოგვიტანა გაცვლამ?

(დისტანციური და აუდიო დარღვევები)
რატომ ჯობს ერთი საქმის კეთება?

(ყვაველი მიზანი და მიზანი სისტემის დამატებით უძრავი და მიზანი მიზანი და მიზანი არა არა ჩვენი შესაძლებლობები?)
გაიზარდა თუ არა ჩვენი შესაძლებლობები?

(დამატებით მიზანი და მიზანი სისტემის დამატებით უძრავი და მიზანი არა არა ჩვენი შესაძლებლობები?)
რას ნიშნავს ბარტერი? ამის ასახსნელად ჩვენს ზღაპარს დავუძრუნდეთ.

მორიგი გაკვეთილის ჩასატარებლად კეთილი ჯადოქარი – ეკონომიკა სასახლეში მივიდა.

ხელმწიფე და დედოფალი მორთულ-მოკაზმულები დახვდნენ.
– სად მიბრძანდებით, თქვენი უდიდებულესობავ? – დაინტერესდა ჯადოქარი.
– ეკონომიკის გაკვეთილზე, – ორივემ ერთხმად უპასუხა, – ხომ შეგვპირდით, სამოგზაუროდ გაგიშვებთო. ერთი სათხოვარიც გვაქვს: იქნებ ნაცარქექიაც გამოგვაყოლოთ.

- მახსოვს. რადგან ასე გსურთ, სიამოგნებით, - დაეთანხმა ჯადოქარი, მერე ჯოხი აიქნია და სამივენი - ზელმწიფე, დედოფალი და ნაცარქექია გემზე აღმოჩნდნენ.

გემი ლაუგარდოვან ზღვაზე მიცურავდა. მოგზაურობას კარგი პირი უჩანდა. ამინდი არაჩვეულებრივად თბილი და სასიამოგნო იყო, ზღვა - წენარი.

ცოტა ხნის შემდეგ მათთან გემის კაპიტანი მივიდა:

- მალე ბარტერის კუნძულს ჩავუვლით - ამ კუნძულს ბრძენი ოკისი მართავს. ნაპირზე ხომ არ ინგებთ გადასვლას? ეს მხარე შესანიშნავი ხილითაა განთქმული. კუნძულის მცხოვრებნი ხილს თევზსაჭერ მოწყობილობებზე ცვლიან.

- ძალიან კარგი, სიამოგნებით ვესტუმრებით, - თქვა მეფე-დედოფალმა.

მალე ჰორიზონტზე ხმელეთი გამოჩნდა. კაპიტანმა ბრძანება გასცა, გემიდან ქვემეხები ისროლეს. ქვემეხების ხმაზე ხალხმა სანაპიროს მიაშურა. გემი ნაპირს მიუახლოვდა. დამხვდურნი სტუმრებს გულთბილად ესალმებოდნენ.

ზელმწიფე, დედოფალი და ნაცარქექია ნაპირზე გადავიდნენ. კუნძულის მმართველი ოკისი სტუმრებს სიხარულით შეეგება.

- ძვირფასო სტუმრები, კეთილი იყოს თქვენი მობრძანება! მოხარული ვარ თქვენი ნახვის!

ოკისი ძალიან ამაყობდა თავისი ხალხის შრომისმოყვარეობით. იქაურები ბედნიერად და მხიარულად ცხოვრობდნენ.

კუნძულ ბარტერის მცხოვრებნი გემიდან ჩამოსულ მგზავრებს შეეგებნენ. დაიწყო გაცვლა. ზოგი თევზს ნემსებსა და ძაფებზე ცვლიდა, ზოგი - ბანანებს ტანსაცმელზე, ზოგი - ნიჟარებს შუშის მბივებზე, ისეთი ხმაური იყო, საკუთარი ხმაც არ ესმოდათ.

- აბა, კალათები თბილ ტანსაცმელზე! - გაპყვიროდა ერთი მოხუცი.

- მარწყვი, მარწყვი ვის უნდა?!? მარწყვი ქათამზე! ქალბატონო, ჩემი მარწყვი ძალიან გემრიელია, ასეთ მარწყვს ვერსად ნახავთ, - გაიძახოდა ქალი.

- არა, ჩემი ქათამი უფრო ძვირად ფასობს, ყოველდღე პერცხს დებს. მარწყვი არ მჭირდება. ვცვლი სამ დოქზე და ერთ ჯამზე, - მერე ქალმა ისე დაიყვირა, რომ ყველას გადააჭარბა, - ქათამი!

ქათამი! ვის აქვს თიხის ჭურჭელი!

იქვე გვერდით გემის მზარეული ჩხეუბობდა, იქაურ გამყიდველს ძროხას ეგაჭრებოდა:

- მაგ ძროხაში ამ ბადეს ვერ მოგცემ. სად წავიყვანო ამხელა ცხოველი, გემზე ხომ ვერ ავიყვან? თუ გინდა, ოთხ ცალ ანკესს მოგცემ.

- ვის გაუგია ძროხის ანკესებზე გაცვლა!

- ამ ძროხაში ქსოვილის მოელ თოვფს მაძლევდნენ და კიდევ ერთ კალათა ფორთოხალსაც მიმატებდნენ. არაჩემულებრივი ხასიათისაა, უზნეო სულაც არ არის. ეს ხმელეთზე ცხოვრობს, ცურვა არ იცის და ამიტომაც ეშინია.

სანაპიროზე ჭურთასმენა აღარ იყო. ყველა თავისი საქონლის გაცვლას ცდილობდა, თანაც ამტკიცებდა, ეს საქონელი ბევრად უფრო ძვირად ფასოს, ვიდრე მე გაძლევთო.

ვაჭრობა გრძელდებოდა. მმართველმა ოიკოსმა სტუმრები სადილად მიიწვია. გზად მიმავალთ ყვავილების გამყიდველი მანველიტა შეხვდათ. იგი ტიროდა.

- რა მოხდა, მანველიტა, ვინ გაწყენინა? რატომ ტირი, როცა ირგვლივ ყველა იცინის?

ოიკოსი ყველას სახეზე ცნობდა და სახელიც ყველასი იცოდა, მათ შორის, ბავშვებისაც. ჯერ ერთი, კუნძული დიდი არ იყო და მეორეც, ოიკოსი ჭკვიანი და ბრძენი კაცი გახლდათ.

- როგორ არ ვიტირო! ბიჭი სკოლაშია წასასვლელი, ჩანთა კი ჯერ არა აქვს.

- რატომ?

- ჩანთებს ძია ტომი კერავს, მაგრამ მას არც ჩვენი ყვავილები უნდა, არც ჩვენი თევზები.

- აბა რას ითხოვს?

- სურდოს აბები უნდა. აფთიაქში აბების სანაცვლოდ ქათამი მომთხოვეს, ქათამს ქოქოსებზე ცვლიან, ქოქოსებს ხორბალზე, ამიტომაც არაფერი გამომდის.

- ჰო, ეს მართლაც რთული პრობლემაა, - დაეთანხმა ოიკოსი.

- ასეთი პრობლემა ბევრია ჩვენს კუნძულზე. თევზი რომ ძროხაზე გაცვალო, ძროხის საფასური თევზი უნდა დაიჭირო, ამდენი თევზი კი ვის რაში სჭირდება, გაფუჭდება და უნდა გადაყარო. ერთ დღეს ერთი ნაჯახი შეიძლება სამ ტომარა ფქვილზე

გაიცვალოს, მეორე დღეს კი სამ ნაჯახში ერთ ტომარასაც არ მოგცემენ. იცით, რამდენი დრო იხარჯება, სანამ სასურველ საქონელს შეიძენ? ზოგჯერ ამას რამდენიმე დღე სჭირდება, ზოგჯერ კი – მთელი კვირაც.

– მართლაც, ბევრი თავსატეხი გქონიათ, – თქვა ზელმწიფემ.
– თქვენ, მხოლოდ ჩვენი ეკონომიკის ჯადოქარი თუ დაგეხმარებათ, – დედოფალმა თქმაც ვერ მოასწრო, რომ კეთილი ჯადოქარი იქ გაჩნდა.

– თანახმა ვარ, – თქვა ჯადოქარმა.
– ბარტერი – საქონლის საქონელზე გაცვლა, გაცვლის ყველაზე მარტივი ფორმაა, – განაგრძო ოიკოსმა, – თუმცა ბევრი უარყოფითი მხარეც აქვს. შეიძლება მთელი დღე ირბინო, მაგრამ შენი საქონელი ვერ გაცვალო. შეიძლება შეხვდე კიდეც ისეთ ადამიანს, ვისაც შენი საქონელი სჭირდება, მაგრამ გაცვლა მაინც ვერ მოახერხო. აბა, ძროხას ნემსებზე როგორ გაცვლი?

მართალი ბრძანებაა, – თქვა ჯადოქარმა – ეს საქმე ასე ვითარდებოდა: რაც უფრო მრავალფეროვან საქონელს აწარმოებდნენ, გაცვლაც მით უფრო მნიშვნელოდა. თანდათან, გაცვლის პროცესში, საქონლის ის სახეობები გამოიკვეთა, რომელიც ხალხს ყველაზე მეტად სჭირდებოდა. ასე გაჩნდა პირველი უფლი – საგნები, ნივთები, რომელიც საქონლის საფასურს გამოხატავდა. მათ **საქონლური ფული** ეწოდებოდა.

სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა საქონლური ფული იყო – ზვიგენის კბილები, ნიუარები, ჩიტის ბუმბული, მარილი, ხორბალი, ცოცხალი ცხოველები (ცხვარი, ძროხა, ხარი). ხშირად საქონლური ფულის სახით ცხოველთა ტყავებსაც იყენებდნენ, მაგრამ ისინი გამძლე არ იყო. ამიტომაც ბეწვეულის ფული ნიუარებმა შეცვალა. ნიუარები დიდი რაოდენობით მოიპოვებოდა ინდოეთის ოკეანის კუნძულებზე და ვაჭრების დახმარებით აზიაში, აფრიკასა და ევროპაში ხვდებოდა. მათ „გველის თავებს“ ეძახდნენ. ისინი არ ფუჭდებოდა, არც წონას კარგავდა, ამიტომ ამ ფულით ხალხი დიდხანს სარგებლობდა.

საინტერესოა, რომ საქონლური ფული ისეთ საქონელზე იცვლებოდა, – განაგრძო ჯადოქარმა, – რომელსაც ხალხი პირდაპირი დანიშნულებით საოჯახო მეურნეობაში იყენებდა. მაგალითად, შეიძლებოდა ხორბალი გეყიდა, დაგეფქვა და პურიც გამოგეცხო.

– ეს, რა თქმა უნდა, უკეთესია, ვიდრე ბარტერი, – თქვა მმართველმა.

- ვთქვათ, ძროხას ყიდულობთ და ხურდა უნდა დააბრუნოთ, როგორ მოიქცევით? ან ძროხა ავად გაგიხდათ და მოკვდა. ხომ დაიკარგა თქვენი ფული? - ვეღარ მოითმინა ნაცარქექიამ და საუბარში ჩაერია, - ბევრი მარილიც რაში გჭირდებათ, კანფეტი ხომ არ არის. თუნდაც კანფეტი იყოს, ბევრს მაინც ვერ შეჭამთ. ვთქვათ, სავაჭროდ სხვა ქალაქში მიდიხართ, ამ საქონელს ჯიბით ხომ ვერ წაიღებთ. აბა წარმოიღვინეთ „საფულე“, რომელიც ბლავის. ვფიქრობ, ესეც მოუხერხებელია. ან კიდევ, ვთქვათ, სახლის აშენება გადაწყვიტეთ, ამისათვის ფული უნდა მოაგროვოთ, ანუ ცხვრები და თხები. სანამ მოაგროვებთ, შეიძლება დაიხოცონ და უფულოდ დარჩეთ.

- კარგად მსჯელობთ! მართლაც ბრძენი კაცი ყოფილხართ, - უთხრა ოიკოსმა.

- საქონლურ ფულს ბევრი უარყოფითი მხარე ჰქონდა, - განაგრძო ჯადოქარმა, - ამიტომაც ხალხმა ლითონის ფულის დამზადება დაიწყო. ლითონის ფული სხვადასხვა ფორმისა იყო - მავთულისებრი, გრძელი, ბრტყელი, მძივის ფორმის, შემდეგ მრგვალი. ხშირად ლითონის ფულისგან ყელსაბამებს აკეთებდნენ და ასეთი მორთულობით ქალები თავს იწონებდნენ. ასე გაჩნდა მონეტა - ლითონისაგან დამზადებული საგადასახალო საშუალება. მონეტებს სხვადასხვა ლითონისაგან ამზადებდნენ, იყენებდნენ სპილენძს, ოქროს, ვერცხლს.

- ყოჩალ! რა კარგად მიუგნიათ! - გაუხარდა ხელმწიფეს. ჯერ ერთი, ასეთ ფულს ადვილად შეინახავ და დააგროვებ, მეორეც, ლითონის ფული არც კვდება და არც ფუჭდება, მესამეც, ხურდასაც ადვილად დააბრუნებ.

- გარდა ამისა, ოქრო და ვერცხლი ძალიან ლამაზია, - შენიშნა დედოფალმა.

- გეთანხმებით, - თქვა ოიკოსმა, - ლითონის ფული უკეთესია, ვიდრე საქონლური. ოქრო და ვერცხლი იშვიათია და სხვა ლითონზე მეტად ფასობს, ამიტომაც ასეთ ფულზე საქონელს ყველა სიამოვნებით გაცვლის.

- მოითმინეთ, - საუბარში კვლავ ნაცარქექია ჩაერია, - ჯერ ერთი, მოგზაურობის დროს ასეთი ფულის თან წაღება სახიფათოა, შეიძლება ყაჩაღები თავს დაგესხან და წაგართვან, მეორეც, მძიმეა. თუ რაიმე დიდი ნივთის შეძენა გსურთ, ფული ბევრია საჭირო. ასე რომ, მათ გადასატანად შეიძლება ცხენების დაქირავებაც მოგიხდეთ.

- ახლა კი მესმის, რატომაც ამბობენ, რომ ბრძენი კაცი ხართ, - თქვა ჯადოქარმა, - ლითონის ფულის უარყოფითი თვისებების გამო,

ხალხმა ის **ქაღალდის ფულით** შეცვალა. ქაღალდის ფული უფრო მოსახერხებელია, ცოტას იწონის, ადვილად დაახურდავებ. თან მის დასამზადებლად სპეციალური გამჭვირვალე ქაღალდია საჭირო და ყალბ ფულს უცბად ამოიცნობ.

- აი ეს მომწონს, - გაეხარდა ოკონის, - ნეტავი ადრე მცოდნოდა. ახლავე ბრძანებას გავცემ, ფულს მე თვითონ დავამზადებ. მაგრამ რა დავარქვა? როგორი უნდა იყოს?

- ეგ რა პრობლემა? - გაეცინა ჯადოქარს, - ჩვენ დაგეხმარებით!

გთავაზობთ თამაშს:

მარგელი ეტაპი: დავარივოთ პაკეტები, თითოეულ პაკეტში სხვადასხვა საგნები ჩავდოთ. (ფანქრები, გადასაყვანი ქაღალდები, საღეჭი რეზინები და ასე შემდეგ).

შეგიძლიათ თქვენი საგნები ერთმანეთში გაცვალოთ.

იმსჯელეთ, რა არის გაცვლა.

ადვილი იყო თუ არა ერთმანეთში მორიგება?

მეორე ეტაპი: ახლა სათამაშო ფული გავინაწილოთ (10-15 ასპანური).

გაყიდეთ თქვენი საქონელი და იყიდეთ რაც გნებავთ.

ადვილი იყო თუ არა გაცვლა, ყიდვა-გაყიდვა?

შეძელით თუ არა ერთმანეთთან შეთანხმება?

პითხვები გამეორებისათვის

1. რას ნიშნავს ბარტერი?
2. როგორი იყო მარგელი ფული? რა ეწოდება ასეთ ფულს?
3. რატომ შეიცვალა საქონლური ფული ლითონის ფულით?
4. რა არის ლითონის ფული?
5. რატომ შეიცვალა ლითონის ფული ქაღალდის ფულით?



დახატეთ, როგორ წარმოგიდგენიათ კუნძული ბარტერი.

IX ԱՅՃ

**ՅԱՂՈՆ ՄՅՈՒԵՃԱՑՈ
(XVIII-XIX ՑԱԳԱՅԹՈՅՆՈ)**

Եղլմիոցը և դեգոյալո ծարթյրէց յոյշնուսան ցայցնեն յշն-
ժշլուս մոսակլյունան և մատո սայմօանուն յրտ-յրտ նախն - նա-
յոնուն ցայցլուն.

Ռոցորց գազոնանան, ցայցլուս Մյամլյաձլուն յուզելունը առ առնւն
ցայուննենուն մանքելուն, Ռոմելսաց մալուն ցայցնուն հինուն
մյեճնան.

Սայոնլուր յոյշն: Տորություն, նոյառան, մարուն և անց թյժ-
լուն ծցորո վարչոյունուն տակունան Հյոննան.

Կահս սամնցր Օբընընմայնընք ‘Ռմզլիլին դասո՞
-ին մաս ‘ահօաննընքնէնին Ռմզլիլուն սամնէն օաննացաբի՞նդ’

Ռոցորց ցուսուն, Սայոնլուր յոյշնուն Մյամլյաձլուն լուտոննուն յոյշնան.

Կահբա ‘ոաց Շալլէ ‘արժցօապ ‘օրջեամօքն’

լուտոննուն յոյշնուն Նեցագանեցա յուրմուսան ոյսուն.

Կահը Շալլէա ‘օազլիլունը ‘օազլիլունամնամնը’

Ռա շամուալյուննան Հյոննան լուտոննուն յոյշնան?

Կահը Շալլէա Ցղուն:

Ռա Ռմզլիլուն Շալլէա ‘Ռմզլիլունըն Շալլէա ‘Ռմզլիլուն պան’

Ռա վարչոյունուն տակունան Հյոննան լուտոննուն յոյշնան?

Կահը Շալլէա Ցղուն:

Ռա Կահս Շալլէա Շալլէա պան’ Կահս Շալլէա պան’

Ռոցորուն յոյշնուն Վարչոյելուն լուգեն:

Կահս Շալլէա Շալլէա պան’ Կահս Շալլէա պան’

Կահս Շալլէա Շալլէա պան’ Կահս Շալլէա պան’

Ռոցորուն յոյշնուն Վարչոյելուն լուգեն:

Կահս Շալլէա Շալլէա պան’ Կահս Շալլէա պան’

დედოფალს და ნაცარქექიას მივაკითხოთ. ისინი კუნძულ ბარტერზე ბრძენ თიკოსთან დავტოვეთ. ნაცარქექია და ჯადოქარი თიკოსს დაეხმარნენ და ერთად ბევრი პრობლემის მოგვარება შეძლეს.

ოკოსმა ქაღალდის ფული შემოიღო, რომელსაც „ბუმბიკებს“ ეძახდნენ.

კუნძულის საუკეთესო ოსტატმა ქაღალდის ფულის დამზადების ტექნიკოლოგია გამოიგონა და საიდუმლოდ ინახავდა.

ქაღალდი წყალგაბმლე იყო, თანაც ლამაზად გამოიყურებოდა.

მეორე ოსტატმა ფულის საღებავი დაამზადა. ის საღებავი არც მზეზე ხუნდებოდა და არც წყლით ირეცხებოდა.

მმართველმა ოკოსმა ფულზე თავისი ხელმოწერა დასვა.

ოკოსმა ფულის დახურდავების პრობლემაც მოაგვარა. მან ერთიანი, სამიანი, ხუთიანი და ათიანი ბანკნოტები გამოუშვა.

ბანკოტი ქაღალდის ფულს ნიშნავს.

ბანკნოტი თითქმის იმ ზომისა იყო, რა ზომისაც დღეს ჩვენი ფული - ლარია.

ჩვენი ფული, ისევე როგორც კუნძულის ფული, მაღალი ხარისხის ქაღალდისგანაა დამზადებული. ადვილად არ იხევა, მსუბუქია. ყალბი ფულის დამზადებაც მნელია.

ოკოსის ბრძანებით, კუნძულის ცენტრალურ მოედანზე კანონების მაუწყებლები ხმამაღლა აცხადებდნენ:

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

ჩვენს სახელოვან კუნძულზე საქონლის გაცვლის პრობლემები მოგვარებულია.

ამიერიდან ყველაფერი რიგზე იქნება.

კუნძულ ბარტერის მოსახლეობისათვის ვბრძანებ:

1. კუნძულ ბარტერზე საქონლის საფასურად დაწესებულია ფულადი ნიშნები - ბუმბიკები.

2. საქონლისა და მომსახურების ფულზე გადაცვლას ეწოდოს **გაყიდვა**.

3. საქონლისა და მომსახურების ფულით შეძენას ეწოდოს **ყდვა**.

4. ფულის იმ რაოდენობას, რომელიც ერთეული საქონლის საყიდლად ან გასაყიდადა საჭირო, ეწოდოს **ფასი**.

კუნძულის მმართველი თიკოსი

- რა კარგია! – მანველიტას თვალებზე ცრემლს აღარ დავინახავ. მანველიტა ყვავილებს გაყიდის, მისი ქმარი, მეზღვაური ჯონი, თევზს დაიჭერს, აღებული ფულით ბიჭს ჩანთას უყიდიან, – უხაროდა ოკოსს. – მარტო ჩანთას კი არა, ფულით ყველაფერს იყიდიან. ჩემი კუნძულის ხალხი გაიხარებს, აღარ დასჭირდებათ საქონლის საქონელზე გადაცვლა, საქონელს გაყიდიან, ფულს აიღებენ, დააგროვებენ და შემდეგ, როცა რაიმე დასჭირდებათ, იყიდიან. ეს იმას ნიშნავს, რომ ფული გაცვლის ყველა პრობლემას მოგვიგვარებს.

– გარდა ამისა, მოლაპარაკება მყიდველსა და გამყიდველს შორის მაღე დამთავრდება. თავსატეხი აღარ იქნება, რამდენი ბატი უნდა გაცვალო ერთ ტომარა მარცვალში და რამდენი მეტრი ტილო ერთ ნაჯახში. დადგენილი ფასებით ყველაფერი ადვილად მოგვარდება. ვთქვათ, ერთი ტომარა ფქვილი 40 ბუმბიკი ღირს, ერთი ბატი კი – 8 ბუმბიკი. გამოდის, რომ ერთი ტომარა ფქვილის საყიდლად 5 ბატია საჭირო, – უთხრა ჯადოქარმა.

– სწორია! ასეც არის. ჩვენს კუნძულზე ერთ ტომარა ფქვილში ხუთ ბატს და, თუ ბატები მსუქნები იყვნენ, ოთხსაც ცვლიდნენ. ესე იგი გამხდარი ბატი მსუქანზე 2 ბუმბიკით იაფია. ეს ფულის კიდევ ერთი კარგი თვისებაა, ის ანგარიშის დროს ერთეულს განსაზღვრავს და საქონლის ფასის დადგენაში მოგვეხმარება, – თქვა ოკოსმა.

– სწორია, სწორი, – კვერი დაუკრა დედოფალმა.

– ახალი სახლი რომ იყიდოთ, ძროხების მოგროვება აღარ დაგჭირდებათ, არც მათი მოვლა, კვება და იმაზე ნერვიულობა, გადარჩებიან თუ არა. ფულის დაგროვება უფრო ადვილი საქმეა. წარმოიდგინეთ, როგორ გაუმართლა ექმებს, პარიკმაზერებს, მასწავლებლებს და სხვა პროფესიის ადამიანებს, რომლებიც მომსახურებისათვის ქაღალდის ფულს აიღებენ. ისინი ამ ფულს დააგროვებენ და შემდეგ სურვილისამებრ საჭირო ნივთებს შეიძენენ. ესე იგი ფული ქონების დაგროვებაშიც დაგვეხმარება, – განმარტა ჯადოქარმა.

– კეთილო ჯადოქარო! – მიმართა ოკოსმა, – დიდი მადლობა დახმარებისათვის. ჩემი კუნძულის ხალხს ყიდვა-გაყიდვა ძალიან გაუადვილდება. დიდი მადლობა!

– კარგია, რომ ჩემი რჩევა გაითვალისწინეთ, – თქვა ჯადოქარმა, – თანაც მშვენიერი ეკონომიკის გაკვეთილი გამოგვიდა.

საგარენიშო

ვთქვათ, ისეთ ქვეყანაში ცხოვრობთ, სადაც ფულის არსებობა
არ იციან!

ამოცანა № 1

ერთ-ერთ სოფელში ერთ ცხვარზე 10 თიხის დოქს, ან 6
ისარს, ან 2 ტომარა ფქვილს ცვლიან. რამდენ ნაჯახზე გაიცვლება
ერთი ცხვარი, თუ ერთ ნაჯახს 3 ისარზე ცვლიან?
რამდენი დოქსი გაიცვლება ერთ ისარზე?

(იუბები - იმ იუბა რედიტორებ
ცეცხლი ამა იმამ იუბა 'იმამ იუბა უკრძალ იუბა :იყნელი)

ამოცანა № 2

ურჩიეთ მჭედელს, როგორ გაცვალოს ნაჯახები ცხვარზე, თუ
ცხვრის პატრონს ფქვილი სჭირდება, ფქვილის პატრონს - დოქსი,
დოქსის პატრონს კი - 2 ნაჯახი.

(ცეცხლი - იამიტბი რედიტორ ც ცეცხლი
რედიტორ ც იმამ იმ 'ამარტინებ ცეცხლი იმ უკრძალ ც :იყნელი)

ამოცანა № 3

ვთქვათ, გამოვუშვით ქაღალდის ფული და მას ჩვენთვის კარგად
ნაცნობი სახელი — ასპანური დავარჩივით.

1 დოქსი 3 ასპანური ღირს. რა ეღირება დანარჩენი საქონელი?

(იუბები ეს - იმ უკრძალ იუბები ც - იუბა უკრძალი
ეს - იამიტბი რედიტორ იუბა 'იუბები ეს - იუბები :იყნელი)

ამოცანა № 4

რამდენი ისარია საჭირო 5 ცხვარზე გასაცვლელად?

(იუბა ეს :იყნელი)

ამოცანა № 5

ერთ სოფელში 6 ქათამზე ცვლიან 1 ნაჯახს, ან 3 მეტრ
ტილოს, ან 12 თიხის ჯამს.

რამდენი მეტრი ტილო გაიცვლება სამ ნაჯახზე?

რამდენი თიხის ჯამი გაიცვლება 1 მეტრ ტილოზე?

(იმ უკრძალ იუბები 6 :იყნელი)

ამოცანა № 6

გლეხი კურდღლებს ქათამებზე ცვლიდა. 2 კურდღლში 3 ქათამს იღებდა. რამდენი კურდღლი უნდა დაიჭიროს გლეხმა, რომ 24 ქათამში გაცვალოს?

(იამსტამება არ აყნება)

ამოცანა № 7

ერთ სოფელში ერთი ქათამი 6 ასპანური ღირს. 1 ნაჯახი 36 ასპანური, 1 მეტრი ტილო 12 ასპანური, ერთი თიხის ჯამი სამი ასპანური. რამდენი ნაჯახი, ტილო და თიხის ჯამი შეგიძლია იყიდო, 12 ქათამი რომ გაყიდო? რამდენი ტილო? რამდენი თიხის ჯამი?

(იგრძნება უიდო აუდიტორი თუ უიდენება არ აყნება)

პითხვები გამეორებისათვის

1. რა არის ბანქნოტი?
2. რა თვისებები აქვთ ქაღალდის ფულს?
3. რას ნიშნავს გაყიდვა?
4. რას ნიშნავს ყიდვა?
5. რა არის ფასი?



დახატეთ ნებისმიერი საქონლური ფული, მონეტა და ქაღალდის ფული.

X თ მ ა პ

მოძრავი და უძრავი ქონება

(XX გაკვეთილი)

როგორ ფიქრობთ, რამდენ ხანს დარჩნენ ზელმწიფე, დედოფალი და ნაცარქექია კუნძულ ბარტერზე?

ჩვენ მოგვეჩვენა, რომ მათი სტუმრობა დიდხანს გაგრძელდა, მაგრამ ასე არ ყოფილა. სასახლეში მათი გაუჩინარება არავის შეუმჩნევია, რადგან იცოდნენ, რომ მეფე და დედოფალი ეკონომიკის კაბინეტში გაკვეთილზე იყვნენ.

სასახლეში მყოფთა გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა ხილით სავსე კალათებით ზელმწიფე, დედოფალი და ნაცარქექია კიბეზე ამოვიდნენ.

აი, რა შეუძლია ეკონომიკის ჯადოქარს!

დღეები გადიოდა, ზელმწიფე და დედოფალი კუნძულზე გატარებულ დროს ვერ ივიწყებდნენ.

— რა შესანიშნავი მოგზაურობა იყო! რა საოცარი ადამიანია მმართველი ოკონსი! — იხსენებდა დედოფალი.

— მართლაც საოცარი ადამიანია, — დაეთანხმა მეფე.

— და რა ჭკვიანია! — განაგრძობდა დედოფალი.

— დიახ, ძალიან ჭკვიანია, — კვლავ დაეთანხმა მეფე.

— და როგორი მომხიბვლელი!

— შეიძლება, მართლაც მომხიბვლელია.

— რა მდიდარია!

— არა, მე უფრო მდიდარი ვარ! — ვეღარ მოითმინა ზელმწიფემ.

— არა მგონია, — შეეკამათა დედოფალი.

— არა, უფრო მდიდარი ვარ! — არ ნებდებოდა ზელმწიფე.

— ისევ ჩხუბობთ? — გაისმა ხმა და ოთახში ჯადოქარი გაჩნდა, —

რა ხდება?

- ვერ გაგვირკვევია, ვინ უფრო მდიდარია, ჩვენ თუ იყოსი?
- დიახ, ეს მართლაც საინტერესო თემაა, - მოდი, განვმარტოთ, რა არის სიმდიდრე, - თქვა ჯადოქარმა.
- ყველამ იცის, რომ, თუ ბევრი ფული გაქვს, მდიდარიც ხარ,
- თქვა ხელმწიფემ.
- ფული კი არა, ნივთები, - შეეკამათა დედოფალი.
- ნუ კამათობთ! ფულიც და ნივთებიც ჩვენი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად გვჭირდება. სხვადასხვა ადამიანს სხვადასხვა მოთხოვნილება აქვს და უფრო მდიდარია ის, ვისაც შეუძლია მეტი მოთხოვნილება დაიკმაყოფილოს. ადამიანის სიმდიდრე მის შესაძლებლობებზეა დამოკიდებული, - აუხსნა ჯადოქარმა.
- როგორ გავიგოთ, ვინ უფრო მდიდარია, თუ ყველას სხვადასხვა მოთხოვნილება აქვს? - იკითხა ხელმწიფემ.
- დიახ, ადვილი საქმე არ გახლავთ. ჯერ შევთანხმდეთ, რომ **სიმდიდრე** არის ქონების ღირებულება და ფულის ის რაოდენობა, რაც ერთ ადამიანს ან ოჯახს ეპუთვნის, - თქვა ჯადოქარმა.
- ესე იგი, იმისათვის, რომ გავიგო, მდიდარი ვარ თუ არა, მთელი ჩემი ქონება უნდა გაგყიდო? - იკითხა ხელმწიფემ.
- არა, ხელმწიფე, არაფრის გაყიდვა არ არის საჭირო. უნდა იცოდეთ, რა ღირებულების ქონება გაქვთ იმ შემთხვევისთვის, თუ მისი გაყიდვა დაგჭირდათ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იგი უნდა შეაფასოთ, - განმარტა ჯადოქარმა.
- აღარ მაინტერესებს იმის გარკვევა, ვინ უფრო მდიდარია, - თქვა ხელმწიფემ, - გავაგრძელოთ მეცადინეობა.
- კარგი, - დაეთანხმა ჯადოქარი, - ქონება, რომელიც ოჯახს ეპუთვნის, შეიძლება იყოს მოძრავი ან უძრავი. ნივთებს, რომელთა გადაადგილებაც შესაძლებელია, **შორავი ქონება** ეწოდება. ეს არის ავეჯი, ჭურჭელი, ტანსაცმელი, ძვირფასეულობა, წიგნები, სათამაშოები, გადასაყვანი ქაღალდები, ხოლო სახლი, აგარაკი, მიწის ნაკვეთი - **უძრავი ქონებაა**, რადგან მათი გადაადგილება შეუძლებელია.
- ესე იგი, რაც უფრო მეტი ნივთი გაქვს, მით უფრო მდიდარი ხარ, არა? - იკითხა ხელმწიფემ და დედოფალს მიუბრუნდა: - ხომ

გეუბნებოდი, ჩემი ძველი ქუდი არ გადააგდო-მეთქი.

- არა, არც ისეა საქმე, თქვენ რომ გგონიათ, – აუხსნა ჯადო-ქარმა. – როცა ნივთებს დიდხანს ვხმარობთ, ისინი ცვდება, მოდი-დან გაღის და სარგებლობაც ნაკლებად მოაქვს. მათი საწყისი ღირებულება იკარგება. მაგალითად, დროთა განმავლობაში ქუდი შეიძლება ძონბად იქცეს. ხომ წარმოგიდგენიათ, რა სასაცილონი ვიქნებით, ძველმანებში რომ გავეხვიოთ. სახლს მოვლა და ზრუნვა სჭირდება, დროდადრო იგი უნდა მოვაწესრიგოთ, ძველი ნივთები ახლით შევცვალოთ. აბა, ვის ესიამოვნება ძველი დამტვრეული სათამაშო ან დაძონბილი კაბა? ალბათ ხშირად გაძლევენ შენიშვნებს, რომ ყველაფერი მოაწესრიგოთ და ის, რაც არ გჭირდებათ, გადაყაროთ. დროთა განმავლობაში საქონელი ფასს კარგავს. მაგრამ, ისეთი ნივთებიც არსებობს, რომელთა ფასი კი არ კლებულობს, არამედ, პირიქით, მატულობს. ასეთია ხელოვნების ნიმუშები, სურათები, სკულპტურები, ძვირფასეულობა, იშვიათი ძველებური საგნები, რომელსაც **ანტიკენს** უწოდებენ. ისინი სიმდიდრის შემადგენელ ნაწილად ითვლება.

– გამდიდრება ყველას უნდა, მაგრამ ზოგი მართლა მდიდრდება, ზოგი კი ვერა. რატომ? – ჰკიოთხა ხელმწიფემ.

– დღეს რაღაც რთულ შეკითხვებს მაძლევთ, უცებ პასუხის გაცემაც კი მიჰირს! – ამოიოხრა ჯადოქარმა, – იშვიათად, მაგრამ სიმდიდრე ზოგს უეცრად თითქოს ციდან ჩამოუვარდება ხოლმე, ან მდიდარი ნათესავი ქონებას ანდერმით დაუტოვებს, ან სულაც ლატარიაში მოიგებს. უმეტესად კი ადამიანები თავიანთ ქონებას თვითონვე ქმნიან. ყველას საკუთარი თავის იმედი უნდა ჰქონდეს. ამისათვის მოხერხებულობა, ცოდნა და ზოგჯერ გამართლებაც არის საჭირო. სიმდიდრე შემოსავალზეა დამოკიდებული.

შემოსავლად ითვლება ფულის ის რაოდენობა, რომელიც ოჯახში განსაზღვრულ დროში შემოდის. რაც უფრო მეტია თანხის რაოდენობა, მით უფრო მეტია შემოსავალი და სიმდიდრეც მატულობს.

– გამოდის, რომ სიმდიდრე ქონება და ფულია, რომელიც ოჯახს ეკუთვნის, შემოსავალი კი არის ის ფული, რომელიც თითოეულ წევრს ოჯახში შემოაქვს, – თქვა ხელმწიფემ.

- სწორია, - შეაქო კეთილმა ჯადოქარმა - შემოსავალი, როგორც წესი, დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ შრომობს ადამიანი, სიმდიდრე კი იმაზე, თუ როგორ ხარჯავს. ოჯახში არის შემოსავალი და არის გასავალი. ამ უკანასკნელს ეკონომიკის ენაზე **თჯახის ხარჯი ეწოდება.**

- ახლავე ჩემებურად აგიხსნით, - თქვა ნაცარქექიამ, - აბა, წარმოიდგინეთ დიდი მდინარე, რომელიც სიმდიდრის ტბაში ჩაედინება. მას შემოსავალი პქვია. მეორე მდინარე ტბიდან გაედინება და მას გასავალი პქვია. თუ ტბაში წყალი უფრო მეტი რაოდენობით ჩაედინება, ვიდრე გადის, მაშინ წყლის დონე თანდათან მატულობს და, თუ მეტი გაედინება, ვიდრე ჩადის, - კლებულობს.

- მომწონს თქვენი გონებამახვილობა, კარგადაც შსჯელობთ, - თქვა ჯადოქარმა და მეუე-დედოფალს გადახედა, - ახლა მე მივდივარ, თქვენ კი თქვენი ქონება შეაფასეთ.

- მოდი, შევაფასოთ ჩვენი ქონება, - ერთხმად თქვეს ხელმწიფებ და დედოფალმა.

- მაშ, ასე, - თქვა დედოფალმა, - ჩვენი სასახლე, ალბათ 1000 ეკონზე (ამ ქვეყნის ფული) ნაკლები არ ღირს. ეს ლამაზი, ხელით დამზადებული ავეჯი, ოქრომკედით მოქარგული სადღესასწაულო ტანსაცმელი და ჭურჭელი 200 ეკონი ეღირება.

- ჩემი სამეფო ეტლი 50 ეკონად გაიყიდება. გახსოვს, 6 ცხენში 35 ეკონს მაძლევდნენ. ამას ჩვენი წინაპრების სურათებიც მივუმატოთ და 40 ეკონი გამოვა. საგვარეულო ძვირფასეულობა ნამდვილად 120 ეკონი ღირს.

- ეტლისა და საჯინიბოს ფასიც არ დაგავიწყდეს. ამას ჩვენი ეზოც რომ მივუმატოთ, ვფიქრობ, 480 ეკონს გადაგვიხდიან.

- მინდვრები და ბალები 320 ეკონად გაიყიდება, საჯინიბოს-თვის შეგვიძლია 90 ეკონი მოვითხოვოთ. ეტლის სადგომი სარემნტოა, მაგრამ სულ ცოტა 30 ეკონი გვეპუთვნის.

- რამდენი ვიანგარიშეთ, სულ ამერია, ის უულიც ხომ უნდა მივუმატოთ, რომელიც არ დაგვიხარჯავს?

- ხაზინაში 165 ეკონი დარჩა, ისიც უნდა მივუმატოთ.

- ახლა უნდა დავითვალოთ მოძრავი და უძრავი ქონება და ქონების მთელი ღირებულება, - თქვა დედოფალმა.

უძრავი ქონება

სასახლე — 1000 ეკონი;
 მიწა, ბაღები — 320 ეკონი;
 საჯინიბო — 90 ეკონი;
 ეტლის გასაჩერებელი
 ადგილი — 30 ეკონი.

მოძრავი ქონება

ავეჯი, ჭურჭელი — 200 ეკონი;
 ეტლი — 50 ეკონი;
 ცხენების ექვსეული — 35 ეკონი;
 სურათები — 40 ეკონი;
 ძვირფასეულობა — 120 ეკონი;
 ფული — 165 ეკონი.

სულ 1440 ეკონი

სულ 610 ეკონი

მთელი ქონება — 2050 ეკონი.

პითხვები გამეორებისათვის

1. რა არის სიმღიდოვნე?
2. რა არის მოძრავი ქონება?
3. რა არის უძრავი ქონება?
4. აგტომანქანა მოძრავი ქონებაა თუ უძრავი?
5. რას ეწოდება ანტიკვარი?
6. რა არის ოჯახის შემთხვევაში?
7. რა არის ოჯახის ხარჯი?



დახატეთ ცალ-ცალკე მოძრავი და უძრავი ქონება.

XI 0 2 8

როგორ გაჩნდეთ მინისტრები

(XXI გაკვეთილი)

რა არის ოჯახის სიმღიდორე?

(გრამში ის მერაბერაუ ‘რყერა იმრაცხლი ეს რა ასერი
იმას დრეამარი რენეამ იმრაცხლი რენეამ იმას დრეამარი ეს რა ასერი

როგორი ქონება გაქვთ?

(ზემოცილი ცერ ის იმაცხელე ეს ქადაგი ‘მრავალრენე რენეამ იმას დრეამარი ეს რა ასერი
იმას დრეამარი რენეამ რენეამ იმას დრეამარი ეს რა ასერი
‘ოფავი იმაცხელი მრავალრენე რენეამ იმას დრეამარი ეს რა ასერი
-რე რომელი უარის იმაცხელი მრავალრენე რენეამ იმას დრეამარი ეს რა ასერი
-რე რომელი უარის იმაცხელი მრავალრენე რენეამ იმას დრეამარი ეს რა ასერი)

მეფე-დედოფალს საზრუნავი არ აკლდებოდათ.

ჯადოსნური ჯონის გაქრობამ მათ უამრავი პრობლემა გაუჩინა.
სახელმწიფოს მართვა ყოველდღე მნელდებოდა, დროც არ ჰყოფნიდათ.

- ძვირფასო, იქნებ სხვების მსგავსად ჩვენც მინისტრები დავი-
ქირაოთ? - უთხრა ერთხელ დედოფალმა.

- კარგი აზრია, მაგრამ სად ვეძებო? - ამოიოხრა მეფემ, - სახელ-
მწიფოს მართვა საპასუხისმგებლო საქმეა. მე უბრალო, გაუნათლე-
ბელი მსახურები კი არა, ნასწავლი და ჭკვიანი ხალხი მჭირდება.

- სწორად მსჯელობ! - დაეთანხმა დედოფალი, - მართლაც ჭკვი-
ანი და განათლებული თანაშემწეები გვჭირდება.

- იქნებ ნაცარქექიას ვთხოვოთ და მათს მოძებნაში დაგვეხმაროს?

- სიამოვნებით, - თქვა ნაცარქექიამ, - განცხადება გამოვაქვეფ-
ნოთ და ის სასწავლო დაწესებულებებიც მოვძებნოთ, სადაც ასეთი
პროფესიის ხალხს ამზადებენ, ან ნაცნობ მეფეებს ვთხოვოთ, იქნებ
სპეციალისტები გამოგვიგზავნონ.

- ვიდრე მათ მოიწვევდეთ, უნდა იცოდეთ, რას გადაუხდით, ანუ რა ოდენობის **ხელფასი** დაენიშნებათ, - გაისმა ჯადოქრის ხმა,
- იმაზე თუ გიფიქრიათ, რამდენი ეკონის გადახდას აპირებთ?
- მე რატომ უნდა ვიფიქრო, თვითონაც კარგად იციან, - თქვა ხელმწიფებ.

- საზოგადოდ, რა თქმა უნდა, იციან. ყველას ერთნაირი ხელფასი არ ექნება, მაგრამ თქვენ ხომ მინისტრს იმდენ თანხას არ გადაუხდით, რასაც მებაღეს უხდით?

- რატომაც არა? რითი არიან ისინი სხვებზე უკეთესები!
- გაჯიუტდა ხელმწიფე.

- არა, ასე ნუ მსჯელობთ. თქვენ განათლებული, წიგნიერი მინისტრები გჭირდებათ. მათ განათლების მისაღებად დიდი თანხა დახარჯეს, დახარჯეს ენერგია, დრო და ამიტომაც ანაზღაურება მაღალი უნდა ჰქონდეთ. ამასთან, მინისტრის სამუშაო უფრო საპასუხისმგებლოა, ვიდრე მებაღისა. მინისტრებმა შეცდომები რომ დაუშვან, ქვეყანა აირევა, შეიძლება ომიც დაიწყოს. მებაღის შეცდომა ადვილი გამოსასწორებელია. ხალხი გრძნობს პასუხისმგებლობას და სამუშაოს კეთილსინდისიერად ეკიდება.

- გამოდის, რომ ყველას, ვისაც კარგი განათლება აქვს, მეტი ხელფასი უნდა? - იკითხა დედოფალმა, - ასე თუ ვიმსჯელებთ, მეშახტეებს უფრო მაღალი ხელფასი აქვთ, ვიდრე მებაღებს, თუმცა არც მეშახტეებს აქვთ უმაღლესი განათლება. სასწრაფოდ უნდა ხელფასები ჩამოვაკლოთ, ეს ფულის განიავებაა.

- არა, ეს ფულის განიავება არ არის, - შეაჩერა ჯადოქარმა, - სამუშაო, რომელიც ძალიან მძიმეა, თანაც არცოუ მიმზიდველი, ასევე ძვირად ფასობს, რადგან ის ქვეყნისთვის საჭიროა. სხვა შემთხვევაში, თუ დიდი ხელფასები არ ექნებათ, არავინ მოისურვებს ასეთი სამუშაოს შესრულებას. და მერე, ნუ იფიქრებთ, რომ კარგი განათლებითა და დიდი გამოცდილებით თქვენთან ვინმე დაბალ ხელფასზე იმუშავებს.

- კარგი, გავიგე, რაც უნდა გავაკეთო, - თქვა ხელმწიფემ, - დროს ნუ ვკარგავთ, უნდა ვიმოქმედოთ.

ხელმწიფემ სამეფო გაზეთში განცხადება გამოაქვეყნა: „გვესაჭიროება განათლებული მინისტრები! ანაზღაურება მაღალი ექნებათ! მოგვმართეთ სასახლეში“.

მეორე დღესვე სასახლეს უამრავი ხალხი მოაწყდა. მინისტრობის მსურველი ძალიან ბევრი აღმოჩნდა, იმიტომ რომ მეფე მაღალ ხელფასებს პპირდებოდა. მაღალი ხელფასი ყველას უნდა, ყველამ იცის, რომ ასეთი ანაზღაურება დიდ შემოსავალს იძლევა და მოთხოვნილებებიც ადვილი დასაკმაყოფილებელია. მაგრამ ხელმწიფე არ დაიბნა და გამოაცხადა, რომ მინისტრად მხოლოდ იმას მიიღებდა, ვისაც მინისტრთა აკადემიის დიპლომი და თანაც ამ თანამდებობაზე მუშაობის სამი წლის გამოცდილება ექნებოდა:

- ცოდნა საკმარისი არ არის, მისი გამოყენებაც უნდა შეგეძლოთ. გამოცდილების მქონე ადამიანები უფრო კარგ სპეციალისტებად ითვლებიან, ვიდრე ისინი, რომლებმაც სასწავლებელი დაამთავრეს, მაგრამ სპეციალისტის მიხედვით არასოდეს უმუშავიათ.

ამ განცხადების შემდეგ მისაღებში მხოლოდ 5 ადამიანი დარჩა, - ისინი ყველა მოთხოვნილებას აკმაყოფილებდნენ, მაგრამ მეფეს მხოლოდ 2 სამუშაო ადვილი ჰქონდა. მეფე მოსათათბირებლად დედოფალთან გაიქცა და თან ნაცარქექიაც დაიბარა.

- გამოცდა მოვაწყოთ, - თქვა ნაცარქექიამ, - განათლება ყველას კარგი აქვს, მუშაობის გამოცდილებაც, მაგრამ ყველას ერთნაირად სხარტი აზროვნება, გამჭრიახი გონება არ ექნებათ. ჯერ გამოვცა-დოთ და მერე მივიღოთ.

- ჩვენ თქვენი ნიჭის შემოწმება გვინდა, - უთხრა მათ ნაცარქექიამ, - ვინც უფრო კარგად აზროვნებს, მინისტრის პოსტზეც მას დავნიშნავთ.

გამოცდაზე გამოიძახეს პირველი მსურველი.

- რისი გაქტება შეგიძლიათ? - შეეკითხა ხელმწიფე.

- მე ყველა სიტყვას უკუღმა ვკითხულობ, - იყო პასუხი.

- თავშესაქცევია, მაგრამ მინისტრის პოსტზე არ გამოდგებით, ნახვამდის, - უთხრა ნაცარქექიამ.

მეორე მსურველი სახელმწიფო პიმნს ბულბულივით უსტვენდა. მესამეს თვალებახვეულს შეეძლო მაღვიძარას დაშლა და აწყობა. მეოთხე სწრაფად ანგარიშობდა, უმატებდა, აკლებდა, ყველანაირ ციფრს ამრავლებდა, მეხუთემ კი ექვსი უცხო ენა იცოდა.

- როგორ მოვიქცეთ? - იკითხა ხელმწიფე.

მეოთხე მსურველი ეკონომიკის მინისტრად დანიშნეთ, მეხუთე კი, რომელმაც 6 ენა იცის, საგარეო საქმეთა მინისტრად, -

ურჩია ნაცარქექიამ.

ასე რომ, 2 ადამიანი, ყველაზე განათლებული და ნიჭიერი, მაღალ თანამდებობაზე დაინიშნა მაღალი ანაზღაურებით.

ბავშვებო, რამდენიმე წლის შემდეგ თქვენ სკოლას დაამთავრებთ, აირჩევთ პროფესიას, შეძლებ კარგი სკოლისტებიც გახდებით და, ბუნებრივია, ისეთი სამუშაოს ძებნას დაიწყებთ, სადაც მაღალი ხელფასი გექნებათ. აქედანვე იფიქრეთ თქვენს მომავალ პროფესიაზე!

პითხვები გამოორებისათვის

1. რა არის ხელფასი?
2. როგორ ფიქრობთ, ვის უფრო მთლიანი ხელფასი ექუთ-გნის: მფრინავ-გამომცდელს თუ გამყიდველს? მეცნიერს თუ მეცნიერს? რატომ?
3. რატომ მოითხოვა ხელმწიფებ მუშაობის სამი წლის გამოცდილება და დიპლომი?
4. რისთვის სჭირდებოდა მინისტრები ხელმწიფები?



დაწატეთ სურათი თემაზე: „ჩემი მომავალი პროფესია“.

XII თ ე მ ა

ღრღითი და სანარღო ხელფასი

(XXII გაკვეთილი)

როგორც ყველას, ჩვენს ხელმწიფესაც პყავს თავისი მინისტრები.

ერთი აწარმოებს ანგარიშს, ადგენს გეგმებს, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ქვეყნის ეკონომიკასა და ფინანსებს განაგებს, მეორე ქვეყნის საგარეო საქმეებით არის დაკავებული, იღებს დელეგაციებს, დებს საერთაშორისო შეთანხმებებს და ასე შემდეგ.

მინისტრების დანიშნის შემდეგ ქვეყნის საქმეები გაუმჯობესდა.

ერთხელ მეფემ ეკონომიკის მინისტრი დაიბარა და უთხრა:

- მე თქვენი კმაყოფილი ვარ. მშვენიერად ასრულებთ დაკისრებულ მოვალეობას. ჩემი ძროხები ახლა ბევრს იწველიან და საუზმეზეც კარაქი ბლომად მაქვს. ჩემი ვაჟიშვილიც გამოსწორდა, მათემატიკაში ხუთიანებს იღებს. როგორ მიაღწიეთ ამას?

- თქვენო უდიდებულესობავ, მე ძროხების ენა არ ვიცი და ვერც მათთან შევძლებდი მოლაპარაკებას. უბრალოდ, მერძევე გასამრჯელოს საათობრივი გამომუშავებით კი არ იღებს, არამედ ხელფასი გამომუშავებული პროდუქციის რაოდენობის მიხედვით ეძლევა. პრინციმა უკეთესად დაიწყო სწავლა, რადგანაც მიხვდა, რომ მთავარი ცოდნაა და შემოსავალიც მის ცოდნაზეა დამოკიდებული.

- პრინცის შესახებ მივხვდი, მაგრამ ძროხისა ვერაფერი გავიგე. კიდევ ერთხელ ამიხსენით, რას იღებს მერძევეო? - იკითხა შეწუხებულმა ხელმწიფებმ.

- ადრე მერძევე ხელფასს საათების მიხედვით იღებდა, ესე იგი, რაც უფრო დიდხანს იმუშავებდა, მით მეტ ფულს უხდიდნენ. ასეთ ანაზღაურებას საათობრივი ანუ დროითი ჰქვია. ხელფასი

საათების, დღეების, კვირებისა და თვეების მიხედვით გაიცემოდა. ახლა მერძევე ხელფასს იმის მიხედვით იღებს, თუ რამდენ ლიტრ რძეს მოიწველის ძროხა და, რაც მეტს მოიწველის, მით უფრო მეტ ფულს აიღებს.

ანაზღაურებას, რომელიც წარმოებული პროდუქციის რაოდენობაზეა დამოკიდებული, გამომუშავების მიხედვით ანაზღაურება ანუ **სანარდო ხელფასი** ეწოდება.

- კარგად მოგიფიქრებიათ. თუ მერძევეს თავისი შემოსავლის გაზრდა უნდა, ძროხას უფრო კარგად უნდა მოუაროს და დღეები უსაქმოდ არ გაატაროს, - თქვა ნაცარქექიამ.

- ანაზღაურების ეს ფორმა ძალიან მომწონს. ახლავე გაეცით ბრძანება და ხელფასი ყველას გამომუშავებული პროდუქციის მიხედვით გადაუხადეთ. ასე უსაქმურობასაც ბოლო მოეღება, - დაასკვნა ხელმწიფებმ.

- არავითარ შემთხვევაში, - ადგილიდან წამოიჭრა პირველი მინისტრი. - წარმოიდგინეთ, რა მოხდება, თუ სტომატოლოგები ხელფასს ამოღებული კბილების მიხედვით მიიღებენ, მეხანძრები ჩაქრობილი ხანძრების ან მოსამართლეები გამოტანილი განაჩენის რაოდენობის მიხედვით!

- მინისტრი სწორია. თუ ასე ვიმსჯელებთ, ექიმები მკურნალობის მაგივრად კბილების ამოღებას დაიწყებენ, მასწავლებლები მხოლოდ ხუთიანებს ჩამოარიგებენ, მეხანძრები სახლებს ცეცხლს წაუკიდებენ, რომ მერე თვითონვე ჩააქრონ, მოსამართლეები კი ყველას ციხეში უკრავენ თავს, - თქვა ნაცარქექიამ.

- ამიტომ ანაზღაურების ასეთი ფორმა სიკეთის ნაცვლად ზოგადი საზიანოა, - გააგრძელა მინისტრმა.

ხელფასს საათების მიხედვით უხდიან მათ, ვისი შრომაც ძნელი დასათვლელია, მაგალითად, მასწავლებლებს. მათ საშინაო დავალება უნდა შეამოწმონ, ახალი გაკვეთილი ახსნან, საკონტროლო სამუშაო ჩაატარონ და ჩამორჩენილ მოსწავლეებს დაეხმარონ.

ხელმძღვანელი მუშაკები ყოველდღე ბრძანებებსა და განკარგულებებს გასცემენ, რომელთა დაოვლაც ძნელია. ამიტომ მათ საათობრივი ანაზღაურება ანუ დროითი ხელფასი აქვთ. დროითი ხელფასი აქვთ მოსამსახურეებს, რომელთა ნამუშევრის შედეგი გარევული პერიოდის შემდეგ ჩანს. ესენი არიან ექიმები, მეცნიერები და ზოგიერთი სხვა პროფესიის ადამიანები.

- გავიგე, რომ სხვადასხვა პროფესიის ადამიანებს სხვადასხვა ანაზღაურება უნდა ჰქონდეთ, ზოგს საათობრივი და ზოგს - გამომუშავებული პროდუქციის მიხედვით. მაგრამ აი, რა არ მესმის: როგორ განვსაზღვრო, ვინ მუშაობს კარგად და ვინ ცუდად, თუ ხელფასს ყველას გამომუშავებული საათების მიხედვით გადავუხდი? - იკითხა ხელმწიფებ.

- ნება მიბოძეთ, სხვაგვარად აგიხსნათ: თუ ერთი მუშა ერთ დღეში 10 დეტალს ამზადებს და მეორე 6-ს, ადვილი მისახვედრია, ვის უფრო მეტი ანაზღაურება ექნება.

- მეტი გააკეთე, მეტიც მიიღე, - შენიშნა ნაცარქექიამ.

- უფრო რთულია, როცა საქმე საათობრივ ანაზღაურებასთან გვაქვს. დროის მონაკვეთი ყველასთვის ერთია, მაგრამ ამ დროში შესრულებული სამუშაო ყველასათვის ერთნაირი არ არის. ნიჭიერი მუშაკის შრომა უფრო მეტად უნდა დავაფასოთ, - შენიშნა მინისტრმა.

- მივწვდი! - თქვა მეუქმ, - როცა გამომუშავების მიხედვით ანაზღაურებაზე ვსაუბრობთ, ვგულისხმობთ შესრულებული სამუშაოს რაოდენობას - ლიტრებს, მეტრებს, კილოგრამებს და ასე შემდეგ. საათობრივი ანაზღაურების დროს ვითვლით საათებს, დღეებს, კვირეებს, თვეებს. მინისტრო, შეიძლება თუ არა ერთი და იმავე სამუშაოს შესრულება და სხვადასხვა ხელფასის აღება?

- შეიძლება! სამუშაო შეიძლება შესრულდეს კარგად, ძალიან კარგად და არაჩვეულებრივად. ვინც კარგად მუშაობს, მას დამატებით ფულად ჯილდოს აძლევენ. ასეთ ჯილდოს **პრემია** ჰქვია, - უპასუხა მინისტრმა.

- პრემია ძალიან პგავს ხუთიანს, რომელსაც პლუსს მიუწერენ. ხუთიანი კარგია, მაგრამ ხუთს მიმატებული პლუსი კიდევ უკეთესი, - ჩაურთო ნაცარქექიამ.

- თქვენ ძალიან კარგად მუშაობთ. იმისთვის, რომ ასე გასაგებად ამიხსენით, რას ნიშნავს დროითი და სანარდო ხელფასი, აგრეთვე პრემია, მეც დაგაჯილდოებთ და პრემიას მოგცემთ. ვბრძნებ, ხაზინიდან დამატებითი ფულადი ჯილდო გამოგიყონ, - კმაყოფილებით წარმოთქვა ხელმწიფებ.

ეკონომიკის მინისტრმა მეფეს მადლობა გადაუხადა.

საფარჯიშო

ამოცანა № 1

დურგალმა ერთ დღეში 15 სკამი გააკეთა, დურგლის მოწაფებ - 6. ერთი სკამი 5 ლარი ღირს. რამდენი ლარით ძეგი მიიღო დურგალმა? რა პქვია ასეთი სახის შრომას და როგორ ხდება მისი ანაზღაურება?

(რგბებაქც იყრიბანებ აბავერე ერგებანების და ასათებ იყრიბანების და ასეთი სახის შრომას და როგორ ხდება მისი ანაზღაურება)

ამოცანა № 2

ისტორიის მასწავლებელი კვირაში 24 საათს მუშაობდა. რუსული ენის მასწავლებელი ავად გახდა და ისტორიის მასწავლებელთან შედარებით 8 საათით ნაკლები იმუშავა.

რამდენი გამოიმუშავა ერთი კვირის განმავლობაში ორივებ ერთად, თუ ისტორიის მასწავლებელი ერთ საათში 3 ლარს იღებს, ხოლო რუსული ენის მასწავლებელი 2 ლარით ძეგს?

(იყრიბა 26 : აყნება)

ამოცანა № 3

ავტობუსის მძღოლმა 6 თვის განმავლობაში ისე იმუშავა, რომ ავარია არ მოუხდენია. ასეთი მუშაობისთვის მას ერთი თვის პრემია ეკუთვნის. რა რაოდენობის იქნება პრემია, თუ მძღოლის 6 თვის ხელფასი 120 ლარს შეადგენს?

(იყრიბა 02 : აყნება)

ამოცანა № 4

მერძევე ყოველდღე 2 ძროხისაგან 16 ლიტრ რძეს აბარებს. რა პქვია ანაზღაურების ისეთ ფორმას, როდესაც მერძევე თითო-ეულ მოწველილ ლიტრზე 80 თეთრს იღებს?

რამდენს აიღებს მერძევე, თუ იგი 30 დღის განმავლობაში ყოველდღე 16 ლიტრ რძეს ჩააბარებს?

რამდენით გაიზრდება მერძევის შემოსავალი, თუ იგი შემდეგ თვეში ყოველდღიურად 17 ლიტრ რძეს ჩააბარებს?

(უასეთ 09 რა უმოქანდაკებელი არ იყრიბა და მერძევის შემოსავალი, თუ იგი შემდეგ თვეში ყოველდღიურად 17 ლიტრ რძეს ჩააბარებს)

ამოცანა № 5

რა სახის ანაზღაურებას იღებს დარაჯი? ყოველ მორიგეობაზე მას 12 ლარს უხდიან. მორიგეობა ყოველ მეორე დამეს უწევს. რამდენ ლარს აიღებს 30 დღის განმავლობაში?

(ყოველ 08/ ყრტის 08/ რამდენ დღე რამდენ დღე რამდენ დღე : სკოლი)

ამოცანა № 6

მზარეული ჭურჭელს რეცხავს და დღეში 12 ლარს იღებს. ოფიციანტს 1 საათში 3 ლარი ეძლევა. ვისი ხელფასია უფრო მაღალი და რამდენით, თუ სამუშაო დღის ხანგრძლივობა 6 საათია?

(რამდენ დღე რამდენ დღე რამდენ დღე რამდენ დღე : სკოლი)

პითევები გამეორებისათვის

1. რა არის დროითი ხელფასი?
2. რა არის სანარდო ხელფასი?
3. რა პენია ექიმია და მასწავლებლის შრომის ანაზღაურებას?
4. რა არის პრემია?



დახატეთ სხვადასხვა პროფესიის ადამიანები. მიუწერეთ, ვინ რა ფორმით იღებს ხელფასს.

XIII 0 9 8

სახელმწიფო დამარშა

(XXIII გაკვეთილი)

ერთხელ ეკონომ პირველი ბალში სეირნობდა. შესანიშნავი ამინდი იყო. მეფე კარგ ხასიათზე დადგა და სიმღერაც წამოიწყო.

სამეფოში ჩვენი ხალხი
ცხოვრობს შესანიშნავად,
ტრა - ლა - ლა, ტრუ - ლა - ლა.
ხალხი მეფეს ადიდებს
აღბათ სამართლიანად.

ეკონომიკის მინისტრი მეფეს მიუახლოვდა და სთხოვა, ბრძანებაზე ხელი მოეწერა.

- თქვენო უდიდებულესობავ, ბრძანების ახალი პროექტი უნდა წარმოგიდგინოთ, გთხოვთ გადახედოთ და ხელი მომიწეროთ.

- რას ეხება ჩემი ბრძანება? - იკითხა მეფემ.

- კენსიებს, შემწეობებსა და სტიპენდიებს, - ფულად დახმარებას მათთვის, ვინც არ მუშაობს ან ძალიან ცოტა შემოსავალი აქვს, - აუხსნა მინისტრმა.

- თქვენ რა, გაგიჟდით? - წამოიყვირა ხელმწიფემ, - თუ არ მუშაობენ, ფულს არ გადავუხდი!

- თქვენო უდიდებულესობავ, თქვენს სამეფოშიც ხომ ცხოვრობს ისეთი ხალხი, რომელსაც მუშაობა არ შეუძლია. მაგალითად, მოხუცები, ბავშვები. გარდა ამისა, ზოგი ძალიან ავადმყოფია, ან პირიქით, ძალიან ჯანმრთელია, მაგრამ სწავლობს.

- ეს ჩემი პრობლემა არ არის. ხომ იციან, რომ დაბერდებიან, ამიტომაც წინასწარ დააგროვონ ფული და ავადაც ნუ გახდებიან.

ჩემო ხელმწიფევ, ავადმყოფობას მხოლოდ ოროსნები იგონე-

ბენ. უულის დაგროვება ძნელია, მრავალსულიან ოჯახს დიდი ხარჯი აქვს: საჭმელი, ჩაცმა, ბავშვების აღზრდა, განათლება... ფული თვიდან თვემდე ძლივს ჰყოფნით და აბა, სიბერეზე როგორლა იფიქრებენ? ავადმყოფები არ მუშაობენ და მკურნალობის თანხას ვერ იხდიან.

ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში არის კანონი, რომელიც მრავალშვილიანი ოჯახების, მოხუცებისა და ავადმყოფების დახმარებას ითვალისწინებს. ბრძენმა მმართველებმა კარგად იციან, რომ, თუ არა დახმარება, სახელმწიფოში მათ ათასნაირი პრობლემა შეექმნებათ, რაც სიღატაკესთან, დანაშაულებრივ საქმიანობასთან, გაუნათლებლობასა და ავადმყოფობასთან იქნება დაკავშირებული.

- რატომ მაინცამაინც მე უნდა შემაწუხოს ამ ხალხმა? - გაიკვირვა მეფემ.

- ნუთუ გსურთ, რომ თქვენს სახელმწიფოში ღარიბები, ავადმყოფები და უსახლკარონი იყვნენ? - ჰკითხა ეკონომიკის მინისტრმა.

- რას მაშინებთ? - უპასუხა შეშფოთებულმა ხელმწიფემ. ღარიბები ვინ არიან?

- პიროვნება ან ოჯახი ღარიბად ითვლება, თუ მას ელემენტარული, აუცილებელი მოთხოვნილების დაკმაყოფილება არ შეუძლია. ეს აუცილებელი მოთხოვნილება არის საჭმელი, ტანსაცმელი, საცხოვრებელი. ღარიბები ხშირად შიმშილისა და სიცივისაგან იხოცებიან. დახმარების გარეშე ისინი ცხოვრებას ვერ შეძლებენ. აბა დაფიქრდით, ვთქვათ, ოჯახში რამდენიმე ბავშვია, მშობლები მუშაობენ, მაგრამ ოჯახის შესანახად მათი შემოსავალი არ კმარა. რა უნდა ქნან? მათს შვილებსაც ხომ სჭირდებათ აღზრდა, განათლება, საჭმელი, ჩასაცმელი. სათამაშოებსა და გასართოებზე აღარას ვამბობ.

- მართლაც საშინელებაა, - თქვა მეფემ და საკუთარი თავი გაახსენდა. გაახსენდა ის დღე, როცა ჯადოქარმა დასაჯა და მშიერი დატოვა, - ჰო, მართალია, როცა გშია, საჭმლის გარდა არაფერზე ფიქრობ.

- ამიტომაც უნდა დავეხმაროთ. მშიერი და ცუდად ჩაცმული ბავშვები თქვენს სახელმწიფოში არ უნდა იყვნენ. თუ არ დავეხმარებით, ისინი თვითონ დაიწყებენ საზრდოს ძებნას და, რაკი ფიზიკურად მუშაობისთვის ძალიან პატარები არიან, თან არც ცოდნა და

მალა ეყოფათ, მხოლოდ ორი გზა რჩებათ – ან მათხოვრობა, ან კიდევ ქურდობა. თუ დავეხმარებით, გაიზრდებიან და სახელმწიფო-საც სარგებლობას მოუტანენ. ადვილი შესაძლებელია, რომელიმე მათგანი დიდი მეცნიერი გამოვიდეს, ან ნიჭიერი მსახიობი, ან მხატვარი, მაგრამ, რაც უნდა გამოვიდნენ, მათხოვრები და ქურდები არ იქნებიან, – ურჩია ნაცარქექიამ.

– საცოდავი ბავშვები, ჩემი დახმარება მათ მართლაც სჭირდებათ, – თქვა ხელმწიფემ.

– ბრძანების პირველ პუნქტში ამიტომაც არის ნათქვამი, რომ სახელმწიფო დახმარებას უწევს მრავალშვილიან ოჯახებს, დახმარება ეძლევათ აგრეთვე აგადმყოფებს, ინვალიდებსა და მარტოხელა დედებს.

– გავიგვ! – თქვა ხელმწიფემ, – როგორც ამინსენით, ეს არის შემწეობა, რომელიც ხალხს სახელმწიფოს მხრიდან ფულადი სახით ეძლევა.

– ახლა გადავიდეთ ბრძანების მეორე პუნქტზე, – განაგრძო მინისტრმა, – ეს მოხუცებს ეხებათ. ადამიანს, რომელმაც ხანდაზმულ ასაკს მიაღწია, შეუძლია აღარ იმუშაოს და სახელმწიფოსგან პენსია მიიღოს.

პენსია დამოკიდებულია ადამიანის სამუშაოზე, როგორ სამუშაოს ასრულებდა იგი პენსიაზე გასვლამდე, რამდენი იყო მისი ანაზღაურება – ხელფასი და მუშაობის სტაჟი, ანუ რამდენ წელიწადს იმუშავა.

– ძალიან საინტერესოა, კარგი გადაწყვეტილებაა, სიბერე უზრუნველყოფილი გექნება. სამართლიანია. რაც მთავარია, მთელი ცხოვრება მშვიდად მუშაობ და არც იმის დარდი გაწუხებს, რომ სიბერეში უფულოდ დარჩები, – მოიწონა ნაცარქექიამ.

– თქვენო უდიდებულესობავ, ბრძანებაში კიდევ ერთი პუნქტია – სტიპენდია.

– ეს რაღაა?

– **სტიპენდია** არის ფულადი დახმარება მათთვის, ვინც სწავლობს. სწავლა იგივე შრომაა, რომელსაც შემოსავალი არ მოაქვს. ეს არის შრომა მომავლისათვის. ხალხი ყოველწლიურად სულ უფრო რთულ და ხარისხიან საქონელს აწარმოებს, უმჯობესდება მომსახურება, რის-თვისაც ქვეყნას მაღალგვალითიციური სპეციალისტები, პროფესიონალები სჭირდება. ასეთი პროფესიონალი რომ გახდე, დიდხანს და

კარგად უნდა ისწავლო. ამიტომ სტუდენტებს სამუშაო დრო აღარ რჩებათ და, თუ მათ არ დავეხმარებით, კარგი სპეციალისტების გარეშე დავრჩებით. არც ხარისხიანი საქონელი და მომსაზურება გვექნება, რაც მათ სწავლის დამთავრების შემდეგ უნდა შეგვიქმნან - თქვა ეკონომიკის მინისტრმა.

- გარდა ამისა, სტიპენდიას ყველა როდი იღებს. სტიპენდიას იღებს ის, ვინც კარგად სწავლობს. ის, ვინც კარგად არ სწავლობს, დროულად უნდა დაფიქრდეს, ან სწავლაზე დრო არ დახარჯოს და იმუშაოს, ან მთელი ენერგია სწავლას მოახმაროს, - ჩაერია საუბარში ნაცარქექია.

საშინაო დაგაღება

შეადგინეთ კროსკორდი თემაზე - „შემოსავალი“.

კითხვები გამეორებისათვის

1. რატომ უნდა დაეხმაროს სახელმწიფო შრაგაღლშემდინან ოჯახებს, მოხუცებს, ინგალიდებს, აფადმყოფებს, მარტოხელა დედებსა და სტუდენტებს?
2. გთქვათ, ოჯახში გყავთ ბებია, რომელსაც მუშაობა აღარ შეუძლია. ილებს თუ არა თვი შემოსავალს და რა ეწოდება მას?
3. რა არის პენსია?
4. გთქვათ, თქვენი ძმა სტუდენტია. რა შემთხვევაში იღებს იგი შემოსავალს და რა ეწოდება ამ შემოსავალს?
5. რა არის სტიპენდია?
6. რას ნიშნავს აუცილებელი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება?



დახატეთ სურათი თემაზე: „როგორ ეხმარება სახელმწიფო თავის ხალხს“.

XIV მ გ ა

საბუთოება

(XXIV-XXV გაკვეთილი)

გაიხსენეთ, რას წარმოადგენს ოჯახის სიმდიდრე და რაზეა
იგი დამოკიდებული.

ვთქათ, ნანამ მზიას ფანქარი მერის აჩუქა, თავისი კი - ლიას.

რა შემთხვევაში მოიქცა სწორად და რა შემთხვევაში - არა?

დაიმახსოვრეთ! უფლება არა გაქვთ, სხვის ნივთებს, ისე მოეპ-
ყროთ, როგორც საკუთარს.

ნანას უფლება არ ჰქონდა, რომ მზიას ფანქარი მერისათვის
მიეცა. სამაგიეროდ მეორე შემთხვევაში იგი კარგად მოიქცა, ფან-
ქარი მისი საკუთრება იყო და შეეძლო ისე მოქცეულიყო, როგორც
სურდა.

ვინ ახსნის, რა არის საკუთრება?

საკუთრება არის ის, რაც გვეკუთვნის, რასაც ვხმარობთ და
ჩვენივე ნება-სურვილით ვმართავთ.

საკუთრება შეიძლება იყოს ყველაფერი, ყველანაირი სახის
ქონება - ნივთი, ტრანსპორტი, უძრავი და მოძრავი ქონება, ფაბრი-
კები, ქარხნები, მიწა, ტყე და ა. შ.

ბავშვებო! თქვენი საკუთრებაა ფანქრები, რვეულები, სათამა-
შოები და ასე შემდეგ.

თქვენი ოჯახის საკუთრებაა სახლი, მანქანა, ტანსაცმელი,
აგარაკი და ა. შ., რაც თქვენს ოჯახს ეკუთვნის.

რა გზით შეიძლება გავხდეთ საკუთრების მფლობელი?

საკუთრების მფლობელი ანუ მესაკუთრე შეიძლება სხვადას-
ხვა გზით გავხდეთ: ან თვითონ დავამზადოთ, ან ვიყიდოთ, ან
ვიპოვოთ, ან საჩუქრად მივიღოთ, ან ანდერძით დაგვიტოვონ.

რისი უფლება აქვს მესაკუთრეს?

მესაკუთრეს შეუძლია თავისი საკუთრების გაყიდვა, გაცემა, გაჩუქება, გატეხა, გადაგდება.

როცა ჩვენს ნივთებს უდიერად ექცევიან, აღშფოთებას ვერ ვმაღავთ და ჩვენს საკუთრებას ვიცავთ. ამ საქმეში სახელმწიფო პლიცით, კანონებითა და სასამართლოებით გვეხმარება.

ერთხელ ეკონომ პირველის კაბინეტში გახარებული და აღ-ტაცებული პრინციპსა შევარდა.

- მამა, მამა! დეპეშაა, კეთილდღეობის ქვეყნიდან. ბებია ჩამო-დის! ბებია!

- რას ამბობ! - გაუხარდა ზელმწიფეს. - აბა, დეპეშა მაჩვენე, რა წერია?

- „ვიქწები თორმეტში. მელოდეთ. თქვენი ბებია.“

- რა კარგია! რამდენი ზანია დედაჩემი არ მინახავს. მომენატ-რა. რატომ არ წერს, რით ჩამოდის ან რომელ საათზე? როგორ შევხვდეთ?

კარგად უნდა მოვემზადოთ. ცალკე ოთახში უნდა მოვასვენოთ და პრინცი გავაფრთხილოთ, რომ კიბეზე არ ირბინოს. დედოფალს უთხარით, კარგი სადილი მოამზადოს. ბებია უკვე ახალგაზრდა არ არის, მას სისუფთავე, სიმშეიდე და რეჟიმი სჭირდება. თუ აქ კარგად იგრძნობს თავს, დიდხანსაც დარჩება.

ორი დღე ხელმწიფის ოჯახი დიდ სამზადისში იყო. დედოფა-ლი და პრინცესა ოთახებს ალაგებდნენ და დიეტურ სადილებს ამზადებდნენ.

პრინცი, რომელსაც აკრძალული ჰქონდა სირბილი, ზმაური და სათამაშოების მიყრა-მოყრა, ტანსაცმლის გაჭუჭყიანება, უსაქ-მურობისაგან დაიღალა და ბაღში წავიდა.

გადაწყვიტა თავი მშვილდისრით გაერთო. ბევრს წვალობდა, მაგრამ ისრები აქეთ-იქით მიურინავდა, ვერაფრით სამიზნეს ვერ მოარტყა.

- რა უნიათო ყოფილ ხარ, მოდი, გაჩვენო, როგორ უნდა ისრო-ლო, - მოესმა ქალის ხმა.

პრინცი მოტრიალდა და ლამაზი, ელეგანტურად ჩაცმული შუახნის ქალი დაინახა.

- მთავარია, ხელი არ აგიკანკალდეს. ჩემი მასწავლებელი

ყოველთვის ასე მაფრთხილებდა.

ქალმა მშვილდე-ისარი აიღო, მოზიდა, ვაშლს დაუმიზნა და მოარტყა.

- აი, ეს მესმის! - პრინცს ძალიან გაუკვირდა და აღფრთოვანებაც ვერ დამალა. - ეჰ, მე ამას ვერასოდეს შევძლებ!

- ნუ ნერვიულობ, ყველაფერს გასწავლი.

- თქვენ ვინა ხართ? - ჰქითხა პრინცმა.

- თუ შენ პრინცი ხარ, მაშინ მე შენი ბებია ვყოფილვარ.

- თქვენ ჩემი ბებია ხართ? - გაუკვირდა პრინცს, - შეიძლება შენობით მოგმართო?

- აიღე ჩემი ჩემოდანი და სასახლეში წავიდეთ, - უთხრა ბებიამ.

დიდი, მძიმე ჩემოდანი უცხო იარლიყებით იყო აჭრელებული.

- მძიმეა? - შეეკითხა ბებია, - მოდი, ერთად წავიდოთ. აქ სულ თქვენი საჩუქრებია.

ბებიას დანახვაზე ყველა დაფაცურდა, ზოგი სკამს სთავაზობდა, ზოგი სავარძელს, ზოგი ზიღს, ზოგი მინერალურ წყალსა და წვენებს.

- მოდი, ჯერ საჩუქრებს დაგირიგებთ. მთელი მსოფლიო მოვიარე, ბოლო ხანს ძალიან შემიყვარდა მოგზაურობა. ყველგან საჩუქრებს ვყიდულობდი თქვენთვის.

- მოგზაურობ? - გაუკვირდა ხელმწიფეს, - ამას ხომ ბევრი ფული სჭირდება. ჩვენ ვერ გეხმარებით და ამდენი ფული საიდან გაქვს?

- ჯერ ერთი, კარგ პენსიას ვიღებ. მეორეც, ჩემს სიმდიდრეს კარგი შემოსავალი მოაქვს. რაც უნდა იყოს, ყოფილი დედოფალი ვარ და არა ვინმე ღარიბი ქალი, - მიუკო ბებიამ.

- ალბათ გზაში დაიღალე და ყველაფერი აურიე. სიმდიდრე შემოსავალზეა დამოკიდებული და არა შემოსავალი სიმდიდრეზე, - შეეპასუხა ხელმწიფე.

- სიმდიდრე მოძრავი და უძრავი ქონებაა და ამ ქონებაზე შემოსავლის სახით დამატებული ფული, - განუმარტა ბებიამ.

- ვერ გაგვიგია, რას ნიშნავს სიმდიდრეზე დამოკიდებული შემოსავალი?

- როგორც ჩანს, ეს გაკვეთილი ბოლომდე არ გაგივლიათ, - გაეღიმა ბებიას.

- იცი, ჩვენ ჯადოქართან ვმეცადინეობთ, ჯადოსნური ჯოხი კარგა ხანია აღარ გვაქვს, - უთხრა შეცბუნებულმა მეფემ.

- ვიცი, ვიცი. ჯადოქარი და მე კარგა ხნის მეგობრები ვართ. მართალია, ჯადოქარი ბევრ რამეს გასწავლით, მაგრამ, პირველ ყოვლისა, თქვენი თავის იმედი უნდა გქონდეთ, - მიუგო ბებიამ.

- რა კარგია, რომ არ გვიბრაზდები, - გაუხარდა ხელმწიფეს, - აგვიხსენი, რას ნიშნავს, სიმდიდრე შემოსავლის წყაროა?

- საკუთრება კარგ შემოსავალს მოგვცემს, თუ მას ვონივრულად გამოვიყენებთ. აი მაგალითად, ქალაქარეთ სახლი რომ მაქეს, იქ იმვიათად ჩავდივარ, ბევრს ვმოგზაურობ და ამიტომ სხვებს მივეცი.

- ნუუ ის მშვენიერი აგარაკი გაყიდე? - შეწუხდა ხელმწიფე.

- საქმეც ის არის, რომ არ გამიყიდია, - თქვა ბებიამ - არენდით დროებით სარგებლობაში გავეცი.

არენდა სხვისი ქონებით დროებით სარგებლობას ნიშნავს. ადამიანს, რომელიც სხვისი ქონებით დროებით სარგებლობს, **მეარენდეს** უწოდებენ. მას კი, ვინც თავის ქონებას გასცემს, **მოა-რენდე** ეწოდება. **მეარენდეები** ამ ქონებით მხოლოდ სარგებლობენ და მას არ განკარგავენ, ანუ ქონების გასხვისება ან ანდერმით მისი გადაცემა არ შეუძლიათ, არც სხვისი ნივთების დამტკრევისა და გადაყრის უფლება აქვთ. ქონებაზე ყველა უფლებით მხოლოდ **მეარენდე** სარგებლობს. **მეარენდეები** იხდიან გადასახადს, რომელსაც **რენტა** ეწოდება. აგარაკის გარდა ჩემი მიწებიცა და საძოვრებიც არენდით გაგეცი. აღებული ფულით კარგად ვცხოვრობ და კიდევაც ვმოგზაურობ. ჰო, ეტლიც კარგ შემოსავალს მაძლევს, ვაჭრებზე ვაქირავებ და კარგადაც მიხდიან. შემოსავალი მართლაც იმაზე მეტი მაქვს, ვიდრე ვხარჯავ, მიუხედავად იმისა, რომ კარგად ვიკვებები, მოდურად მაცვა და ბევრსაც ვმოგზაურობ.

ფულს, რომელსაც ვერ ვხარჯავ, გავასესხებ ხოლმე და გარკვეული დროის შემდეგ უკან მიბრუნდება არა მარტო საწყისი თანხა, არამედ მისი პროცენტიც, რომელსაც **სარვებელი** ჰქვია. სარგებელი ჩემს მიერ ფულადი სახსრებით გაწეული სამსახურის ანაზღაურებაა.

- ესე იგი შემოსავლის მიღება ყველაფრისგან შეიძლება, მოძრავი ქონება იქნება ეს თუ უძრავი? უძრავი და მოძრავი ქონების-გან მიღებულ შემოსავალს რენტა ეწოდება, ხოლო ფულისგან მიღებულს - სარგებელი? - იკითხა, ხელმწიფე.

- დიახ, - დაუდასტურა დედოფალმა. - სიმდიდრეს სხვა დამატებითი სიმდიდრე მოაქვს, მაგრამ მისი სწორად გამოყენება უნდა

ვიცოდეთ.

— მაინც ვერ გამიგია, რატომ უნდა უხადო ფული სხვას, თანაც, როცა იცი, რომ შენი არ არის. მე, მაგალითად, ვიყიდდი, — თქვა მეფეებ.

— როგორ ფიქრობ, რატომ არიან დაინტერესებული რენტის გადახდით? ჯერ ერთი, ყიდვას მეტი ფული სჭირდება, ვიდრე არენდას, — მიუგო ბებიამ და განაგრძო: ვთქვათ, ბინა არა გაქვს. მის შესაძენად დიდი ფულია საჭირო. სანამ ამ ფულს იშოვიდე, სადღაც ხომ უნდა იცხოვორო? ამ შემთხვევაში არენდა გიშველის, დროებით სხვისი ქონებით ისარგებლებ.

მეორეც, წარმოიდგინეთ ასეთი სიტუაცია: ზღვაზე გაემგზავრეთ და იახტით გასეირნება გსურთ. იახტის ყიდვას არ აპირებთ, რადგან იქ, სადაც ცხოვრობთ, ზღვა არ არის. როგორ მოიქცევთ? იახტას დროებით სარგებლობაში აიღებთ და უმნიშვნელო თანხასაც გადაიხდით. უაზრობაა იყიდო ის ნივთი, რომელიც მხოლოდ დროებით გჭირდება. მაგრამ ზოგჯერ ისეთი ვითარებაა, რომ არჩევანის წინაშე დგებით. მაგალითად, რა უფრო ხელსაყრელია: საცხოვრებელი ბინა არენდით აიღოთ და კარგ პირობებში იცხოვორო, მაგრამ იცოდეთ, რომ მომავალში ბინის ყიდვას ვერ შეძლებთ, თუ იცხოვროთ ცუდ პირობებში და ფული საკუთარი ბინის შესაძენად დააგროვოთ?

დედის სიტყვებმა ხელმწიფე ძალზე ჩაფიქრა. დედოფალიც და პრინციც გულდასმით უსმენდნენ.

ბავშვებო, თქვენ როგორ გადაწყვეტილებას მიიღებდით და რატომ? ვის შეუძლია მაგალითები მოიყვანოს, გაიხსენოს ახლობლები და ნაცნობები, რომლებიც შემოსავალს საკუთრებისგან იღებენ?

გთავაზობთ ერთ საინტერესო თამაშს:

იატაკი 9 კვადრატად არის დაყოფილი. თამაშში 9 ბავშვი მონაწილეობს და ყველას თითო კვადრატი ექუთვნის. იატაკზე დაჭმუჭნილი ქაღალდის ბურთები ყრია. სულ 50 ბურთია და თითოეული 1 ლარი ღირს. თამაშში მონაწილეებს შეუძლიათ ბურთები მხოლოდ საკუთარ კვადრატში აკრიფონ. როცა ბურთები აიკრიფება, დაიანგარიშეთ თითოეული მოთამაშის კუთვნილი თანხა.

რას იზამდით, თუ რომელიმე მოთამაშე თამაშის წესებს დაარღვევდა და ბურთებს თქვენს კუთვნილ კვადრატში მოაგროვებდა? რატომ?

პითხვები გამორჩისათვის

1. რა არის საკუთრება?
2. რა გზით შეიძლება გაგხდეთ მესაკუთრე?
3. რისი უფლება აქვს ქონების მფლობელს?
4. რა არის სარგებელი?
5. თქვენს ოჯახს კიდევ ერთი ბინა აქვს. შეუძლია თუ არა ოჯახს მიიღოს შემოსავალი და რა ეწოდება მას?
6. თქვენს ოჯახს საცხოვრებელი ბინა არა აქვს. როგორ შეიძლება ამ პრობლემის მოგვარება?
7. რა არის არენდა?
8. რას უწოდებენ საკუთრების მფლობელს?
9. რას უწოდებენ მათ, ვინც არენდით ილებს რაიმე ქონებას?
10. რა არის რენტა?
11. ჩაითვლება თუ არა არენდით გაცემული ქონება საკუთრებად?
12. არის თუ არა არენდით გაცემული ქონება მეარენდეს საკუთრება?



დახატეთ ის ნივთები, რომლებიც თქვენი საკუთრებაა.

XV თ ე მ ა

ოჯახის ბიუჯეტი

(XXVI-XXVII განვითარება)

ერთხელ ჯადოქარი გაკვეთილის ჩასატარებლად სასახლეში
მივიდა. ოთახიდან ხმაური შემოესმა. ხელმწიფე და დედოფალი
ცხარედ კამათობდნენ და ერთმანეთს ლაპარაკს არ აცდიდნენ.

— ისევ კამათობთ? კამათი კარგია, მაგრამ ყვირილით ერთმა-
ნეთს ვერაფერს გააგებინებთ, — უსაყველურა ჯადოქარმა.

— მე მართალი ვარ! — ამტკიცებდა მეფე.

— მაშ, როგორ არა, მართალი ხარ! — აწყვეტინებდა დედოფალი.

— შეჩერდით! ჯერ დამშვიდდით! ვინც ადრე დამშვიდდება, სა-
უბარსაც ის დაიწყებს, — უთხრა ჯადოქარმა.

— მე ვამტკიცებ, რომ მდიდრები მაშინ გავხდებით, თუ ბევრს
ვიმუშავებთ, — განაცხადა დედოფალმა.

— მე კი ვამბობ, რომ მთავარი შრომა კი არ არის, არამედ
ფულის ყაირათიანად ხარჯვა. თუ ფულს უაზროდ დავხარჯავთ,
ვერ გავმდიდრდებით.

— ეს მარადიული კამათის საგანია, — თქვა ჯადოქარმა, — სინამ-
დვილეში რომ გამდიდრდე, ფულის შოგნაც უნდა იცოდე და მისი
გონივრულად ხარჯვაც.

სად იყო და სად არა, გამოჩნდა ნაცარქექია.

— გახსოვთ, სიმდიდრის ტბაზე რომ გიამბობდით? იქ ორ მდინა-
რეზე იყო საუბარი, — თქვა მან, — ერთს, რომელიც ტბას აგსებდა,
შემოსავალი ერქვა, მეორეს, რომელიც პატარ-პატარა წყაროებად
გაედინებოდა, — გასავალი. თუ გასავალს გადაკეტავთ, თქვენი სიმდიდ-
რის ტბა დამდგარ ჭაობად იქცევა, სადაც ცოცხალი არსება ვერ
გაიხარებს და მოკვდება. სიმდიდრე იმისათვის ხომ არ გინდათ,

რომ ოქროთი სავსე სკივრებზე დასხდეთ და გაიძახოდეთ, უჰ, რა მდიდრები ვართ? ჯადოქარო, ამათ, ეტყობა, ძუნწისა და ოქროს ამბავი არ იციან. ამ ამბავსაც მოგიყვებით:

ერთმა კაცმა დიდალი ოქრო მიწაში დამარხა. ყოველდღე იმ ადგილას მიდიოდა და ცქერით ტკბებოდა. სხვამ შემჩნია და დაინტერესდა: ნეტავ ამ მიწაში რა უდევს, ყოველდღე მის სანახავად რომ მოდისო? – მივიდა, მიწა ამოთხარა, ოქრო ამოიღო და მის მაგივრად დიდი ლოდი დამარხა.

მოვიდა განძის მფლობელი, ამოთხარა მიწა და რას ხედავს: ოქროს მაგივრად დიდი ლოდი ძევს. დაიწყო ტირილი. მოვიდა ქურდი და ჰკითხა: რა გატირებსო?

– აქ დიდალი ოქრო მქონდა დამარხული, დახარჯვა არ მინდოდა, ვიღაცას მოუპარავს და მის მაგივრად ლოდი დაუდვიაო.

ქურდმა უთრა: ნეტავ რა გატირებს? მაგ მიწაში თუნდ ოქრო იდოს, თუნდ ქვა, თუკი არ დახარჯავდიო!

მიხვდით? სიმდიდრე თქვენი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად გჭირდებათ, თუმცა, ისიც უნდა გახსოვდეთ, რომ, რაც უნდა დიდი შემოსავალი გქონდეთ, ყველა სურვილს მაინც ვერ შეისრულებთ.

მოთხოვნილებები ყოველთვის უფრო მეტია, ვიდრე შესაძლებლობები. რაც მეტ ფულს შოულობთ, მოთხოვნილებებიც გემატებათ და, თუ ფულს უაზროდ დახარჯავთ, მდიდრები ვერ გახდებით.

– როგორ ვისწავლოთ ფულის გონივრულად ხარჯვა? – იკითხა დედოფალმა.

– მე გასწავლით. აიღეთ ფურცელი და ჩამოწერეთ, რა შემოსავალი გქონდათ ამ თვეში, – უთხრა ჯადოქარმა. – დაწერეთ? ახლა ხარჯი ჩამოწერეთ. ხომ გახსოვთ: ხარჯი ის ფულია, რომელიც საქონლისა და მომსახურების შეძენაზე დახარჯეთ.

– ყველაფერი რომ არ მახსოვდეს? – შეწუხდა დედოფალი, – მომეცით ფურცელი, ჩამოვწერ, რომ არაფერი დამავიწყდეს.

დედოფალმა ფურცელი აიღო, მეფის ჩამოწერილი ოჯახური შემოსავლების გვერდით ახალი სვეტი გააკეთა და „ოჯახის ხარჯი“ დააწერა.

– აი, ჩამოვწერე, – დედოფალმა ფურცელი ჯადოქარს გაუწოდა.
– ჰო, კიდევ 5 ეკონი მაქვს დახარჯული, მაგრამ არ მახსოვს, რა ვიყიდე. რამდენი რამე მინდოდა მეყიდა, მაგრამ ფული არ მეყო. კარგი იქნებოდა, ეს კაბა არ მეყიდა, ძალიან ვიწროა, არც ჩემი ფერია, ახალი უნდა ვიყიდო. პრინცს ქურთუკი ვუყიდე, ზუსტად მისი ზომაა, მაგრამ არ მოსწონს.

– გესმით? ახლის ყიდვა მინდაო, – აღშფოთდა ხელმწიფე.
ჯადოქარმა დედოფლის ჩამოწერილ ნუსხას გადახედა და თქვა:
– აქ მართლაც დიდი მუშაობა მომიწევს, ხარჯი წინასწარ უნდა დაიგეგმოს. უწინარეს ყოვლისა, პირველი მოხმარების საგნები – საჭმელი, ტანსაცმელი და ბინა უნდა გაითვალისწინოთ.

– მეც ხომ ასე მოვიქეცი, – წამოიძახა დედოფალმა, – მთელი ფული საჭმელზე, ტანსაცმელსა და წვეულებებზე დავხარჯე.

– დიახ, რაც შეეხება საჭმელს, მომწონს, რომ ბოსტნეულსა და რძის პროდუქტებზე ეკონომიას არ აკეთებთ. ორგანიზმისთვის კვება აუცილებელია. მაგრამ ტკბილეულზე, ლიმონათსა და ნაყინზე ბევრი დაგიხარჯავთ, თანაც, ბევრი ტკბილეული მავნებელია.

– არ მეგონა, თუ ტკბილეულზე ამდენს ვხარჯავდი, თითქოს ცოტას ვყიდულობ, მაგრამ ხელად თავდება, მოვიხედავ და უკვე აღარ არის. კიდევ ვიყიდო, ვხედავ, ისევ აღარ არის, – თქვა დედოფალმა.

– ეტყობა, პრინცი ბევრ კანფეტს მიირთმევს, ამდენი აღარ იყიდო, – უთხრა მეფემ.

– სწორია, აღარ ვიყიდი, – დაეთანხმა დედოფალი.

– მაშინ დიდ ეკონომიას გასწევთ, – უთხრა ჯადოქარმა, – ახლა ტანსაცმელზე ვიღაპარაკოთ. საერთოდ, როცა რამეს ყიდულობთ, ჯერ კარგად უნდა მოიფიქროთ, საჭიროა თუ არა მისი შეძენა. შემდეგ ხარისხი და ფასი სხვა მაღაზიებში შეამოწმეთ და შეადარეთ. ის, ვინც დაუფიქრებლად არაფერს ყიდულობს, უფრო მდიდარია.

– შევცდი! კაბა მომეწონა და მაშინვე ვიყიდე. მერე სახლში მოვიზომე, აღმოჩნდა, რომ აღარ მიხდებოდა. პრინცის ქურთუკის შეძენაც ვიჩქარე, ჯერ მისთვის უნდა მეკითხა. სამაგიეროდ ცხვირსახოცებით კმაყოფილი ვარ, ძალიან გვჭირდებოდა, – თქვა დედოფალმა.

– ცხვირსახოცებისათვის დიდი მადლობა, მაგრამ ტანსაცმელზე ეკონომია რომ გაგეწია, დედაჩემს ფულს აღარ გამოვართმევ-

დით, – უსაყველურა მეფემ.

– ახლა, რაც შეეხება წვეულებას, – განაგრძო ჯადოქარმა, – თქვენ ფული ისესხეთ და წვეულება გამართეთ. რა აუცილებელი იყო? უმჯობესი არ იქნებოდა, რაიმე საჭირო ნივთი გეყიდათ?

– ყველაფერს არასწორად ვაკეთებდით, – თქვა დედოფალმა, – წვეულება რომ არ გაგვემართა, ფულის სესხებასაც ავცდებოდით და საჭირო ნივთებსაც შევიძენდით.

– თქვენ სამოგზაუროდ აპირებთ წასვლას. უმჯობესია ჯერ ფული დააგროვოთ და მოგზაურობაზე მერე იფიქროთ. ჭევიანი მომხმარებლები ჯერ თავიანთ შემოსავალს ითვლიან და მერე ხარჯს გეგმავენ, ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, **თჯახის ბოუჯეტს** ადგენენ, – თქვა ჯადოქარმა.

– ოჯახის ბიუჯეტი რა არის? – იკითხა დედოფალმა.

– აი, თქვენი ჩანაწერები. სწორედ ეს არის თქვენი ბიუჯეტი, – უთხრა ჯადოქარმა და ფურცელს თავზე დააწერა: „სამეფო ოჯახის ბიუჯეტი“.

– წინდახედული მომხმარებლები, როგორც გითხარით, ჯერ ბიუჯეტს ადგენენ, შემოსავალსა და ხარჯს ანგარიშობენ და მერე მის შესრულებას აკონტროლებენ. რა ნივთიც არ არის, ფულს არ სესხულობენ. გასაგებია?

– გასაგებია! – ერთხმად უპასუხეს მეფემ და დედოფალმა.

– თუ გასაგებია, მაშინ მიპასუხეთ, როგორ მოიქცევით? იანგარიშებთ თუ არა თქვენს შემოსავალსა და ხარჯს? – პკითხა ჯადოქარმა.

– რასაკვირველია!

– ყველა ოჯახს თავისი შემოსავალი და ხარჯი აქვს. ყველა ოჯახს თავისი მოთხოვნილება აქვს. ის, რაც ერთ ოჯახს სჭირდება, მეორისათვის შეიძლება აუცილებელი არ იყოს. ჩვენი შესაძლებლობებიც უნდა გავითვალისწინოთ. შესაძლებლობები შეზღუდულია. არჩევანის გაკეთებას უნდა მივეჩვითო, – დაასკვნა ჯადოქარმა და განაგრძო: თუ ბიუჯეტში შემოსავალი და ხარჯი ერთნაირია, ასეთ ბიუჯეტს **დაბალანსებული ბოუჯეტი** ეწოდება. თუ ოჯახში ხარჯი მეტია, ვიდრე შემოსავალი, ასეთ ბიუჯეტს **დეფიციტური** ეწოდება. ეს იმას ნიშნავს, რომ ოჯახმა ფული უნდა ისესხოს ან ხარჯი შეამციროს. ზოგჯერ ხარჯის შემცირება არც

ისე იოლია, განსაკუთრებით მაშინ, თუ ფული პირველადი მოხმარების საგნებისთვისაც არ ჰყოფნით. ასეთ ოჯახებს ღარიბებად თვლიან. თუ შემოსავალი უფრო დიდია, ვიდრე ხარჯი, ასეთ ოჯახს ფულის დაგროვების შესაძლებლობა აქვს ანუ მისი **ბიუჯეტიაჭარბია**.

პითხვები გამორჩისათვის

1. როგორ გისწავლოთ ფულის ყაირათიანი ხარჯები?
2. რამდენი სულია თქვენის თჯახში?
3. როგორ შეადგენთ ოჯახის ბიუჯეტს?
4. რით განსხვავდება შემოსავალი ხარჯისაგან?
5. რა არის დაბალიანებული ბიუჯეტი?
6. რა არის დეფიციტური ბიუჯეტი?
7. რა არის ჭარბი ბიუჯეტი?



ჩამოწერეთ თქვენი ოჯახის შემოსავალი და ხარჯი. დახატეთ სურათი თემაზე: „დეფიციტური ბიუჯეტი“.

XVI Թ Յ Ա

ՏԱԵՑՈ. ԾԱՓՈԹ ԱՆԱԿԱՑՄԵ ՑԱՀԼԻ՞?

(XXVIII-XXIX ՑԱՀԼԵՄԱԿԱՆ)

ՑՈՂՋԵՐ ՑԱՀԼԻՍ ՇԵՆԱԿՅԱ ԵՐՏԱԳԵՐԹՈ ՏԱՑՄԱԼԵԲԱԱ ՕՄՈՏԱՏՎՈՒ, ՐՈԹ ԺՎՈՐԴՅԱՏ ՆՈՎՈ ՇԵՎՈԽՈԽՈԹ, ՎՈՊՈԳՈԹ ՏԱԿԼՈ ԱՆ ԱԳԱՐԱԿՈ. ՑԱՀԼԻՍ ՇԵՆԱԿՅԱՆ ԱՆ ՄՈՒ ԾԱԳՐՈՎԵԲԱՏԱԿ ԿՐՈՋՆԱ ՇՆԾԱ.

ՀԱԴՈՒՅԱՐՄԱ ԱԽԱԼՈ ԳԱԿՎԵՌՈԼՈ ԾԱՌՎՈ ԾԱ ՄԵՇԵ-ԸՆԴՐՈՒՅԱԼՆ ԿՈԹԵՑԱ ԾԱՌԵՑԱ:

- ՏԱՋ ԻՆԱԿԱՎՈ ՕՄ ՑԱՀԼԻ, ՐՈՄԵԼՏԱԿ ՄՈԳՑԱՄՐՈՅՈՏՎՈՒ ԱԳ-ՌՈՎԵՑԹ?

- ՄՇՈՏԱԿՅԱՌՈ, - ՇԱՏԱՄԵԽԱ ՄԵՇԵՑ.

- ՄԵ ՀՈԼՈՎՈ ՎՃԵՑ, ՏՐՈՆՑԵՍԱ - ԼԵՈՅՈՒ ՔՎԵՌ, ՏՐՈՆՑՈ ԿՈ ՏԱՑՄ-ԼԵՌՈ ԻՆԱԿԱՎՏ, - ԳԱԳՐԺԵԼԱ ԸՆԴՐՈՒՅԱԼՄԱ.

- ԱՅ, ՌԱՍ ԵՎՇՆԱԳՏ, ՌՈԹ ԵԿՐՆՈԹՈՂՅԱՌՈ ՏԱՏԱՆԱԴՈՌ ՎԵՐ ԵՐԿՎԵՎՈԹ. ՔՄՐԾԵՑՄԱ ՑԱՀԼՈ ՐՈԹ ՄՈԳԲԱՐՈՆ ԱՆ ՏԱՆԴԱՐՈ ԳԱԳՈՒՆԾԵԳԵ, ՏԵՄԾ ՊՎԵԼԱՑՎԵՐԸ ԾԱԿԱՐԳԱՎՈՒ? ԱՏԵ ԱՐ ՇԵՎՈԽԾԵՑԱ, ԳԱԿՏԵՎՈՒ ՄՈՎԱՌՈ ԲԱՄԱՐ-ԿԵՆԾՈ ՑԱՀԼԻՍ ԱՄԾԱՎՈ? - ՇՈՒՐԱ ՀԱԴՈՒՅԱՐՄԱ.

- ԱՅԱ, ՌՈԳՈՐ ՄՈՎՈՒՅՎԵՌ? - ՈԿՈԹԵԱ ՄԵՇԵՑ.

- ԱՐՈՍ ԻՆԵՄՈ ԱԾԳՈԼՈ, ՏԱՋԱԿ ՑԱՀԼՈ ՏԱՄԵԳՈՌՈ ԻՆԱԿԵԲԱ, ԳԱՐԾԱ ԱՄՈՏԱ, ՄԱՑՄԱՆՈԾՏ ԿՈԾԵՑԱԾ. ՎՈՋԱԾՈ, 100 ԵԿՐՆՈ ՇԵՈՆԱԿԵԹ. ՎՈՐՄԱ ՏԱՆՌՈ ԵՏ ՏԱՆՏԱ ՇԵՎՈԽԾԵՑԱ 105 ԵԿՐՆՈ ԳԱԿԾԵՑ. ԱՅ ԱԾԳՈԼԸ ՏԱԿՅՈ ՔԵՎՈԱ.

- ՏԱԿՅՈ ՐԱ ԱՐՈՏ? - ԳԱՇԿՎՈՐԾԱ ԿՐՈ-ՋՄԱՐՏ, - ԱԺԱՄԾԵ ԱՄՈՏ ՇԵՏԱ-ԿԵԾ ԱՐԱՑՎԵՐՈ ԳԱԳՎՈՂՈԱ.

- ՏԱԿՅՈ ՑԱՀԼԻՍ ՏԱԿԼՈԱ. ՈՎ ՑԱՀԼՈ ԻՆԱԿԵԲԱ, ՔՐՈՎԱԼԵՑՏ ԾԱ ՄԱՑՄ-ԼՈՒԾՏ.

- ՑԱՀԼՈ ՐԱ, ՕՏՈՎ ՀԱԴՈՒՅԱՐՈԱ? - ԳԱԵՎՈՆԱ ԵՎԼԹՄՌՈՒՅԵՏ.

- ՐԱ ՏՋՄԱ ՇՆԾԱ, ԱՐԱ - ԾԱԳՄԱՆԿՄԱ ՀԱԴՈՒՅԱՐՈ, - ՄԱԳՐԱՄ ՏԱԿՅՈ

ფულის რაოდენობა იზრდება. ის ვისაც ფული დროებით არ სჭირდება, მიღის ბანკში და იქ აბარებს, გარკვეული დროის შემდეგ ფულს უკან უბრუნებენ და არა იმდენს, რაც მან შეიტანა, არამედ მეტს. ბანკში ჩაბარებულ ფულს **ანაბარი** ჰქვია, მას კი, ვინც ფული იქ ჩაბარა, **მეანაბრე**.

- რა კარგია! - გაუხარდა მეფეს.

- ბანკი მეანაბრეებს ეხმარება, ფულს უნახავს და მეტსაც უბრუნებს, მაგრამ როგორ უბრუნებს, საიდან ჩნდება ეს ფული?

საქმე ისაა, რომ ბანკი არა მარტო ინახავს ფულს, არამედ შეუძლია სხვასაც ასესხოს. ადამიანი, რომელიც ბანკიდან ფულს სესხულობს, ვალდებულია სესხი უკან დააბრუნოს და ბანკს გაწეული დახმარებისთვის ზედმეტიც გადაუხადოს. ვთქვათ, ისესხეთ 100 ეკონი. რამდენიმე ნის შემდეგ 105 ეკონი უნდა დააბრუნოთ. აქედან 103 ეკონი ერგება მას, ვინც ფული შეიტანა, ხოლო 2 ეკონს ბანკი ამ მომსახურებისთვის თვითონ იტოვებს.

- მეანაბრეობა მომწონს, მაგრამ ბანკიდან ფულის სესხებისა კი რა მოგახსენოთ, - თქვა დედოფალმა.

- ახლავე აგიზსნით, - თქვა ჯადოქარმა, - სესხის აღება სარფიანი საქმეა. ვთქვათ, პურის დიდი რაოდენობით გამოცხობა გსურთ. ამას დანადგარი სჭირდება. დანადგარი ძალიან ძვირი ღირს - 3000 ეკონი. თქვენ სესხულობთ ფულს, აცხობთ ბევრ პურს და მერე ამ პურს ყიდით. პურის გაყიდვით 5000 ეკონს აიღებთ, ესე იგი 2000 ეკონს მოიგებთ. ბანკს მოგებიდან 500 ეკონს დაუბრუნებთ, დანარჩენი თქვენ დაგრჩებათ. ბანკს რომ თქვენთვის ფული არ მოეცა, ხომ ვერ მოიგებდით? მოგებულ ფულს ბანკი თვითონ იტოვებს და მეანაბრესაც უნაწილებს. მას, ვინც ბანკიდან ფულს სესხულობს, **კრედიტორი** ჰქვია.

- კეთილი და პატიოსანი, - თქვა ზელმწიფემ, - ფულს ბანკში შევინახავთ, ჩვენი ფულიც მოიმატებს და კრედიტორებსაც დავეხმარებით.

ამ სიტყვებზე ზელმწიფემ ზარი დარეკა და ეკონომიკის მინისტრი გამოიძახა:

- გაეცით ბრძანება, შეიქმნას ბანკი და ჩვენი ფულიც იქ შეიტანეთ.

- თქვენო უდიდებულესობავ, ჩვენს სახელმწიფოში უკვე სამი ბანკია. თქვენ სად გნებავთ ფულის შენახვა? - იკითხა ეკონომიკის მინისტრმა.

- არ ვიცოდი, - თქვა მეფებ.

- თუ სამი ბანკია, ფული სად შევინახოთ? - იკითხა დედოფალმა.

- ეს არც ისე იოლი გადასაწყვეტია. ბანკი საიმედო უნდა აირჩიოთ, რომ ფულის დაბრუნებაზე არ ინერვიულოთ. ფული იქ უნდა შეინახოთ, სადაც უფრო მეტს დაგიბრუნებენ და იქიდან ისესხოთ, სადაც ცოტას დაუბრუნებთ, - აუხსნა ჯაღოქარმა.

მალე სამეფოში ბევრი ბანკი გაიხსნა. ხალხი, როგორც კი ფულს აიღებდა, მაშინვე ბანკში გარბოდა. ბანკირებს მოცლა აღარ ჰქონდათ.

იმისათვის, რომ სცოდნოდათ, ვინ, როდის და რამდენი ფული შეიტანა ბანკში, მათ ანგარიშსწორების ფურცლები მოიგონეს და თითოეულს ნომერი დააწერეს. ნომრებით ფურცლებს ადვილად პოულობდნენ და შესაბამის ჩანაწერებს აკეთებდნენ. მეანაბრე ბანკში მიდიოდა და ამბობდა, რომ თავის ანგარიშზე ფული შეჰქონდა. ასეთ შემთხვევაში ანგარიშსწორების ფურცელზე, სვეტში - „შემოვიდა“ იწერებოდა შეტანილი თანხა. თუ მეანაბრეს ფულის გატანა უნდოდა, იგი ამბობდა, რომ სურდა ფული მოეხსნა ანგარიშიდან და ეს თანხა იწერებოდა სვეტში - „გავიდა“.

სამეფოში ფულის დათვლასა და ანგარიშს ყველა მიეჩვია.

მოსახლეობას ძალიან მოეწონა ბანკის მომსახურება. რიგებში აღამებდნენ, ფული შეჰქონდათ და გამოჰქონდათ, სამუშაოდ არავის ეცალა.

მეფე ძალიან განერვიულდა. სასახლეში ექიმი გამოიძახეს. ექიმმა მას მკაცრი რეაქტი დაუწესა და სრული სამშვიდის დაცვა ურჩია.

ექიმის მოთხოვნით მეფეს სასახლიდან გასვლა ეკრძალებოდა.

- აი, რეცეპტი, ეს წამალი 30 ეკონი ლირს, - უთხრა ექიმმა.

როგორ მოქცეულიყვნენ? ფული სახლში არ ჰქონდათ, ყველა-ფერი ბანკში იყო შეტანილი და არავის, გარდა მეფისა, გამოტანა არ შეეძლო.

მეფემ კალამი აიღო და ბარათი დაწერა:

„პატივცემულო ბანკირო! გთხოვთ, ჩემი ანგარიშიდან 30 ეკონი მოხსნათ და მეაფთიაქის ანგარიშზე ჩაწეროთ. ავად ვარ და მოსვლა არ შემიძლია.

ხელმწიფე ეკონომ პირველი.“

ხელი მოაწერა და ბეჭედიც დასვა.

ბანკირმა წერილი მიიღო, ჯერ ბალიან გაუკვირდა, მერე კი გაუხარდა, ცხადია, არა იმიტომ, რომ მეფე ავად იყო, არამედ იმიტომ, რომ უნგბურად გამოჩნდა გზა, რომელიც ბანკში რიგებს შეამცირებდა.

ახლა არც მეფეს და არც სამეფოს მოსახლეობას ბანკში ყოველდღე სირბილი არ სჭირდებათ. აბა, წარმოიდგინეთ, ბანკში უნდა წასულიყვნენ, გამოეტანათ ფული, შეეძინათ საჭირო საქონელი, გამყიდველისათვის ნივთების საფასური გადაეხადათ. თავის მხრივ, გამყიდველიც უნდა წასულიყო ბანკში და ფული შეეტანა.

მას შემდეგ ბანკის თანამშრომლები ყველაფერს თვითონ აკეთებენ, კლიენტების თხოვნით ფულს ერთი ანგარიშიდან ხსნიან და მეორეზე გადააქვთ.

ანგარიშსწორების ამ მეთოდს ჩვენთანაც ფართოდ იყენებენ. ამ მეთოდს **უნაღდო ანგარიშსწორება** ეწოდება.

თუ ნივთის საყიდლად ფულს მაშინვე ვიხდით, ამას **ნაღდიანგარიშსწორება** ეწოდება. უნაღდო ანგარიშსწორება მხოლოდ ჩანაწერებით ხდება. ასეთი ჩანაწერების გაკეთების უფლება მხოლოდ ბანკის თანამშრომლებს აქვთ.

საფარჯიშო

ამოცანა № 1

გთქვათ, ნანამ 13 რიცხვში თავის ანგარიშზე 50 ლარი შეიტანა, 14-ში - 75 ლარი, 15-ში გადაწყვიტა 100 ლარის უკან გამოტანა. რამდენი ლარი დარჩა ანგარიშზე?

ამოცანა № 2

გთხიამ 17 რიცხვში ბანკში 105 ლარი შეიტანა, 20-ში - 120 ლარი. რამდენი შეიტანა მზიამ თავის ანგარიშზე? 28-ში მან თავისი ანგარიშიდან 170 ლარი მოხსნა. რამდენი ლარი დარჩა ანგარიშზე?

პითევები გამორჩებისათვის

1. სად ინახება ყველაზე საიმედოდ ფული?
2. რა არის ანაბარი და ვინ არის მეანაბრე?
3. რა არის სესხი და ვინ არის ფულის გამსესხებელი?
4. რას ნიშნავს „ანგარიშზე დადება“?
5. რას ნიშნავს „ანგარიშიდან მოხსნა“?
6. რა არის ნაღვი და უნაღვო ფული?
7. როგორ ამოფირჩიოთ ბანკი?
8. ერთი ბანკი თქვენი თანხის სამ პროცენტს გიბრუნებთ, მეორე კი – ოთხს. სად შეინახავთ თქვენის ფულს?
9. ფულის სესხებისთვის ერთი ბანკი თქვენგან სამ პროცენტს ითხოვს, მეორე კი – ოთხს. რომელი ბანკიდან ისესხებთ ფულს?
10. გნურთ თუ არა, რომ ბანკირი იყოთ?
11. ვინ არის კრედიტორი?
12. რატომ ვინახავთ ფულს ბანკში?
13. სად უმჯობესია ფულის შენახვა და სად – ფულის სესხება?



დახატეთ სურათი თემაზე: „მეანაბრე და ბანკი“.

XVII მ ე ბ ა

დაზღვევა

(XXX გაკვეთილი)

ქიდევ ერთხელ გავიხსენოთ ბანკის საქმიანობა. ჩვენ მივდივართ ბანკში, მიგვაქვს ნაღდი ფული და შეგვაქვს თანხა. ბანკი აკეთებს ჩანაწერს და ამ ფულს ჩვენს ანგარიშზე დებს. თუ ფული გადასახდელი გვაქვს, ვითხოვთ, რომ ეს თანხა მოხსნან ჩვენი ანგარიშიდან და სხვის ანგარიშზე გადაიტანონ, ანუ სხვას გადაურიცხონ.

უფრო გასაგებად თუ ვიტყვით, ფული ჩვენი ანგარიშიდან ამოიწერება და სხვის ანგარიშზე ჩაიწერება, ანუ მოხდება უნაღდო ანგარიშსწორება.

ახლა ჩვენს ზღაპარს დავუბრუნდეთ.

ხელმწიფის ბრძანებით ბანკმა მოხსნა 30 ეკონი მისი ანგარიშიდან და მეაფთიაქის ანგარიშზე ჩაწერა, მეაფთიაქებ კი მას წამალი გაუგზავნა. ხელმწიფე მალე გამოჯანმრთელდა და მუშაობას შეუდგა. ერთ დღეს სასახლეში მიღებაზე მეორე მინისტრი მივიდა.

— რა დაგემართათ? ფერი აღარ გადევთ, — გაუკვირდა ხელმწიფე.

— უბედურება! უბედურება დამატყდა თავს. თქვენი ავადმყოფობის დროს მთელი ქონება და სახლი დაგვეწვა. ახლა მდინარის პირას პატარა ფიცრულში ვცხოვრობთ. არც ფული გვაქვს, რომ სახლი ვიყიდოთ და არც ის ვიცით, როგორ მოვიქცეთ.

— რა საშინელება! — შეწუხდა ხელმწიფე, — არ ვიცი, როგორ დაგეხმაროთ. ფული ხაზინაშიც ძალიან ცოტაა. ღმერთო ჩემო, თქვენი მეზობელი მინისტრი როგორ არის? ქონება მასაც დაეწვა?

— სახლი ჩემს მეზობელსაც დაეწვა, მაგრამ დახმარება არ სჭირდება, ახალი სახლიც აიშენა და ქონებაც შეიძინა.

- შეუძლებელია! - გაუკვირდა ხელმწიფეს, - შემოსავალი ორივეს ერთნარი გაქვთ. სად იშოვა ფული? ჯადოსნური ჯოში ხომ არა აქვს?

- არა, ჩემი მეზობელი დაზღვეული ყოფილა და სადაზღვევო კომპანიამ ყველაფერი აუნაზღაურა.

- არაფერი მესმის! - გაუკვირდა ხელმწიფეს. - რაო, დაზღვეული ყოფილაო? რა არის დაზღვევა? ან ეს კომპანია რას წარმოადგენს?

საგარეო საქმეთა მინისტრმა ვერაფერი უპასუხა და სირცხვილისაგან გაწითლდა. მას გაახსენდა, როგორ არაფრად ჩააგდო დაზღვევის გაკვეთილი და კინოში გაიპარა. აი შედეგიც, ქონება მთლიანად დაეწვა და ვერაფრის ახსნაც ვერ შეძლო.

ხელმწიფე დაინტერესდა და სასწრაფოდ ეკონომიკის მინისტრთან გაემგზავრა.

მინისტრი ახალი სახლის სახურავზე იჯდა და უკანასკნელ ლურსმნებს აჭედებდა. ეზოში საოჯახო ნივთებით - ავეჯით, ჭურჭლითა და ფიკუსის ხით დატვირთული მანქანა შემოვიდა.

- ძვირფასო მინისტრო! იქნებ ძირს ჩამოხვიდეთ და დაზღვევის შესახებ გვიამბოთ, - მიმართა ხელმწიფემ, - ეს კომპანია თქვენს მეზობელს რატომ არ ეხმარება?

მინისტრი ძირს ჩამოვიდა, ხელმწიფის წინაშე წარდგა და დაიწყო:

- თქვენო უდიდებულესობავ! უკვე ერთი წელია, რაც სადაზღვევო კომპანიას 10 ეკონი გადავუხადე. იმ შემთხვევაში, თუ მე ან ჩემს ოჯახს რაიმე შეგვემთხვეოდა, კომპანიას 100 ეკონი უნდა გადაეხადა. არავინ იცის, რა მოელის. შეიძლება სახლში მიღი გასკდეს და მთელი სახლი წყალმა წალეკოს, ან ხანძარი გაჩნდეს, ან კაცი ავად გახდეს. ასეთი უსიამოვნებები იშვიათია, მაგრამ ხომ მაინც ხდება. ამიტომ, ხალხი თავის ქონებას აზღვევს, წინასწარ გარკვეული თანხა შეაქვს სადაზღვევო კომპანიაში. **სადაზღვევო კომპანია** ის დაწესებულებაა, სადაც სადაზღვევო შესატანს აგროვებენ და სადაზღვევო ფონდს ქმნიან. მაგალითად, თუ ყოველ 100 ადამიანს 10-10 ეკონი შეაქვს, სადაზღვევო ფონდი 1000 ეკონი იქნება. თუ რომელიმე მათგანს რაიმე შეემთხვა, ფონდი ფულით ეხმარება. ასეთ დახმარებას **დაზღვევა** ეწოდება.

– ესე იგი, ავად რომ ვიყავი, კომპანია დამეხმარებოდა? – იკითხა მეფემ.


– თუ ავადმყოფობის დაზღვევა გექნებოდათ, რა თქმა უნდა დაგეხმარებოდათ. ასევე შეიძლება სხვადასხვა ქონების, ვთქათ, სახლის ან ტრანსპორტის დაზღვევა.

– ახლავე ყველაფერს დავაზღვევ, – თქვა გახარებულმა ხელ-მწიფემ და სადაზღვევო კომპანიაში წასასვლელად მოემზადა.

პითევები გამორჩისათვის

1. რა არის დაზღვევა?
2. რა არის სადაზღვევო კომპანია?
3. იცით თუ არა რომელიმე სადაზღვევო კომპანია?
4. არის თუ არა თქვენი თჯანი დაზღვეული?

პროსვროდი



1. განმარტეთ კროსვორდის გრაფებში ჩაწერილი ეკონომიკური ტერმინები და ცნებები.

2. შესწავლილი მასალის მიხედვით შეეცადეთ შეადგინოთ მსგავსი კროსვორდი.

* * *

ეკონომიკის გაკვეთილები დასრულდა. იმედი გვაქვს, არ დაგავიწყდებათ ჩვენი მეგობრები: ზელმწიფე, დედოფალი, ნაცარქექია და, რაც მთავარია, კეთილი ჯადოქარი – ეკონომიკა, რომელმაც შესანიშნავი გაკვეთილები ჩაგვიტარა და ბევრი სასარგებლო რჩევაც მოგვცა.

ჩვენი გაკვეთილები მომდევნო კლასებშიც გაგრძელდება. დაგვერწმუნეთ, რაც უფრო მაღლა ვივლით ეკონომიკის მწვერვალისაკენ, მით უფრო საინტერესო იქნება ეს გზა.

განვლილი მასალის გამეორება

(XXXI – XXXII გაკვეთოლი)

1. რას ნიშნავს ბარტერი?
2. რა არის საქონლური ფული?
3. რა არის ლითონის ფული?
4. რატომ შეიცვალა ლითონის ფული ქაღალდის ფულით?
5. რა არის ბანკოტი?
6. რა თვისებები აქვთ ქაღალდის ფულს?
7. რა არის ფასი?
8. რა არის მოძრავი ქონება?
9. რა არის უძრავი ქონება?
10. რა არის შემოსავალი?
11. რა არის ხელფასი?
12. რა არის დროითი ხელფასი?
13. რა არის სანარდო ხელფასი?
14. რა არის პრემია?
15. რამდენგვარია სახელმწიფო დასმარება?
16. რა არის საკუთრება?
17. რა გზით შეძლება გაფხდეთ საკუთრებას მფლობელი
ანუ მესაქუთრე?
18. რა არის სარგებელი?
19. რა არის არენდა?
20. რა არის რენტა?
21. ჩათვლება თუ არა არენდით გაცემული ქონება სა-
კუთრებად?
22. არის თუ არა არენდით გაცემული ქონება მეარენდეს
საკუთრება?
23. როგორ გისტაგლოთ ფულის ყაირათიანი ხარჯება?

24. რა არის ხარჯი?
25. რა არის ოჯახის ბიუჯეტი?
26. რით განსხვავდება შემოსაფალი ხარჯისაგან?
27. რა არის დაბალანსებული ბიუჯეტი?
28. რა არის დეფიციტური ბიუჯეტი?
29. რა არის ჭარბი ბიუჯეტი?
30. რა არის ბანკი?
31. რა არის ანაბარი და გინ არის მეანაბრე?
32. რა არის სესხი?
33. რა არის ნაღდი და უნაღდო ფული?
34. რა არის დაზღვევა?
35. რა არის სადაზღვევო კომპანია?
36. რა არის ექონომიკა?
37. რატომ არის ექონომიკა კეთილი ჯადოქარი?
38. რა პროფესიას აირჩიეთ მომაგალში?

კარგად დაუფიქრდით!

გამოყენებულია: ქართული ხალხური და უცხოური ზღაპრები, სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“.

**სასრული თემატიკა და საათვების განაწილება
თემების მიხედვით**

№	თემების დასახელება	საათების რაოდენობა
I სემესტრი		
1	მოსირვების და უსაძლებლობები	2
2	უზრუნველობა და არჩევანი	2
3	საქონელი და მოსახურება	2
4	საოჯახო საქმე და მისი სარგებლივოება	1
5	უროშის დანაწილება და უროშის ეპონიმია	2
6	საოჯახო მეურნეობა და მოსმარება	1
7	ნატურალური მეურნეობა, გაცვლა, საქონლური მეურნეობა და საეციალიზაცია	4
8	განვლილი მასალის გამეორება	1
სულ I სემესტრში		15
II სემესტრი		
9	გაცვლის განვითარება და ფულის ტარმოვობა	2
10	ფულის იმისახება	2
11	მოძრავი და უძრავი ქონება	1
12	როგორ გაჩდეონ მინისტრები	1
13	ღრმილი და სანარჩო ხელფასი	1
14	სახელმწიფო დამმარტინი	1
15	საკუთრება	2
16	ოჯახის ბიუჯეტი	2
17	განვი. რატომ ინახავთ ფულს%	2
18	დაზღვება	1
19	განვლილი მასალის გამეორება	2
სულ II სემესტრში		17
სულ VI კლასში		32

სასწავლო კურსის

პროგრამა

I თემა. მოთხოვილებები და შესაძლებლობები

ეკონომიკა – კეთილი ჯადოქარი და მეცნიერება საოცრებების შესახებ. რისთვის არის საჭირო ეკონომიკის შესწავლა. მოთხოვნილება – ეკონომიკის განვითარების საწინდარი. რატომ არ შეგვიძლია ყველა სურვილის შესრულება. რაზეა დამოკიდებული ადამიანის მოთხოვნილებები. რაზეა დამოკიდებული ადამიანის მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. რა არის შესაძლებლობა. რაზეა დამოკიდებული შესაძლებლობები. რა კავშირი არსებობს მოთხოვნილებებსა და შესაძლებლობებს შორის.

II თემა. უძლეულობები და პრჩვანი

შესაძლებლობების შეზღუდულობა – ეკონომიკის პირველი მთავარი პრობლემა. რა კავშირია მოთხოვნილებებსა და შეზღუდულობას შორის. რა არის არჩევანი. რა კავშირია შეზღუდულობასა და არჩევანის შორის. როგორ გავაკეთოთ სწორი არჩევანი – ეკონომიკის მეორე მთავარი პრობლემა.

III თემა. საქონელი და მომსახურება

ადამიანი როგორც მომსმარებელი. მოთხოვნილებების დაკმაყოფილების გზები. საქონელი — გასაყიდად დამზადებული ნივთი. მომსახურება და მისი სარგებლიანობა.

IV თ ე მ ა . საოჯახო საქმე და მისი სარგებლივობება

საოჯახო საქმე. საოჯახო საქმიანობაში ოჯახის ყველა წევრის მონაწილეობის აუცილებლობა. საოჯახო შრომის ეკონომიკური მიზანშეწონილობა და სარგებლიანობა.

V თ ე მ ა . შრომის დანაწილება და დროის ეპონომია

შრომის დანაწილების არსი. შრომის დანაწილების ეკონომიკური მნიშვნელობა. ურთიერთკავშირი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, შრომის დანაწილებასა და დროის ეკონომიას შორის.

VI თ ე მ ა . საოჯახო მეურნეობა და მომარჩება

საოჯახო მეურნეობის ეკონომიკა – ქვეყნის ეკონომიკის შემადგენელი ნაწილი. მოხმარება – საერთო პრიბლევა. კავშირი მოხმარებასა და მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას შორის. მოხმარების კავშირი სწორ არჩევანთან.

VII თ ე მ ა . ნატურალური მეურნეობა, გაცვლა, საჭრელური მეურნეობა და სამციალიზაცია

ნატურალური მეურნეობა – მოთხოვნილებების დაკმაყოფილების პრიმიტიული გზა. ნატურალური მეურნეობის საქონლური მეურნეობად გარდაქმნის აუცილებლობა. გაცვლის აღმოცენება. საქონლური მეურნეობის უპირატესობები. სპეციალიზაცია. პროფესიულის ჩამოყალიბება.

VIII თ ე მ ა . გაცვლის განვითარება და ფულის ტარმოვობა.

ბარტერი – გაცვლის უმარტივესი ფორმა. ბარტერის ნაკლოვანებები. გაცვლის განვითარების ფორმები. ფულის წარმოშობა. პირველი ფული. საქონლური ფულის ნაკლოვანებები. ლითონის ფულის უპირატესობები საქონლურ ფულთან შედარებით. ლითონის ფულის ნაკლოვანებები. ქაღალდის ფულის წარმოშობის აუცილებლობა.

IX თ ე მ ა . ფულის თვისებები

ბანგოტი – ქაღალდის ფული. ქაღალდის ფულის უპირატესობები. გაცვლის განვითარება და ყიდვა-გაყიდვის გაადვილება. ფასი – საქონლის ან მომსახურების საყიდლად გადახდილი ფულის რაოდენობა.

X თ ე მ ა . მოძრავი და უკრავი მოწება

სიმდიდრის უმარტივესი გაგება. მოძრავი ქონება. უძრავი ქონება. ანტიკვარი. ოჯახის შემოსავალი – მისი სიმდიდრის ზრდის წყარო.

XI თ ე მ ა . როგორ გაჩდნენ მინისტრები

ხელფასი როგორც ოჯახის შემოსავლის ძირითადი წყარო. ხელფასის ოდენობაში განსხვავების მიზეზები. განათლება და მუშაობის გამოცდილება. პროფესია და პროფესიონალიზმი.

XII თ ე მ ა . დროითი და სანარდო ხელფასი

განსხვავება შრომის ანაზღაურებაში. დროითი ხელფასი. სანარდო ხელფასი. პრემია და შრომის სტიმულირება.

XIII თ ე მ ა . სახელმწიფო დახმარება

სახელმწიფო დახმარების არსი. სახელმწიფო დახმარების ფორმები. სახელმწიფო დახმარების მნიშვნელობა. საზოგადოების აუცილებელი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება – სახელმწიფოს ერთ-ერთი უმთავრესი ფუნქცია.

XIV თ ე მ ა . საკუთრება

საკუთრება როგორც სიმდიდრის წყარო. საკუთრების მატერიალური შინაარსი. საკუთრების შექმნის გზები. ქონების მფლობელის

უფლებები. სარგებელი. საკუთრებასა და შემოსავალს შორის ურთიერთკავშირი. სიმდიდრე – შემოსავლის წყარო. არენდა. მეარენდედა მოარენდე. რენტა.

XV მემა. მჯახის პირველი

განსხვავება ოჯახის შემოსავალსა და ხარჯს შორის. ოჯახის ბიუჯეტი. ოჯახის ხარჯის სიდიდეზე მოქმედი ფაქტორები. ოჯახის შემოსავლის ყაირათიანი ხარჯვა. დაბალანსებული ბიუჯეტი. დეფიციტური ბიუჯეტი. ჭარბი ბიუჯეტი.

XVI მემა. ბანკი. რატომ ინახავთ ფულს?

ბანკი და საბანკო ურთიერთობები. ბანკის ფუნქციები. ანაბარი. მეანაბრე. სესხი. გამსესხებლები. ნაღდი ფული. უნაღდო ფული. ბანკების როლი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაში.

XVII მემა. დაზღვევა

დაზღვევა როგორც ოჯახის ქონებისა და მისი წევრების ჯანმრთელობის დაცვის ერთ-ერთი საშუალება. სადაზღვევო კომპანია და მისი ფუნქციები. დაზღვევის სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობა.

შინაგარსი

შინაგარსი	3
I მემა . მოთხოვილებები და უმსამლებლობები (I-II გაკვეთილი)	5
II მემა . უძრავულობება და არჩევანი (III-IV გაკვეთილი)	17
III მემა . საქონელი და მომსახურება (V-VI გაკვეთილი)	22
IV მემა . საოჯახო საქმე და მისი სარგებლიანობა (VII გაკვეთილი)	28
V მემა . შრომის დაცაზოლება და დროის ეპონიმია (VIII-IX გაკვეთილი)	31
VI მემა . საოჯახო მეურნეობა და მოხარება (X გაკვეთილი)	36
VII მემა . დატურალური მეურნეობა, გაცვლა, საქონელური მეურნეობა და საეციალიზაცია (XI-XII-XIII-XIV გაკვეთილი)	39
გაცვლილი მასალის გამოყრება (XV გაკვეთილი)	52
VIII მემა . გაცვლის განვითარება და უძლის წარმოშობა (XVI-XVII გაკვეთილი)	53

I X თ ე მ ა . ფულის თვისებები (XVIII-XIX გაკვეთილი)	59
X თ ე მ ა . მოძრავი და უძრავი ქონება (XX გაკვეთილი)	64
X I თ ე მ ა . როგორ გაჩდენენ მინისტრები (XXI გაკვეთილი)	69
XII თ ე მ ა . დროითი და სანარღო ხელფასი (XXII გაკვეთილი)	73
XIII თ ე მ ა . სახელმწიფო დამარშება (XXIII გაკვეთილი)	78
XIV თ ე მ ა . საპუტილება (XXIV-XXV გაკვეთილი)	82
XV თ ე მ ა . ოჯახის გიუჯატი (XXVI-XXVII გაკვეთილი)	88
XVI თ ე მ ა . ბაცი. რატომ ინახავთ ფულს? (XXVIII-XXIX გაკვეთილი)	93
XVII თ ე მ ა . დაზღვება (XXX გაკვეთილი)	98
განვლილი მასალის გამორჩება (XXXI გაკვეთილი)	102
სასწავლო თემატიკა და საათების განაწილება თემების მიხედვით	104
სასწავლო კურსის პროგრამა	105

გამომცემლობის რედაქტორი **ც. ნიკოლაიშვილი**
მხატვარი **თ. გორალეგიჩი**
ტექნიკური რედაქტორი **რ. ასათიანი**
კომპიუტერზე დამკაბადონებელი **გ. ქაბანაძე**
კორექტორი **რ. ასათიანი**

საბეჭდი ქაღალდი $60 \times 84 \frac{1}{16}$. პირობითი ნაბეჭდი თაბაზი 7,0.
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბაზი 6,60.

ტირაჟი 1000

საგამომცემლო ფირმა „სიახლე“, თბილისი 380030, ყიფშიძის 10.

შპს „უნივერსალი“, ჭავჭავაძის გამზირი № 1.

ÝÊÎ Í Î Ì ÈÊÀ — ÄÎ ÁÐÛ É ×ÀÐÎ ÄÅÉ

(í à ãðóçèí ñêî ì ýçû êå)

Èçäàðåëüñêàÿ ôèðì à "Ñèàðëå"

Òáèëèñè 2000

ECONOMY — THE KIND MAGICIAN

(in Georgian language)

Publishing firm "Siakhle"

Tbilisi 2000